ჰუსეინმა ბუში ტელედებატებში გამოიწვია A5

ევროისტორია A8

"ხალხის პირისპირ" - ანკეტა B3

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

ხუთშაბათი, 27 თებერვალი, 2003 წელი. №56 (268)

ფასი 50 თეთრი

© გაზეთი 24 საათი

## პოლიტიკა

### სახალხო დამცველი - კომბლე, სახაროვ-ბონერის ბეგმის გამგრძელებელი, თუ პრეზიდენტ შევარდნაძის დასაცავი ფარი

"დეპუტატებს ვთხოვ, უფრო წყნარად და ხმადაბლა ისაუბრონ ერთმანეთში, რადგან დარბაზში ხმაურია და მომხსენებელს ხელი ეშლება," - სხდომის წამყვანის, გიგი წერეთლის ამ შენიშვნის ადრესატი, დაახლოებით, 20-მდე პარლამენტარი იყო.

A3

## ეკონომიკა

### ფრიდონ ინჯია ძველ პარტნიორებს უჩივის

მისი საჩივარი მომატებულ საგადამხდელო ტარიფებს ეხება, რომელთა მოქმედებაც 1 მარტიდან შედის ძალაში და კერძო სექტორში ორ ლარს, ხოლო სახელმწიფო სექტორში ოთხ ლარს უტოლდება.

A4

## უცხოეთი

### ისრაელში ახალი პოლიტიკური ერა იწყება

არიელ შარონმა, რომელიც არჩევნებში გამარჯვებულ პარტიას "ლიკუდს" უდგას სათავეში, კოალიციური მთავრობა შექმნა ულტრამემარჯვენე ბლოკ ეროვნულ ერთობასთან, ცენტრისტულ პარტია "შინუისთან," და ნაციონალურ-რელიგიურ პარტია "მავდალთან".

A5

## საზოგადოება

### შემოგვეშენა?!

როდესაც თბილისის ერთ-ერთ ულამაზეს შენობაზე, ე.წ. "ძველ უნივერმაღზე" მიდგა ჯერი, რაღაცა დაიძრა. არა, ქალაქელების ცნობიერებაში არაფერი შეცვლილა, უბრალოდ, უნივერმაღს გამოუჩნდა პატრონი.

A6

## სამართალი

### ქართულ-ოსური ექსპერტიზა ექიმების ქმედების მართლზომიერებას დაადგენს

თბილისიდან ჩასული ექსპერტიზის ჯგუფის წევრები გუშინწინ გარდაცვლილ ოსი ეროვნების მოქალაქის თანდილოვის ცხედარს ჩაუტარებენ ექსპერტიზას. ოსურმა მხარემ თბილისის სამხედრო ჰოსპიტალის ექიმებს თანდილოვის შეგნებულად მოკვლაში დასდო ბრალი.

A7

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 6 | |
| ქუთაისი | 7 | |
| ბათუმი | 6 | |
| სოხუმი | 6 | |
| ფოთი | 6 | |
| თელავი | 4 | |
| ზუგდიდი | 7 | |
| გორი | 1 | |
| ახმეტა | 4 | |
| ჭიათურა | 3 | |
| გაგრა | 5 | |
| სამტრედია | 7 | |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1830 |
| ევრო | 2.3555 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.4622 |
| რუბლი | 0.0692 |

# შორია მშვიდობიან კავკასიამდე...



სომხეთის დელეგაციამ, პროტესტის ნიშნად, დარბაზი დატოვა და ფოიეში გადაინაცვლა.

თამარ მჭედლიშვილი

*ორი დღის წინ თბილისში დაწყებული "სამხრეთ კავკასიის პარლამენტართა ფორუმი" გუშინ ჩაშლის საშიშროების წინაშე აღმოჩნდა. პარლამენტართა გუშინდელი შეხვედრა საკმაოდ მშვიდად დაიწყო, მაგრამ ვითარება ზუსტად ერთ საათში გამწვავდა. ეს კი მას მერე მოხდა, რაც აზერბაიჯანული დელეგაციის ხელმძღვანელმა სიაუშ ნოვრუზოვმა ფორუმის მონაწილეებს ხოჯალის ტრაგედიაში დაღუპულთა ხსოვნისადმი წუთიერი დუმილით პატივის მიგება სთხოვა. მისი თქმით, ზუსტად 11 წლის წინ, 1992 წლის 26 თებერვალს ამ სოფელში სომხეთმა აზერბაიჯანელთა გენოციდი განახორციელა. რეაქციამაც არ დააყოვნა – სომეხმა პარლამენტარებმა, პროტესტის ნიშნად, დარბაზი დატოვეს და აზერბაიჯანელი კოლეგებისაგან ბოდიშის მოხდა მოითხოვეს. მათივე თქმით, წინააღმდეგ შემთხვევაში, ფორუმის გაგრძელებას აზრი არ ჰქონდა.*

გაგრძელება A3 გვერდზე

# „ნუ ატყუებთ ხალხს და საკუთარ თავს"!

*ერთი კვირაა, საქართველოში გრძელდება საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისია პაოლო ნეუჰაუსის ხელმძღვანელობით. მისიამ შეხვედრები გამართა აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, მათ შორის, ქვეყნის პირველ პირთანაც. დღეს ფონდთან შეხვედრას გეგმავენ საპარლამენტო ფრაქცია "გაერთიანებული დემოკრატები" და ანტიკორუფციული საბჭოს თავმჯდომარე კახა უგულავა. სამ მარტს მისია საქართველოდან გაემგზავრება, ამ დროისათვის პრეზიდენტს უკვე ხელთ ექნება სავალუტო ფონდის მემორანდუმი, რომელშიც მისიის შენიშვნები და რეკომენდაციები აისახება. ასე რომ, საქართველოს მთავრობა სსფ-ს დასმულ "ნიშნებს" ელოდება. სავალუტო ფონდის შეფასებებზე კი მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული საქართველოს მომავალი ურთიერთობები საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან და დონორ ორგანიზაციებთან.*

სოფო კვინტრაძე

პირველივე მკვეთრი შეფასებები მისიის ხელმძღვანელმა ვიზიტის მეორე დღეს კანცელარიაში სახელმწიფო მინისტრთან შეხვედრის შემდეგ გააკეთა. პაოლო ნეუჰაუსმა ძალზე უარყოფითად შეაფასა ენერგეტიკის სექტორში არსებული სიტუაცია. მისი კრიტიკა ელექტროენერგიის ტარიფის ხელოვნურად შემცირებამ და გადასახადების ამოღების დაბალმა მაჩვენებლებმა გამოიწვია. ნეუჰაუსს, მეორე მნიშვნელოვანი პრეტენზია, ფინანსთა სამინისტროს მიმართ გაუჩნდა, რომელმაც 2003 წელი საბიუჯეტო შემოსავლების მწირი მობილიზებით დაიწყო. იანვრის თვის გეგმა, რაც 73 მილიონ ლარს შეადგენდა, მხოლოდ თებერვლის ოცისთვის შესრულდა. სავალუტო ფონდმა უკმაყოფილება გამოთქვა, აგრეთვე,

გაგრძელება A4 გვერდზე

# რეფორმა უნდა გატარდეს ახლავე და არა ოდესღაც, მომავალში



ბრუს ჯექსონი

*ბრუს ჯექსონმა განსაკუთრებული როლი შეასრულა ნატო-ში აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გაწევრიანების საქმეში. "მისტერ გაფართოება", როგორც მას ხანდახან უწოდებენ ამ დამსახურების გამო, ამჟამად "გარდამავალი დემოკრატიების პროექტის" დამფუძნებელი და პრეზიდენტია. იგი არის, ასევე, არასამთავრობო ორგანიზაცია "ნატო-ს კომიტეტის" პრეზიდენტი და აგრძელებს ახალი დემოკრატიების ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანების მხარდაჭერას. წარსულში იგი მუშაობდა აშშ-ს სამხედრო დაზვერვაში, თავდაცვის მინისტრის აპარატში, საინვესტიციო ბანკ "ლემან ბრაზერსში", იყო კორპორაცია "ლოკჰიდ მარტინის" ვიცე-პრეზიდენტი. 2000 წლის საპრეზიდენტო კამპანიის დროს ჯექსონი ხელმძღვანელობდა ბუშის საგარეო პოლიტიკურ გუნდს. იგი დღესაც აქტიურად მონაწილეობს რესპუბლიკური პარტიის საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბებაში. შესაძლოა, ბატონმა ჯექსონმა აქტიურად მოჰკიდოს ხელი საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების საქმეს. მისმა ოპტიმისტურმა პროგნოზებმა მთელი საქართველო აალაპარაკა.*

შოთა უტიაშვილი

ჩეხეთის პრეზიდენტმა ჰაველმა პრაღის სამიტის დროს განაცხადა, რომ 1989 წლის "რევოლუციის" შემდეგ, ევროპა თავისი განვითარების მესამე და საბოლოო ფაზაში შედის. პირველი ფაზის დროს ევროპას დაუბრუნდნენ ჩეხეთი, უნგრეთი და პოლონეთი (ე.წ. ვიცეგრადის ქვეყნები), რომელთაც ჰქონდათ როგორც სახელმწიფოებრიობის, ისე დემოკრატიის მტკიცე ტრადიციები.

მეორე გაფართოება შეეხო "ვილნიუსის ათეულის" (ბალტიის ქვეყნები, რუმინეთი, ბულგარეთი და სხვ.) ქვეყნებს, რომელთაც ჰქონდათ მყარი სახელმწიფოებრივი, მაგრამ არც ისე მტკიცე დემოკრატიული ტრადიციები.

ახლა ჯერი მიდგა მესამე, საბოლოო გაფართოებაზე, რომელიც მორალური და სტრატეგიული თვალსაზრისით, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია. ამ გაფართოებით უნდა დასრულდეს ერთიანი ევროპის შექმნა, რომელიც ბალტიისა და შავ ზღვებს შორის იქნება გადაჭიმული. ეს, ალბათ, უახლოეს სამ-ხუთ წელიწადში უნდა მოხდეს.

გაგრძელება A3 გვერდზე

# საკადრო რჩევები საპატრიარქოს

თამარ ხორბალაძე

ორიოდე წლის წინათ პრეზიდენტს წამოსცდა, უფალი მაძლევს რჩევებსო; მთავრობის სხდომაზე თქვა ეს, ქვეყნის გასაგონად.

გუშინ კი, ისევ მთავრობის სხდომაზე, ედუარდ შევარდნაძემ, როგორც იქნა, ქვეყნის სულიერებისთვისაც მოიცალა. თავად მან და მისმა სამართალდამცავებმა, **"კოლეგებს"** მართლმადიდებლური ეკლესიიდან (გუშინ სწორედ ასე უწოდა პრეზიდენტმა პატრიარქს), საკადრო რჩევები მისცეს.

ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ საქართველოს პრეზიდენტმა გუშინ პირველად მისცა თავს უფლება, სახალხოდ და საკმაოდ უცერემონიოდ ჩარეულიყო საპატრიარქოს საქმეებში. სამართალდამცავებს სპეციალური დავალებაც კი მისცა: **"მეტი სიფხიზლისაკენ"** მოუწოდა **"ქართულ ეკლესიაში მიმდინარე საწყისი სტადიის ისეთი პროცესების მიმართ, რომლებიც ხელს უწყობს რელიგიური უმცირესობების დისკრიმინაციის სამარცხვინო გამოვლინებებს."**

**"სამართალდამცავი და სხვა სახელმწიფო სტრუქტურები ვალდებულნი არიან, აღნიშნულის შესახებ ყველაფერი იცოდნენ,"** - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა და მართლმადიდებლური ეკლესიის იმ "საწყისი სტადიის" მაგალითად მოიყვანა საქართველოს **"ერთ-ერთი დიდი ქალაქის მართლმადიდებელი რელიგიური ლიდერი, რომელიც ოთხჯერ არის ნასამართლევი, მათ შორის, ქურდობისა და გაუპატიურებისათვის"...**

**"ასეთი ფაქტი ერთი და ორი არ არის. ხელისუფლება უნდა დაეხმაროს ეკლესიის მესვეურებს ასეთი ადამიანებისგან გათავისუფლებაში, რადგან, თუ ქართული ეკლესია დასუსტდა, ქვეყანას ნაკლები გარანტიები დარჩება დამოუკიდებლობისთვის"...** - დაასკვნა ედუარდ შევარდნაძემ.

გაგრძელება A2 გვერდზე

# უმაღლესი ხელმძღვანელობა ოფიცრების თვითნებობას ხელს უწყობს

*დღეს არავინ მალავს იმას, რომ ქართული ჯარი უკიდურესი გაჭირვების ზღვარზეა. პირიქით, თავდაცვის სამინისტროს და შინაგანი ჯარის თავკაცნი ამ პრობლემებზე რაც შეიძლება ხმამაღლა საუბრობენ და სისტემატურად მოითხოვენ ბიუჯეტიდან დაფინანსების გაზრდას. მაგრამ, იგივე ხელმძღვანელობა, ხშირად დუმილს არჩევს და მფარველად ევლინება იმ ჩინიან სამხედროებს, რომელთა გამოც ისედაც შიმშილის ზღვარზე მყოფი ჯარისკაცისთვის სავალდებულო სამსახურში ყოფნა საერთოდ გაუსაძლისი ხდება და ამ პრობლემასაც სოციალურ სიდუხჭირეს მიაწერენ.*

თამარ კაციტაძე

**"სამხედრო სამსახურის თვითნებურად დატოვებისა და დეზერტირობის წინააღმდეგ ბრძოლას ართულებს სამხედრო ნაწილებში ხელმძღვანელ თანამდებობაზე და მოკვლევის სამსახურში მომუშავე პირების განათლებისა და დისციპლინის დაბალი დონე. ხშირად სამხედრო ნაწილის მეთაურად ჯარში შემთხვევით მოხვედრილი პირები მუშაობენ, რომლებსაც სათანადო განათლება არ გააჩნიათ; ამასთან, სარგებლობენ საეჭვო რეპუტაციით და არც მორალური თვისებებით გამოირჩევიან",** - ორი წლის წინ ამ მიზეზით ახსნა ქართული ჯარიდან მასიური გაქცევები სახალხო დამცველმა, მაგრამ მას შემდეგ, როგორც ჩანს, არაფერი შეცვლილა.

გაგრძელება A7 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 ევროისტორია

B2 კულტურა B3 ანკეტა B4 სპორტი B5 სპორტი B6 განცხადებები B7 სტილი B8 სხვადასხვა

## ჯაბა იოსელიანს გვიან ღამით ოპერაცია გაუკეთეს

გუშინ ჯაბა იოსელიანი ინსულტით საავადმყოფოში მოათავსეს. გვიან საღამომდე ექიმებმა ვერ შეძლეს მისი გამოყვანა კომატოზური მდგომარეობიდან. ღამით გადაწყდა ურთულესი ოპერაციის გაკეთება. ოპერაციამ დამაკმაყოფილებლად ჩაიარა. შუაღამისას ჯაბა იოსელიანის მდგომარეობას ექიმები აფასებდნენ, როგორც მძიმეს, მაგრამ - არა უიმედოს.

*"24 საათი"*

## მოკლედ

**თბილისი.** - საპარლამენტო ფრაქცია "ერთიანი საქართველოს" ლიდერი გიორგი თარგამაძე "ნაკლებად რეალურად" მიიჩნევს ოპოზიციის გაერთიანებას შემოდგომაზე დაგეგმილი საპარლამენტო არჩევნებისთვის. ოპოზიციის სუბიექტები უფრო მეტად ცდილობენ მოსახლეობას თავისი ოპოზიციონერობა დაუმტკიცონ, ვიდრე იმას, რომ ქვეყნის ხელისუფლების ალტერნატივად ჩამოყალიბდნენ. - განაცხადა მან. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ოპოზიციური საპარლამენტო ფრაქცია "ტრადიციონალისტის" წევრმა თედო პაატაშვილმა ოთხშაბათს განაცხადა, რომ პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე ოპოზიციური საარჩევნო ბლოკის სათავეში ყოფნისთვის სასურველი კანდიდატურაა.

თუმცა, მისი აზრით, წარმოუდგენელია ნინო ბურჯანაძის ყოფნა იმ ოპოზიციური ბლოკის სათავეში, რომელსაც "გაერთიანებული დემოკრატები" და "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" აყალიბებენ, ამ პოლიტიკური ძალების ლიდერთა "პირველობაზე პრეტენზიების" გამო. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პანკისის ხეობაში დროებით მცხოვრებმა ჩეჩნეთიდან ლტოლვილების დაახლოებით ასმა ოჯახმა შეიძლება ახლო მომავალში კანადის ტერიტორიაზე თავშესაფარი მიიღოს, განაცხადა "საქართველოში ჩეჩნურ-კავკასიური კომიტეტის" თავმჯდომარემ ისლამ საიდაევმა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**ბაქო.** აზერბაიჯანი სომხეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების დაბრუნებას მოითხოვს, განაცხადა რესპუბლიკის პრეზიდენტმა ჰეიდარ ალიევმა ვაშინგტონში მიმდინარე კონფერენციაზე "აღმოსავლეთ-დასავლეთის ენერგეტიკული დერეფანი". **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** „აღორძინებამ" და „XXI საუკუნემ" დღეს გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე განაცხადეს, რომ მათი ფრაქციების საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც ქვეყანაში სპეციალური ეკონომიკური ზონების შემოღებას ეხება, პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განსახილველად მარტის დასაწყისისთვის გავა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თავდაცვის სამინისტროში უკმაყოფილებას არ მალავენ სამცხე-ჯავახეთში განლაგებული ქართული არმიის ქვედანაყოფების ინსპექტირებისას, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის, ირაკლი ბათიაშვილის მიერ გაკეთებული განცხადებების გამო. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ საქართველოს, რუსეთისა და აზერბაიჯანის სასაზღვრო უწყებების ოფიცერთა საშტაბო-სამეთაურო სწავლება დაიწყო დაღესტნის ქალაქ კასპიისკში. **"ინტერ-პრესი"**

■ ■ ■

**თბილისი.** "ეროვნული თანხმობის დარბაზი" საქართველოს პარლამენტს საარჩევნო კოდექსის ახალ კანონპროექტს მომავალ კვირას წარუდგენს. **"ინტერ-პრესი"**




## სახალხო დამცველი - კომბლე, სახაროვ-ბონერის გეგმის გამგრძელებელი, თუ პრეზიდენტ შევარდნაძის დასაცავი ფარი

გიორგი ასანიშვილი

*სახალხო დამცველის ანგარიში - "2002 წლის პირველ ნახევარში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ" - საქართველოს პარლამენტს ჯერ კიდევ გასულ წელს, საშემოდგომო სესიაზე უნდა მოესმინა, მაგრამ ისე მოხდა, რომ საკანონმდებლო ორგანომ მაშინ საამისოდ "დრო ვერ გამონახა" და საკითხის გადაგორება მხოლოდ გუშინ მოახერხა. "გადაგორება" შემთხვევით არ გვიხსენებია, ვინაიდან საანგარიშო პერიოდიდან უკვე დიდი დრო გავიდა და მოხსენებაში მოყვანილი ფაქტები, გარკვეულწილად, მოძველდა. ამდენად, ნანა დევდარიანის მიერ რამდენიმე თვის წინათ მომზადებული და დეპუტატებისთვის დარიგებული სქელტანიანი ნაშრომის მიმართ ინტერესი საგრძნობლად განელდა. "დეპუტატებს ვთხოვ, უფრო წყნარად და ხმადაბლა ისაუბრონ ერთმანეთში, რადგან დარბაზში ხმაურია და მომხსენებელს ხელი ეშლება," - სხდომის წამყვანის, გიგი წერეთლის ამ შენიშვნის ადრესატი, დაახლოებით, 20-მდე პარლამენტარი იყო. საკანონმდებლო კორპუსის დანარჩენმა წევრებმა ომბუდსმენის ანგარიში "ყურადღების ღირსად" არ ჩათვალეს და პარლამენტის სხდომათა დარბაზს გუშინ ახლოსაც არ გაკარებიან.*



სახალხო დამცველს დერეფანშიც უწევდა შეკითხვებზე პასუხის გაცემა.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

საინტერესოა ის დამოკიდებულებაც, რომელიც საკითხის მიმართ ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტის ახალმა თავმჯდომარემ გამოამჟღავნა. ნანული ბიჭიაშვილმა, რატომღაც, დაჟინებით ითხოვა გამოსვლა უშუალოდ შესვენების წინ, როდესაც ისედაც მცირერიცხოვან მსმენელთაგან დარბაზში, ფაქტობრივად, აღარავინ დარჩა. კომიტეტის თავმჯდომარემ კატეგორიული უარი თქვა, თანამოხსენება ცოტა მოგვიანებით გაეკეთებინა, როდესაც დამსწრე საზოგადოების რაოდენობა შედარებით გაიზრდებოდა. რაც შეეხება მისი გამოსვლის შინაარსობრივ მხარეს, იგი, ძირითადად, ომბუდსმენის აპარატის თანამშრომელთა სოციალური უფლებების დაცვისა და თავად სახალხო დამცველის ოფისის შენახვის ხარჯების საკითხებზე მსჯელობაში გამოიხატა. ერთადერთი სურვილი და შენიშვნა, რომელიც საპარლამენტო კომიტეტის ხელმძღვანელმა გამოთქვა, ის იყო, რომ სახალხო დამცველის ინსტიტუტი მომავალში კიდევ უფრო უნდა განვითარდეს, ხოლო ომბუდსმენის ანგარიშის მოცულობა - შეიკვეცოს.

ისე, კრიტიკული პათოსით მაინცდამაინც არც თავად ნანა დევდარიანის გამოსვლა ყოფილა გამსჭვალული. მეტიც, მასში საკმაოდ თვალშისაცემი იყო უწყებრივი კეკლუცობის ელემენტები.

**"ჩემს მისვლამდე, ორწელიწადნახევრის განმავლობაში, სახალხო დამცველის სახელზე სულ 1500 განცხადება იყო შესული, მარტო 2002 წელს კი ომბუდსმენის აპარატს, დახმარების თხოვნით, 12 ათასზე მეტმა მოქალაქემ მიმართა. ეს იმიტომ კი არ მოხდა, რომ სამართალდარღვევათა რიცხვმა იმატა, არამედ იმიტომ, რომ მოსახლეობამ გააცნობიერა, მისი უფლებების შელახვის შემთხვევაში, ვის უნდა მიაკითხოს,"** - აცხადებს დევდარიანი, რომელიც იქვე დასძენს: **"ეტყობა, ბევრს ვმუშაობ და ყველაფერზე მე იმიტომ მთხოვენ პასუხს."**

სახალხო დამცველის თქმით, ის სულაც არ იხსნის პასუხისმგებლობას იმ საკითხებზე, რომელთა მოგვარებაც მას თანამდებობრივად ევალება, მაგრამ არც იმას აპირებს, რომ სხვისი ტვირთიც მან ზიდოს.

**"სახალხო დამცველი კომბლე არ არის, რომ კომბლები თალოს, ჭერში აწყოს და მერე ამ კომბლებით დამნაშავეებს გამოეკიდოს. ომბუდსმენი სადამსჯელო ფუნქციებით არავის აღუჭურავს,"** - დევდარიანის ასეთმა განმარტებამ ოდნავაც ვერ დააკმაყოფილა ზოგიერთი ულტრანაციონალისტი, რომლებსაც არც გუშინ უღალატიათ ტრადიციისთვის და ღია ეთერში კიდევ ერთხელ შეახსენეს მთელ საქართველოს, თუ როგორ გმირულად იბრძვიან ისინი სამშობლოში ენის, მამულის და სარწმუნოების გადასარჩენად.

ხოლო, ვის უნდა ებრძოდეს ჭეშმარიტი პატრიოტი, ძნელი მისახვედრი არ არის - რა თქმა უნდა, "ქვეყნის მტრებსა და მათ ხელისშემწყობებს". ასეთებს კი ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეხვდებით: მაგალითად, გურამ შარაძისთვის ასეთები არიან, - პარლამენტის სპიკერატი და მისი პრეზიდიუმი, "სადაც აუარებელი მრჩეველი და სუფლიორი შემომჯდარა"; გაზეთი "24 საათი", რომლის "სარეკლამო კლიპში ყველაზე წინ რომის პაპია დაყენებული"; სახალხო დამცველი ნანა დევდარიანი, რომელიც "სახაროვ-ბონერის მზაკვრული გეგმების გამგრძელებელია"...

კრიტიკა და შენიშვნები ომბუდსმენს გუშინ არც სხვა პარლამენტარებისგან დაჰკლებია, მაგრამ შარაძის ბრალდებებისგან განსხვავებით, ისინი სულაც არ ყოფილა მისტიკურ საბურველში გახვეული ან "სამშობლოს სიყვარულით ნალოლიავები". დანარჩენი ოპონენტების საყვედურები უფრო მიწიერი იყო და პრაგმატული (პოლიტიკური) შეფერილობა დაჰკრავდა. მაგალითად, სანდრო ბრეგაძეს დევდარიანის მიმართ წყენა, თურმე, წინა საომბუდსმენო მოსმენიდან გამოჰყოლია, რადგან ვერ მიუღია პასუხი კითხვაზე: "როგორ შეაფასებდით პრეზიდენტისა და აღმასრულებელი ხელისუფლების მოღვაწეობას ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში?"

"აღორძინების" წარმომადგენელმა შევარდნაძის კრიტიკა დევდარიანისგან ვერც გუშინ მოისმინა, თუმცა, ეს გულთან ახლოს არ მიუტანია. რის მოსმენასაც სახალხო დამცველისგან ორი წლის განმავლობაში ვერ ეღირსა, სანდრო ბრეგაძემ ბოლოს თვითონ გაახმოვანა: **"საქართველოში ადამიანის უფლებების შელახვა სწორედ პრეზიდენტისგან იღებს სათავეს."**

ფაქტობრივად, ერთადერთი საქმიანი და კონსტრუქციული წინადადება სახალხო დამცველმა გუშინ "გაერთიანებული დემოკრატების" ერთ-ერთი ლიდერის, ვასილ მაღლაფერიძისგან მოისმინა. ამ უკანასკნელმა დევდარიანს შესთავაზა, მომავალ ანგარიშს თან იმ პასუხისმგებელ პირთა სია მოაყოლოს, რომლებიც ადამიანის უფლებებს არღვევენ. ომბუდსმენი "გაერთიანებული დემოკრატების" რჩევას იწონებს და პარლამენტარებს ჰპირდება, რომ ახლო მომავალში საკანონმდებლო ორგანოს უკვე "შავი სიით" ეწვევა. ამ შემთხვევაში კი, მისი ანგარიში უკვე ისე იოლად ნამდვილად ველარ გადაგორდება, როგორც ეს გუშინ მოხდა.

## საკადრო რჩევები საპატრიარქოს

პირველი გვერდიდან

მართლმადიდებელი ეკლესია ასეთი ყურადღების ღირსი, გუშინდელი სამთავრობო ლოგიკის მიხედვით, იმის გამო გახდა, რომ რელიგიური ექსტრემიზმის გახშირებული ფაქტები მართლმადიდებელი ეკლესიის შიგნით გამოჩენილი ამ ტენდენციების გამოხატულებაა. ხოლო ის სამართალდამცველები, რომლებიც რელიგიური ექსტრემიზმის ფაქტებს შესაშური სიმშვიდით ადევნებენ თვალს და დამნაშავეთა დაუსჯელობით ამ პროცესს აშკარად ახალისებენ, მართლმადიდებელ ეკლესიაში შიდა სიტუაციების "გამრჩევებად" და "მოთვალთვალეებად" უნდა გამწესდნენ.

ასეთია საქართველოს პრეზიდენტის ხედვა, ასე აპირებს იგი რელიგიური ექსტრემიზმის პრობლემის გადაწყვეტას, პრობლემისას, რომელმაც საქართველოში დამკვიდრებული მითი, ქართველების ტოლერანტობის შესახებ, საერთაშორისო არენაზე საბოლოოდ გააცამტვერა, რამაც ბასილ მკალავიშვილი აშშ-ს კონგრესში ედუარდ შევარდნაძეზე ცნობილ ფიგურად აქცია (თავად საქართველოს პრეზიდენტის სიტყვებია), რამაც საქართველოს უკვე შეუქმნა და მომავალშიც აუცილებლად შეუქმნის არაერთ პრობლემას.

პრეზიდენტის ასეთი მიდგომის ფონზე, უკვე შედარებით ნაკლებმნიშვნელოვნად მოჩანს ის ფაქტი, რომ გუშინ საქართველოს მთავრობის სხდომაზე განიხილეს "საქართველოს მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების რეალური თანასწორობის მიღწევისა და მათი უფლებების დაცვის 2003-2005 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ" პრეზიდენტის განკარგულების პროექტი, რომელიც საერთაშორისო ორგანიზაციების მოთხოვნით შეიქმნა. პროექტი, ზოგიერთი შენიშვნის გათვალისწინებით, მოიწონეს.

პრეზიდენტი ქართველობას "თვითკრიტიკისკენ" მოუწოდებს და უთუოდ დაავიწყდა, რომ სულ რამდენიმე თვის წინ, საქართველოში რელიგიური უმცირესობების დისკრიმინაციაზე საუბარს, სამშობლოსთვის სახელის შეგნებულად გატეხასა და ღალატს უწოდებდა.

### ისევ მესამე ვადაზე...

გუშინ მთავრობის სხდომაზე ედუარდ შევარდნაძის მხარდამჭერებს "არასაკანცელარიო" ძალებიც შეემატნენ.

მთავრობის სხდომაზე შევარდნაძის მესამე ვადით არჩევის ინიციატივით გუშინ "ღვთისშვილთა კავშირის" ლიდერი ზაზა სიხარულიძე გამოვიდა. **"აუცილებელია კონსტიტუციაში შესაბამისი ცვლილების განხორციელება, რათა პრეზიდენტს მესამე ვადით კენჭისყრის საშუალება მიეცეს, ან შემოღებული იყოს დენ სიაო პინის მმართველობის ფორმა, როდესაც გადადგომის მიუხედავად, ფაქტობრივად, იგი მაინც მართავს ჩინეთს,"** - განაცხადა მან და თან საკუთარი ორგანიზაციის სახელისუფლებო საარჩევნო ბლოკში გაერთიანების სურვილიც გამოთქვა.

**"საქართველოში მალე პოლიტიკური პარტიები ახალ დევიზს გამოაცხადებენ - ძირს შევარდნაძე, გაუმარჯოს დენ სიაო პინს,"** - იხუმრა პასუხად საქართველოს პრეზიდენტმა. მოგვიანებით კი, სულ სხვა კონტექსტში, მაგრამ მაინც - საქართველოს მოსახლეობას, სხვა ენებთან ერთად, ჩინური ენის შესწავლა ურჩია, რამდენადაც, მისი თქმით, ჩინეთის ინტერესი კავკასიის რეგიონისადმი სულ უფრო იზრდება. **"6 მილიონი ჩინელი უკვე ციმბირს მოედო,"** - შენიშნა პრეზიდენტმა.

ვახტანგ რჩეულიშვილს კი, რომელიც გუშინ მთავრობის სხდომაზე პრეზიდენტის მხარდამჭერთა რიგებს ავსებდა, სხვა აღარაფერი დარჩენოდა - ასეთი ინიციატივის ავტორს ბლოკში გაერთიანებაზე უარს ხომ ვერ ეტყოდა და ჟურნალისტებს განუცხადა კიდეც, რომ ასეთი გაერთიანების წინააღმდეგი არ არის. მით უმეტეს, რომ სიხარულიძემ პრეზიდენტის სიყვარულში მთელ მის გარემოცვას გადააჭარბა. **"პრეზიდენტის და მთავრობის პოლიტიკა სწორედ სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ არის მიმართული, რასაც ინვალიდები თავის თავზე გრძნობენ,"** - სიხარულიძის ეს განცხადება თვით მრავალნაცად მაამებლებსაც კი ეხამუშათ.

### პრეზიდენტის წინააღმდეგ შეთქმულების ფაქტი, რა თქმა უნდა, არ დასტურდება...

მთავრობის სხდომაზე გუშინ, მიუხედავად მოლოდინისა, მოხსენებით არ გამოსულა გენერალური პროკურორი, რომელმაც სამშაბათს საქართველოს პრეზიდენტს სახელმწიფო გადატრიალების შესახებ ჩატარებული მოკვლევის შედეგები უკვე მოახსენა. თუმცა, ჟურნალისტებისთვის მოკლე კომენტარი ამ თემაზე მაინც გააკეთა: **"პრეზიდენტის წინააღმდეგ საქართველოს მთავრობის წევრების მხრიდან შეთქმულების და სახელმწიფო გადატრიალების მიზნით შეხვედრის ფაქტი არ დასტურდება."** მან ისიც თქვა, რომ დაკითხულთა უმრავლესობამ პირველწყაროების დასახელებისგან თავი შეიკავა და აღნიშნა, რომ მათ უმრავლესობას პარლამენტარის იმუნიტეტი იცავს.

**"გამოძიების გაგრძელების პერსპექტივას ვერ ვხედავ. დეზინფორმაციის გამავრცელებლების პასუხისმგებლობის საკითხი დადგება იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდება, რომ მათ პირდაპირი განზრახვა ამოძრავებდათ,"** - დასძინა გაბრიჩიძემ.

## გურამ აბსანძე ყველა ოპოზიციურ პარტიას მოსალაპარაკებლად ეპატიჟება

*"ეროვნული სამართლიანობისა და თანხმობის კავშირი" კატეგორიულად ეწინააღმდეგება ამერიკული სამხედრო ბაზების შემოყვანას საქართველოს ტერიტორიაზე. გურამ აბსანძე აცხადებს, რომ ეს არის ანტიქართული ქმედება. ის ადანაშაულებს საქართველოს პრეზიდენტს და ამბობს, რომ ამ ნაბიჯით იგი აშინებს საქართველოს მოსახლეობას.*

ბელა მახარაძე

აბსანძე უარყოფითად აფასებს ამერიკელი სამხედროებისთვის პრივილეგიების მინიჭებას და ამბობს, რომ თუ ამერიკელებს ექნებათ პრივილეგიები, მაშინ ამერიკის ხელისუფლებისაგან ასეთივე პრივილეგიები უნდა მიეცეთ ქართველებსაც.

**"ყველა ის ქვეყანა, რომელიც თავის სამხედრო ბაზებს უთმობს ამერიკას, ღებულობს საკმაოდ სოლიდურ თანხებს, მაგალითად, თურქეთი საჩუქრად ღებულობს ექვს მილიარდ დოლარს და 20 მილიარდიან გრძელვადიან კრედიტს, საქართველო კი ამერიკისგან მიიღებს მხოლოდ ბომბებს,"**- აცხადებს აბსანძე. ის აცხადებს, რომ არ არის წინააღმდეგი ანტიტერორისტული ქმედებებისა, მაგრამ ყოვლად დაუშვებლად მიაჩნია ის მეთოდი და პრინციპი, რითაც სარგებლობს საქართველოს ხელისუფლება.

მეორე თემა, რაზეც აბსანძემ ყურადღება გაამახვილა, სავალუტო ფონდის მიერ დენის ტარიფის შემცირებაზე უარის თქმა იყო. აბსანძის პროგნოზით, "**საქართველოს საგარეო ვალებს არავინ ჩამოაწერს**" და ამასაც შევარდნაძის მორიგ ტყუილს უწოდებს.

"ეროვნული სამართლიანობის და თანხმობის კავშირი" ასევე ტყუილს და მოსახლეობისათვის თვალებში ნაცრის შეყრას უწოდებს სამშვიდობოების გაყვანის გაჭიანურების პროცესს აფხაზეთის ტერიტორიიდან და ამბობს: "**ეს სამშვიდობო ძალები რუსეთს და შევარდნაძეს სჭირდებათ იმისათვის, რომ დააფიქსირონ საზღვარი საქართველოსა და აფხაზეთს შორის**".

და რაც ყველაზე საინტერესოა, აბსანძის პრესკონფერენციის თემა იყო საარჩევნო კანონი, რომელიც პარტიას შეუმუშავებია და წარუდგენია პარლამენტისათვის დასამტკიცებლად. მათი მიზანია (ისევე როგორც ყველა დანარჩენი პარტიებისა) შემუშავდეს და დამტკიცდეს დემოკრატიული საარჩევნო კანონი. ამასთან დაკავშირებით, აბსანძე აცხადებს: " **დამხობილი ხელისუფლების წარმომადგენლები ხელს ვუწვდით ყველა ოპოზიციურ ძალას და შაბათს ვეპატიჟებით ჩვენს ოფისში, რათა მივიღოთ ერთობლივი გადაწყვეტილება საარჩევნო კანონზე**".

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# რეფორმა უნდა გატარდეს ახლავე და არა ოდესღაც, მომავალში

## საქართველო უნდა მოეშვას რუსეთზე ფიქრს და თავის პრობლემებს მიხედოს

პირველი გვერდიდან

ერთიანი ევროპის შექმნა გულისხმობს დასავლეთ ბალკანეთში სტაბილურობის მიღწევას, შავი ზღვის ირგვლივ უსაფრთხოების სისტემის შექმნას, მშვიდობის ზონის გავრცელებას უკრაინასა და ბელორუსზე.

**- რატომ უნდა იყოს ეს გაფართოება ბოლო და რა მოელით იმ ქვეყნებს, რომლებიც მის მიღმა დარჩებიან?**

- გადაჭრით იმის მტკიცება, რომ ეს ბოლო იქნება, ძნელია, თუმცა, სჯობს ჩვენ ისე მოვიქცეთ, თითქოს ეს ბოლო გაფართოებაა.

თუ გადავხედავთ მსოფლიო ისტორიას, გარდამავალი ეპოქები, ე.წ. "ისტორიის პლასტიკური პერიოდები", იშვიათად გრძელდება 20 წელიწადზე უფრო მეტ ხანს. ამის შემდეგ ყალიბდება ახალი სისტემა, რომელშიც ქვეყნებს თავიანთი სტრატეგიული არჩევანის შეცვლა ნაკლებად შეუძლიათ.

ცვლილებათა პერიოდი 1989 წლიდან დაიწყო და იგი ოდესღაც უნდა დასრულდეს. არ შეიძლება, სახლი სამუდამოდ შენდებოდეს. მომავალში სხვა პრობლემები იქნება. ამიტომ, სანამ დროა, უნდა მოასწრო.

**- ანუ, თუ საქართველო უახლოეს 5 წელიწადში ვერ გახდა ევროპის ნაწილი, იგი ან ისევ რუსეთის სატელიტად იქცევა, ან მუდმივად არასტაბილურ სახელმწიფოდ?**

- ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოები ხშირად თავიანთ მომავალს აბიტურიენტებივით უყურებენ: ან ჰარვარდი, ან არაფერი. არ არის საჭირო ასე აზროვნება. ყოველთვის იყვნენ და კიდევ იქნებიან ქვეყნები, რომლებიც სადღაც შუაში არიან. ასე იყო ფინეთი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ან კვიპროსი ბოლო 25 წლის მანძილზე. მომავალში ევროპასთან შეზღუდული თანამშრომლობა ექნებათ რუსეთს და, ალბათ, სერბიას, რომელიც ფიქრობს, რომ ისედაც საკმაოდ ძლიერია. ზოგმა, მაგალითად, ბელორუსმა, შეიძლება საერთოდ უარი თქვას ევროპასთან თანამშრომლობაზე.

ჩემი აზრით, კითხვა მდგომარეობს არა იმაში, რა დაემართება საქართველოს, გარეთ რომ დარჩეს, არამედ იმაში, რა გზა უნდა აირჩიოს მან.

**- საქართველომ არჩევანი უკვე გააკეთა. ახლა საქმე სტრატეგიისა და სწორი პარტნიორების არჩევაა. ამ მხრივ რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი?**

- ის, რომ საქართველომ არჩევანი გააკეთა, სავსებით ბუნებრივია. მაგრამ ერთია სურვილი და მეორე - რეალობა. თუ საქართველო სერიოზულად ეკიდება საბოლოო მიზანს, მაშინ იგი სერიოზულად უნდა მოეკიდოს გასავლელ გზასაც.

ნატო-ში გაწევრიანების კამპანიაში რამდენიმე უმნიშვნელოვანესი კომპონენტი არსებობს. პირველ რიგში, ესაა დემოკრატიული რეფორმა, რომელიც უნდა გატარდეს ახლავე და არა ოდესღაც, მომავალში. არის რაღაცეები, რისი გადადებაც არაფრით არ შეიძლება: სამხედრო რეფორმა, საარჩევნო კანონის შეცვლა, სერიოზული ბრძოლა კორუფციასთან, სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება, ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის შემცირება. ერთი სიტყვით, აუცილებელია ძალიან სწრაფად სრულმასშტაბიანი რეფორმის გატარება.

მეორე - აუცილებელია კარგი პარტნიორების შერჩევა. მარტო, შორს ვერ წახვალ. პარტნიორების პოვნის შემდეგ საჭიროა იმის დემონსტრირება, რომ მათთან თანამშრომლობა ხელს უწყობს რეგიონული უსაფრთხოების განმტკიცებას და ამით, თავისი წვლილი შეაქვს ერთიან ევროპულ უსაფრთხოებაში.

**- პარტნიორები უნდა იყვნენ ნატო-ს წევრები, თუ გაწევრიანების მსურველი ქვეყნები?**

- ორივე. ბალტიის ქვეყნების გაწევრიანებში დიდი როლი ითამაშა პოლონეთმა, უფრო სწორად, იმ ორგანიზაციამ, რომელშიც შედიოდა სამი ბალტიური და ოთხი ნორდული ქვეყანა.

საქართველოს შემთხვევაში, მას შეუძლია ითანამშრომლოს გაწევრიანების მსურველ ქვეყნებთან - ხორვატიასა, მაკედონიასა და ალბანეთთან, რომლებიც ნატო-ში ინტეგრირების გზაზე თითქმის იმავე მდგომარეობაში, ან ოდნავ წინ არიან. მნიშვნელოვანი იქნება რუმინეთთან და ბულგარეთთან თანამშრომლობა, რომლებიც მალე გახდებიან ალიანსის წევრები. დადებითი როლის შესრულება შეუძლია თურქეთს. და ბოლოს, საჭიროა თანამშრომლობა იმ ქვეყნებთანაც, რომლებიც გაწევრიანების გზაზე საქართველოზე უკან არიან, მაგალითად, აზერბაიჯანთან. ამგვარი თანამშრომლობა ხელს შეუწყობდა რეგიონული უსაფრთხოების განმტკიცებას.

**- როგორ უნდა დაარწმუნო ნატო, რომ შენ მისი ორგანული ნაწილი ხარ?**

- პრობლემა მდგომარეობს არა მარკეტინგში, არამედ პროდუქტის სრულყოფაში. დემოკრატიული ქვეყნები ძალიან სწრაფად ცნობენ ერთმანეთს.



"მარცხისაკენ ათასი გზა მიდის, წარმატებისაკენ კი - სულ ერთი-ორი."

მათი მოტყუება ან მოქრთამვა შეუძლებელია.

მერე, აუცილებელია ყველამ დაინახოს საქართველოს დადებითი მხარეები, რომელიც ამ ქვეყანას საკმაოდ გააჩნია. უახლოეს წლებში ჩვენ ამ მხრივ ბევრი მუშაობა მოგვიწევს.

ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანამ თვითონ არ მოახდინოს საკუთარი თავის დისკვალიფიკაცია. ნებისმიერი საკითხი შეიძლება წითელი ბარათის მიღების საბაბად იქცეს. პოლონეთის გაწევრიანება, მიუხედავად საყოველთაო მხარდაჭერისა, ხუთი წლით გაიწელა ანტისემიტიზმთან დაკავშირებული პრობლემების გამო.

საქართველომ არ უნდა დატოვოს არც ერთი საკითხი, რომელიც მისი დისკრედიტაციის საფუძვლად შეიძლება იქცეს. მან თავად უნდა განაცხადოს თავისი სუსტი მხარეების შესახებ და დაიწყოს მათი დაუყოვნებლივ გადაჭრა.

მე ვერ დავიწყებდი "მარკეტინგს", სანამ რეფორმები არ იძვრის.

**- მართალია, ეს ძალიან ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული, მაგრამ ყველაზე ოპტიმისტური შეფასებით, როდის ექნება საქართველოს შანსი?**

- თუ განვაზოგადებთ პოლონეთის, ჩეხეთის და უნგრეთის გამოცდილებას, სურვილის განცხადებიდან - გაწევრიანებამდე მათ ათი წელიწადი დასჭირდათ. ვილნიუსის ათეულის შემთხვევაში, 6 წელიწადი აღმოჩნდა საკმარისი. თუ 2003 წელს სერიოზულად მოვკიდებთ საქმეს ხელს, შეიძლება 2006-2007 წლებისათვის სერიოზული შედეგები გვქონდეს.

ნატო-ში შესვლა, როგორც წესი, წინ უსწრებს ევროკავშირში გაწევრიანებას. ნატო ყინულმჭრელის როლს ასრულებს. მას შემდეგ, რაც ალიანსი აგვარებს ქვეყნის უსაფრთხოების პრობლემას, უკვე პოლიტიკური ინტეგრაციის საკითხიც დგება.

წინასწარ ზუსტი პროგნოზის გაკეთება, რა თქმა უნდა, შეუძლებელია. ზოგიერთმა ქვეყანამ მთლიანად გაფლანგა 90-იანი წლები, ვერ დაანება თავი ჩაუშესკუს, არ განახორციელა პრივატიზება. ქვეყანას შეუძლია, იმდენი დრო დაკარგოს ტყუილად, რამდენიც მოესურვება.

აღმოსავლეთ ევროპის ბევრ ქვეყანას შანსების გაფლანგვის შანსი ხელიდან არ გაუშვია. ისინი თვითდისკვალიფიკაციის დიდოსტატები არიან. სლოვაკეთში მეჩიარის არჩევამ ეს ქვეყანა გამორიცხა გაფართოების პირველი ტალღიდან. მაკედონიის მიერ უკრაინული ტანკების შემოტანის შემდეგ, არათუ გაწევრიანების პერსპექტივა, ამ ქვეყანაში მშვიდობა დადგა ეჭვქვეშ. უკრაინის მთავრობის მიერ დაშვებულმა უმძიმესმა შეცდომამ - ერაყისათვის რადარების მიყიდვამ, 49 მილიონ ადამიანს გადაუწურა ნატო-ში შესვლის იმედი.

ახლაც, საკმარისია ერთი ანტისემიტური ინციდენტი იმ ქვეყანაში, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს ჰოლოკოსტში მონაწილეობდა და მორჩა, ერთი თაობის მანძილზე მაინც, მის გაწევრიანებას აღარაფერი ეშველება.

ასე რომ, მარცხისაკენ ათასი გზა მიდის, წარმატებისაკენ კი - სულ ერთი-ორი.

**- რომელი ქვეყნების დარწმუნება იქნება ყველაზე ძნელი, მხარი დაუჭირონ ნატო-ში საქართველოს გაწევრიანებას?**

- ყველაზე მნიშვნელოვანი, ბუნებრივია, მეზობელი ქვეყნების აზრია. მათ პოზიციას, როგორც წესი, უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ევროპის მეორე ბოლოში მდებარე ქვეყნების დამოკიდებულებას. საქართველოსათვის მნიშვნელოვანი იქნება თურქეთის მხარდაჭერა.

შეერთებული შტატების პოზიციას, რა თქმა უნდა, ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვს.

ზოგიერთი ქვეყანა, ტრადიციულად, სკეპტიკურია და უამრავ უხერხულ კითხვას სვამს. საკმაოდ კერკეტი კაკალია ინგლისი, თუმცა, ტექნიკური დახმარების მხრივ, მას დიდი სარგებლის მოტანა შეუძლია. ხანდახან, გერმანელები გაჯიუტდებიან ხოლმე და ამბობენ, რომ დაიღალნენ ცვლილებებით, უნდათ, ყველაფერი ისე დარჩეს, როგორც იყო. ფრანგებს, ტრადიციულად, სამეტაპიანი მიდგომა აქვთ: ჯერ ამბობენ - "არავითარ შემთხვევაში", შემდეგ - "რაც გინდათ, ის ქენით", და ბოლოს - "ეს თავიდანვე ჩვენი იდეა იყო".

ახალი წევრი ქვეყნები (აღმოსავლეთ ევროპის ათი სახელმწიფო) არასოდეს აძლევენ ხმას ერთმანეთის წინააღმდეგ. ეს ბუნებრივი ურთიერთდახმარების კლუბია. ვიცეგრადის ქვეყნებმა უზარმაზარი დახმარება გაუწიეს ვილნიუსის ათეულს. ახლა, ორივე ერთად მზად არის, საქართველოს დაეხმაროს.

ასე რომ, საქართველოს ათი ხმა უკვე აქვს. ეს იმაზე მეტია, ვიდრე რომელიმე ქვეყანას დასაწყისისათვის ჰქონდა.

**- თქვენ მონაწილეობდით ბალტიის ქვეყნების ნატო-ში გაწევრიანების პროცესში. თავიდან ამის სასტიკი წინააღმდეგი იყო რუსეთი. როგორ უნდა მოგვარდეს პრობლემა?**

- მე ყოველთვის ვეუბნებოდი ბალტიის ქვეყნებს, თავი დაენებებინათ იმაზე ფიქრისათვის, რას იზამდა რუსეთი და ეფიქრათ იმაზე, რა უნდა გაეკეთებინათ თვითონ. ისინი თავისი დროის 9/10-ს რუსეთზე საუბარს უთმობდნენ და საკუთარ პერსპექტივებზე სასაუბროდ დრო აღარ რჩებოდათ. ჩემი გულწრფელი რჩევა საქართველოსათვის იქნება, დროებით მოეშვას რუსეთზე ფიქრს და თავის პრობლემებს მიხედოს. განსაზღვროს თავისი არჩევანი და გასავლელი გზა.

რაღაც მომენტში ჩვენ დავუბრუნდებით კონფლიქტებისა და ორმხრივი ურთიერთობების საკითხებს, მაგრამ უკეთესი იქნება, ეს მოგვიანებით გაკეთდეს, უფრო ფართო კონტექსტში და ევროპული სახელმწიფოების უფრო აქტიური მონაწილეობით. რუსეთის თანხმობა არ არის აუცილებელი წინაპირობა გაწევრიანების პროცესის დასაწყებად. რუსეთის საკითხი პროცესის სულ ბოლო ფაზაში უნდა გადაიჭრას.

**- რამდენად დააბრკოლებს, ერთი მხრივ, კონფლიქტების არსებობა და, მეორე მხრივ, რუსული სამხედრო ბაზები საქართველოს გაწევრიანების პროცესს?**

- სტაბილურობა და ტერიტორიული მთლიანობა, რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია.

ბაზების საკითხი უფრო რუსების პრობლემაა, რომლებიც არ ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებას. არ მესმის, ვინმემ რატომ უნდა დაადანაშაულოს ან დასაჯოს საქართველო რუსეთის უპასუხისმგებლობის გამო. ის, რომ საბჭოთა ჯარის ნარჩენები არის კალინინგრადში, ეს არის არა ლიტვის, არამედ რუსეთის პრობლემა. აფხაზეთი, ოსეთი და პანკისი საქართველოსა და რუსეთის საერთო პრობლემებია. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ისინი, ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის საშუალებით გადაიჭრება.

# შორია მშვიდობიან კავკასიამდე...

პირველი გვერდიდან

გუშინ სომხური მხარე აცხადებდა, რომ აზერბაიჯანელებმა ეს ნაბიჯი გამიზნულად გადადგეს, რათა კიდევ ერთხელ **"მიეპყროთ საერთაშორისო ორგანიზაციების ყურადღება მთიანი ყარაბაღის პრობლემებისადმი, თუმცა არსებობდა წინასწარი შეთანხმება, რომლის თანახმად, ფორუმის მონაწილეები რეგიონულ კონფლიქტებს არ შეეხებოდნენ."**

**"მათ დღეს ტრიბუნა გამოიყენეს და ეს საკითხი სპეციალურად წამოწიეს,"** - განუცხადა "24 საათს" სომხური დელეგაციის თავკაცმა ტიგრან ტოროსიანმა.

**"დღევანდელი შეხვედრა სომხურმა მხარემ ჩაშალა. გაგვაგებინეთ, ჩვენ რატომღა უნდა მოვიხადოთ ბოდიში?"** –კითხულობდა, თავის მხრივ, სიაუშ ნოვრუზოვი. მისივე თქმით, აზერბაიჯანული მხარის განცხადება მხოლოდ იმით იყო გამოწვეული, რომ ხოჯალის ტრაგედია სწორედ 26 თებერვალს მოხდა. **"მთიანი ყარაბაღის პრობლემაზე საუბარს ჩვენ არ ვაპირებდით," -** აცხადებდნენ აზერბაიჯანული დელეგაციის სხვა წევრებიც. ამ სკანდალიდან, დაახლოებით, ნახევარ საათში, სასტუმრო "მერიოტში" სომხეთის ელჩი გამოჩნდა. მოგვიანებით, საკუთარ თანამემამულეებს აზერბაიჯანის ელჩიც შეუერთდა.

შემდეგ კი მოვლენები ასე განვითარდა:

სომხური დელეგაცია, ოთხი საათის განმავლობაში, დახურულ კარს მიღმა განცხადების ტექსტზე მუშაობდა, რომლის შინაარსიც პრესისთვის გასაიდუმლოებული იყო. მოგვიანებით, ამ ტექსტს უკვე აზერბაიჯანელებიც გაეცნენ. თუმცა, როგორც ჩანს, მათთვის მისი პათოსი მიუღებელი აღმოჩნდა. საბოლოოდ გადაწყდა, რომ ფორუმის მონაწილეები საერთო განცხადებაზე უკვე დღეს იმუშავებდნენ, ოღონდ წმინდად სამუშაო ვითარებაში. ეს კი ნიშნავს, რომ დღევანდელი სხდომა პრესისთვის დახურული იქნება.

"24 საათისთვის" ცნობილი გახდა განცხადების ის ორი პუნქტი, რომელმაც ორი ქვეყნის პარლამენტარების აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. კერძოდ, სომხური მხარის კატეგორიული მოთხოვნით, ფორუმის მონაწილეებს თავი უნდა შეეკავებინათ ერთმანეთის შეურაცხმყოფელი განცხადებებისაგან და მეორე - დელეგაციების წევრებს უნდა გამოეხატათ სინანული გუშინდელი ინციდენტის თაობაზე. ორივე პუნქტი აზერბაიჯანული დელეგაციის წევრებისათვის მიუღებელი აღმოჩნდა.

უნდა ითქვას, რომ მოვლენების ამგვარ განვითარებას გუშინ არავინ ელოდა. საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტის თავმჯდომარის მისალმებებში ისმოდა მოწოდება, რომ უამრავი პრობლემების მიუხედავად, ფორუმის მონაწილეებს და, მთლიანად, სამხრეთ კავკასიის პარლამენტარებს მაქსიმალურად გამოეყენებინათ ყველა შესაძლებლობა, რათა **"გაღრმავებულიყო სამივე ქვეყნის საპარლამენტო თანამშრომლობა, რითაც შესაძლებელი გახდებოდა სამხრეთ კავკასიაში თანხმობისა და გრძელვადიანი სტაბილურობის დამყარება, რაც იმის აუცილებელი პირობა იქნება, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ამ რეგიონმა თავისი ღირსეული ადგილი დაიკავოს ევრო-ატლანტიკური უსაფრთხოების არქიტექტურაში"** (ფრაგმენტი საქართველოს პრეზიდენტის მისასალმებელი სიტყვიდან).

**"სამხრეთ კავკასია ერთ-ერთი ყველაზე არასტაბილური რეგიონია პოსტსაბჭოთა სივრცეში. ჩვენი ქვეყნების სახელმწიფოებრიობა ჯერ კიდევ საკმაოდ სუსტია და ჩვენ ჯერაც ვერ შევძელით ახალ საერთაშორისო სისტემაში საკუთარი ადგილის პოვნა. ამ ვითარებაში, ჩვენი უმთავრესი ამოცანა უსაფრთხო რეგიონის შექმნაა, თუმცა, სამწუხაროდ, არსებობს მთელი რიგი პრობლემები, რომლებიც ამას ხელს უშლის – ეთნიკური კონფლიქტები, სუსტი საბაზრო ეკონომიკა..." -** ეს უკვე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის გამოსვლის ფრაგმენტია.



აზერბაიჯანის დელეგაციამ ვერ გაიგო, რისთვის უნდა მოეხადა ბოდიში.

ჯერ კიდევ დილით ფორუმის მონაწილენი იმედოვნებდნენ, რომ უკვე ხვალ შემუშავდებოდა ერთობლივი მემორანდუმი, რომელიც საზოგადოებას სამხრეთ კავკასიის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის შექმნას აუწყებდა. ამის დიდი იმედი ჰქონდათ საერთაშორისო ორგანიზაცია "ლინქსის" წარმომადგენლებს, რომელთა უშუალო ძალისხმევით მოხერხდა ამ ფორუმის გამართვა.

გუშინდელი სხდომის დაწყებისთანავე, საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე ზვიად მუკბანიანი იმედოვნებდა, რომ **"ევროატლანტიკური ინტეგრაციის მიზნით, რეგიონული თანამშრომლობის იდეას აზერბაიჯანელებიცა და სომხებიც იმ პრობლემაზე მაღლა დააყენებდნენ, რასაც მთიანი ყარაბაღი ეწოდება."** თუმცა, გუშინ ეს ვერ მოხერხდა.

და ბოლოს: გუშინდელ შეხვედრას საქართველოში რუსეთის ელჩის პირველი მოადგილეც ესწრებოდა, რომელმაც "24 საათთან" საუბარში აღნიშნა, რომ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს რუსეთის გარეშე საკუთარი უსაფრთხოებისა და ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხების გადაწყვეტა გაუჭირდებოდათ. **"ამის მიუხედავად, რუსეთი ამ ფორუმზე თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ამის მიზეზი ჩემთვის ჯერჯერობით გაუგებარია,"** - განაცხადა მან და იქვე დასძინა, რომ **"რუსეთის საელჩოს არ აქვს უფლება, რუს პარლამენტართა სახელით ამის თაობაზე პროტესტი გამოთქვას".**

როგორც ჩანს, ამას უახლოეს მომავალში თავად რუსი პარლამენტარები გააკეთებენ.

# ამომრჩეველთა სიებზე ორი ჯგუფი მუშაობს

*პარლამენტის ინტერფრაქციული ჯგუფის პარალელურად, საქართველოში ამომრჩეველთა ზუსტი რიცხვის დადგენასა და საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტების ახალ წესზე ე.წ. "ცაცანაშვილის ქვეკომისიაც" მუშაობს. უკვე რამდენიმე კვირაა, რაც ორივე ჯგუფი პარლამენტში სისტემატურად იკრიბება და დაახლოებით ერთსა და იმავე გადაწყვეტილებებს იღებს, მაგრამ ყველაზე პარადოქსული ის არის, რომ მათ ერთმანეთის საქმიანობის შესახებ ძალზე ცოტა რამ იციან.*

თამარ ასათიანი

პრეზიდენტის ბრძანებით შექმნილმა ქვეკომისიამ, რომელსაც შევარდნაძის საპარლამენტო მდივანი მარიამ ცაცანაშვილი ხელმძღვანელობს, მორიგი სამუშაო შეხვედრა გამართა.

ცნობისთვის: ამ ქვეკომისიას იმდენად რთული და ძნელად დასამახსოვრებელი სახელწოდება აქვს, რომ სჯობს, იგი, უბრალოდ, "ცაცანაშვილის ქვეკომისიად" მოვიხსენიოთ. თავად განსაჯეთ: მას "საქართველოს საკონსტიტუციო საკითხთა შემსწავლელი და წინადადების შემმუშავებელი კომისიის საარჩევნო სისტემის სრულყოფის თაობაზე წინადადებების შემსწავლელი ქვეკომისია" ეწოდება.

ქვეკომისიის წევრებმა ზუსტად იმ საკითხზე იმსჯელეს, რაც ორი დღის წინ პარლამენტის ინტერფრაქციულმა ჯგუფმა განიხილა. გადაწყვეტილებაც, დაახლოებით, ერთნაირი იყო – ორი დღის წინ პარლამენტარებმა ამომრჩეველთა ზუსტი რაოდენობის დასადგენად ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოების, შინაგან საქმეთა, ლტოლვილთა და განსახლებისა და იუსტიციის სამინისტროებისაგან აქტიური ქმედებების დაწყება მოითხოვეს.

ანალოგიური მოთხოვნა გაისმა მარიამ ცაცანაშვილის ქვეკომისიის სხდომაზეც. სამსაათიანი დებატების შემდეგ, ქვეკომისიის წევრებმა, პრეზიდენტის განკარგულების პროექტის პირველადი მონახაზი გააკეთეს, რომლის თანახმად, **"ამომრჩეველთა სიების შედგენა-დაზუსტების მიზნით, პირველ ივნისამდე თვითმმართველობისა და მმართველობის, აგრეთვე, შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიულმა ორგანოებმა თვითმმართველობის ერთეულების მიხედვით უზრუნველყონ, რეგისტრაციის შესაბამისად, ამომრჩეველთა მონაცემების შედგენა."**

როგორც არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები აცხადებენ, ამ ქვეკომისიის საქმიანობით პარლამენტი საერთოდ არ ინტერესდება.

თავის მხრივ, არც ცაცანაშვილის ქვეკომისია იჩენს განსაკუთრებულ ყურადღებას პარლამენტის ინტერფრაქციული ჯგუფის საქმიანობისადმი. თავად პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი ამას შემდეგნაირად ხსნის: ამომრჩეველთა ზუსტი რიცხვის დადგენა აღმასრულებელი ხელისუფლების პრეროგატივაა და პარლამენტი ამ საქმეში მოგვიანებით უნდა ჩაერთოს.

ამასთან, მარიამ ცაცანაშვილი საკმაოდ სკეპტიკურად უყურებს პარლამენტართა სურვილს არჩევნებამდე დარჩენილ პერიოდში ამომრჩევლებზე ახალი პირადობის მოწმობების გაცემას თაობაზე. **"ეს არარეალურია,"** - ამბობს მარიამ ცაცანაშვილი. შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით თოდუა კი აცხადებს, რომ **"ეს პროცედურა აუცილებლად შესასრულებელია, მაგრამ მას, მინიმუმ, ოთხი-ხუთი წელი მაინც დასჭირდება."**

# ერაყის შემდეგ ნატო რუსული ბაზებისთვისაც მოიცლის

სოფო ბუკია

**"ერაყის პრობლემის მოგვარება აუცილებელია დემოკრატიის შემდგომი განვითარებისთვის, თავად ერაყი განთავისუფლდება ტირანიისგან, თურქეთი და საქართველო კი აღმოსავლეთ ევროპის ცენტრებად იქცევიან,"** – აცხადებს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ნატო-ში გაწევრიანების მთავარი ლობისტი, გარდამავალი დემოკრატიების პროექტის პრეზიდენტი ბრიუს ჯეკსონი, რომელმაც გუშინ არასამთავრობო ორგანიზაციის - "საქართველო ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში" - ოფისში ჟურნალისტებთან შეხვედრა გამართა.

როგორც ჯექსონმა აღნიშნა, ნატო-ში გაწევრიანების მსურველ ყველა ქვეყანას ტირანიასთან დაუღალავი ბრძოლა და საკუთარ თავდაცვისუნარიანობის ამაღლებაზე ზრუნვა მოუწევს.

საუბარი საქართველოში განლაგებულ რუსეთის სამხედრო ბაზებსაც შეეხო. როგორც ჯეკსონი აღნიშნავს, რუსეთმა აუცილებლად უნდა შეასრულოს სტამბულის სამიტზე ნაკისრი ვალდებულება და საქართველო სამხედრო ბაზებისგან უნდა გაანთავისუფლოს. ერაყთან ურთიაერთობის გარკვევის შემდეგ, ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის წევრი ქვეყნები რუსეთს სწორედ სტამბულის ხელშეკრულების შესრულებას მოსთხოვენ. ჯეკსონის თქმით, რუსეთი განგებ აჭიანურებს საქართველოდან ბაზების გაყვანის პროცესს, რაც მხოლოდ ტექნიკურ მიზეზებით არ არის გამოწვეული.

როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, რუსეთი საქართველოს ნატო-სკენ სწრაფვას საკმაოდ არაკეთილგანწყობით ხვდება. ნატო-ში გაერთიანებით საქართველო ხომ გარკვეულწილად რუსეთის აგრესიისგან თავდაცვას ცდილობს, აღნიშნული მოსაზრება ხშირად არ გამოითქმის, მაგრამ ყოველთვის იგულისხმება. **"ნატო რუსეთის მოწინააღმდეგე დაჯგუფებად არ უნდა აღიქმებოდეს. ბალტიისპირეთის ქვეყნების ნატო-ში გაწევრიანება სულაც არ ნიშნავდა ამ ზონიდან რუსეთის გამოდევნას. ეს ამ ქვეყნების არჩევანი იყო. საქართველოს შემთხვევაშიც ასეა."**

# "ახლებს" პროკურატურის დასკვნის არ სჯერათ

"ახალი მემარჯვენეები" კვლავ ამტკიცებენ, რომ სახელმწიფო მინისტრის, ავთანდილ ჯორბენაძის ბინაზე ადგილი ჰქონდა აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენელთა შეკრებებს, სადაც განიხილებოდა პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის პოსტიდან ჩამოცილების გეგმები, მათ შორის რუსული ვარიანტი.

როგორც "ახალი მემარჯვენეების" ლიდერმა ლევან გაჩეჩილაძემ პრაიმნიუსს განუცხადა, სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე და შს მინისტრი კობა ნარჩემაშვილი თავიანთ პოსტებს სახელმწიფო გადატრიალების მოწყობის მიზნით იყენებენ.

ოთხშაბათს, მთავრობის სხდომაზე გენერალურმა პროკურორმა ნუგზარ გაბრიჩიძემ პრეზიდენტის წინააღმდეგ მთავრობის წევრთა მხრიდან შეთქმულების და სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის ფაქტი არ დაადასტურა.

ლევან გაჩეჩილაძის თქმით, პროკურატურა დამოუკიდებელი ორგანო არ არის და მისი დასკვნაც, შესაბამისად, რეალურ საფუძვლებს არ ემყარება.

# ახალი ერთიანი საინფორმაციო ბანკის შექმნა 1 500 000 დოლარი ღირს

ახალი ერთიანი საინფორმაციო ბანკის შექმნა, რომელიც ქვეყნის შიგნით შემოსული ტვირთის გადაადგილებას კომპიუტერული მეთოდით გააკონტროლებს, 1 500 000 დოლარი ღირს.

როგორც მთავრობის სხდომაზე ინფორმატიზაციის დეპარტამენტის თავმჯდომარემ დავით თარხან-მოურავმა განაცხადა, ახალი სისტემა ელექტრონული პელენგაციის მეთოდს გულისხმობს. ის დაინერგება როგორც საგადასახადო, ისე საბაჟო სისტემაში და ხელს შეუწყობს კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლას. ერთიანი საინფორმაციო ბანკის შექმნის კონცეფცია თარხან-მოურავმა წარმოადგინა. კონცეფციის თანახმად, ქვეყნის ტერიტორიაზე შემოსვლისას ტვირთის გადამზიდს დაურიგდება ელექტრონული პასპორტი, რომელიც 25-30 ლარი ეღირება და 5 წლის ვადით იმოქმედებს. პასპორტის მფლობელის გადაადგილების გაკონტროლება კომპიუტერული სისტემის მეშვეობით შეიძლება. **"ეს მნიშვნელოვანია არა მხოლოდ კონტრაბანდული საქონლის აღსარიცხად, არამედ ოპერატიული თვალსაზრისითაც. იგი დაეხმარება შსს-ს აკონტროლოს ავტომანქანები, თუ ეს სისტემა, სურვილის მიხედვით, დაინერგება ჩვეულებრივ ავტომანქანებზე,"** - დასძინა თარხან-მოურავმა.

მისი თქმით, ამჟამად აშშ-ს კორპორაცია "კოსმოს" აქვს სურვილი დანერგოს ეს სისტემა საქართველოში, მაგრამ თუ ტენდერი გამოცხადდა, არ არის გამორიცხული, რომ მსურველთა წრე გაფართოვდეს. პრეზიდენტს ამ კონცეფციის შეფასებისას განსაკუთრებული შენიშვნები არ გამოუთქვამს და დიდი მნიშვნელობა მიანიჭა იმას, რომ სისტემა ყოველგვარი რეპრესიული მეთოდების გარეშე დაინერგება და იგი კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისას ხსენებულ მეთოდებს გამორიცხავს. **კავკას-პრესი**

# შარშან რუსეთში ქრთამად 16 მილიარდი დოლარი აიღეს

შარშან რუსეთის ჩინოვნიკებმა ქრთამის სახით მიიღეს 16 მილიარდი დოლარი. სწორედ ამ თანხად შეაფასეს საერთაშორისო ექსპერტებმა კორუფციის მოცულობა რუსეთში.

საინტერესო ისაა, რომ „შემფასებლები" მხოლოდ ინფორმაციის ღია წყაროებით სარგებლობდნენ. მაგალითად, აანალიზებდნენ სხვაობას ამა თუ იმ ჩინოვნიკის ოფიციალურ შემოსავალსა და ცხოვრების დონეს შორის. აღმოჩნდა, რომ რეალურად საქმე გაცილებით უარესადაა, ვიდრე საზოგადოებას ჰგონია.

ექსპერტებმა აგრეთვე გამოითვალეს, რომ ზარალი, რომელიც ქვეყანას მიადგა, 20 მილიარდ დოლარს უახლოვდება. ეს უპირატესად არის ის ინვესტიციები, რომელიც ქვეყანამ ვერ მიიღო ჩინოვნიკთა კორუმპირებულობის გამო. მათი შეფასებით, „ქრთამის" ბაზარზე ლიდერები არიან შინაგან საქმეთა სამინისტრო და საგადასახადო ორგანოები. **მედია-ნიუსი**

# შუახეველ გლეხებს გერმანელები წვრთნიან

მარტში, "მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების განვითარების" პროგრამის ფარგლებში შერჩეულ სოფლებში ფერმერთა საინიციატივო ჯგუფები შეიქმნება, რომლებიც სოფლების განვითარების გეგმებს შეადგენენ პროგრამის მართვის ცენტრისა და "მთიანი რეგიონების განვითარების საერთაშორისო ასოციაციის" (MADI) სპეციალისტებთან ერთად.

სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის - IFAD-ის მიერ შემუშავდა "საქართველოს მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა", რომლის მიზანია, მეურნეობის განვითარებაში ტექნიკური დახმარება აღმოუჩინოს საქართველოს ზღვის დონიდან 1000 მეტრზე მაღლა მდებარე სოფლებს. ტენდერის შედეგად შეირჩა გერმანული საერთაშორისო ორგანიზაცია MADI, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ტექნიკურ მხარეს.

აღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებით, შუახევის რაიონში გაიმართა სემინარი, რომელშიც მონაწილეობდა შუახევის რაიონის სოფლების 18 ფერმერი. მომავალში ისინი თავად გახდებიან სოფლებში ამ პროგრამის პირველი დესპანები. სემინარზე MADI-ს ხელმძღვანელმა ეკეჰარდ კლემენსმა ისაუბრა სოფლების განვითარების გეგმების შედგენაზე. სპეციალისტებმა სემინარის მონაწილეებს გააცნეს მეცხოველეობისა და მემცენარეობის დარგში არსებული ახალი ტექნოლოგიები. **კავკას-პრესი**

## მოკლედ

**თბილისი.** სავარაუდოდ, სს "თბილგაზზე" დედაქალაქის მთავრობის მიერ გამოცხადებული ერთთვიანი ტენდერის ვადა გაგრძელდება. როგორც თბილისის ქონების მართვის სამმართველოს უფროსმა იური მაისაშვილმა განაცხადა, ჯერჯერობით, ტენდერში მონაწილეობისათვის განაცხადი არც ერთ კომპანიას არ წარმოუდგენია, მიუხედავად იმისა, რომ ტენდერის ვადა დასასრულს მიუახლოვდა. მაისაშვილის ინფორმაციით, "თბილგაზზე" გამოცხადებულ ტენდერს მერია გააგრძელებს, თუმცა რამდენი ხნით - ცნობილი არ არის. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**რუსთავი.** "რუსთავწყალმა" ურჩი გადამხდელების მიმართ სადამსჯელო სანქციების გატარება დაიწყო. თუ უახლოეს დღეებში რუსთავის წარმოება-დაწესებულებები სააქციო საზოგადოება "რუსთავწყლის" მიმართ არსებული დავალიანებების დაფარვის გრაფიკს არ წარმოადგენენ, წყლის მიწოდება მათაც შეუწყდებათ. **"ინტერ-პრესი"**

■ ■ ■

**სოხუმი.** აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრო ამზადებს წინადადებებს კავშირგაბმულობის დარგის რეფორმირების შესახებ. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობისათვის საჭირო მილებით დატვირთული მესამე გემი ბათუმის პორტში 1 მარტს შევა. როგორც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიაში განაცხადეს, საქართველოს ტერიტორიაზე ნავთობსადენის მშენებლობისათვის საჭირო მილები ბათუმის პორტში შევა, აზერბაიჯანისათვის განკუთვნილი - ფოთის პორტში. ნავთობსადენისთვის საჭირო მილების ჩამოცლა საქართველოში, სავარაუდოდ, ოქტომბერში დასრულდება. ბათუმში სულ 13 გემის შემოსვლა იგეგმება. მორიგი გემი ბათუმის პორტში 14 მარტს უნდა შვიდეს.**"ინტერ-პრესი"**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით, ანტიკორუფციულ ბიუროს, მისი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, 530 000 ლარი გამოეყო. როგორც პრეზიდენტის ბრძანებულებაშია აღნიშნული, ეს თანხა გამოიყოფა პრეზიდენტის ფონდიდან. შესაბამისი დავალება მიეცა ფინანსთა მინისტრს მირიან გოგიაშვილს. უნდა აღინიშნოს, რომ ბიუროს თანამშრომლებს საკმაოდ მაღალი ანაზღაურება აქვთ, თითქმის პრეზიდენტის ხელფასის ტოლი - 1000 ლარამდე. **კავკას-პრესი.**

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2003 21 - 27 თებერვლის მდგომარეობით




მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები

| | UK£ | US$ | €uro | ¥en |
|---|---|---|---|---|
| UK£ | | 0.6347 | 0.6826 | 0.0054 |
| US$ | 1.5755 | | 1.0753 | 0.0085 |
| €uro | 1.4651 | 0.9299 | | 0.0079 |
| ¥en | 185.02 | 117.42 | 126.27 | |

### 2003 წლის 27 თებერვალი უცხოური ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები:

| | | | |
|---|---|---|---|
| ევრო | 1 | 2.3314 | ლარი |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | 1 | 3.4212 | ლარი |
| შვეიცარიული ფრანკი | 1 | 1.5964 | ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.1700 | ლარი |
| თურქული ლირა | 10 | 1.3342 | ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0687 | ლარი |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 000 | 0.4429 | ლარი |
| სომხური დრამი | 100 | 0.3692 | ლარი |
| უკრაინული გრივნა | 10 | 4.0682 | ლარი |

# „ნუ ატყუებთ ხალხს და საკუთარ თავს"!

პირველი გვერდიდან

სამი მსხვილი საწარმოს: "საქართველოს რკინიგზის", "მადნეულისა" და ფოთის პორტის საერთაშორისო აუდიტის დაგვიანებისა და სახელმწიფო ბიუჯეტში პრივატიზებიდან 41 მილიონი ლარის დაგეგმვის გამო. ამის შემდეგ პაოლო ნეუჰაუსი პრეზიდენტს შეხვდა და ფისკალური პრობლემების არჩევნებამდე მოგვარება ურჩია.

მიუხედავად ამ ყველაფრისა, საქართველოს მთავრობა, სავალუტო ფონდის დასკვნასთან დაკავშირებით, ჯიუტად ინარჩუნებს ოპტიმიზმს. ფინანსთა სამინისტროში აცხადებენ, რომ იანვარ-თებერვალში შემოსავლების მაჩვენებლებით მთელი წლის ტენდენციებზე ლაპარაკი არ შეიძლება. ქონების მართვის სამინისტრო, რომელმაც 2002 წელს პრივატიზაციიდან მხოლოდ 8,7 მილიონი ლარი შეიტანა ბიუჯეტში, დარწმუნებულია, რომ წელს 41-მილიონიან გეგმას შეასრულებს. 2003 წლის ბიუჯეტის დამტკიცებამდე რამდენიმე დღით ადრე, მთავრობამ, იმერეთში არსებული ხუთი ჰესის გაყიდვა და შემოსავლების ასე გაზრდა გადაწყვიტა. აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტომ შეშფოთება გამოთქვა ამ გადაწყვეტილების გამო, რაც მთლიანად გაიზიარა სავალუტო ფონდმა და მთავრობას ჰესების გაყიდვა აუკრძალა.

გუშინ სავალუტო ფონდის მისია ქონების მართვის მინისტრს სოლომონ პავლიაშვილს შეხვდა. დღეს კი, პავლიაშვილმა სავალუტო ფონდს დაგეგმილი პარამეტრების გეგმა უნდა წარუდგინოს, ალტერნატიული საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხასთან ერთად. სამინისტროში აცხადებენ, რომ ჰესების ნაცვლად გაყიდიან "მადნეულს", "ფეროს", "საქწიგნის" მაღაზიებს და გეგმას შეასრულებენ. თუმცა, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ სამინისტრო გეგმას მხოლოდ 20 მილიონი ლარით შეასრულებს და, ამდენად, ბიუჯეტის სეკვესტრი გარდაუვალია. სახელმწიფო მინისტრის მოადგილის გიორგი ისაკაძის აზრით კი, ქვეყანას ფონდის მიერ დატოვებული ვალდებულებების უმეტესი ნაწილი შესრულებული აქვს, ხოლო დანარჩენის შესრულება უმოკლეს ვადებში მოხდება. ისაკაძე დარწმუნებულია, რომ საბოლოო ჯამში ფონდი დადებით დასკვნს დაწერს და საქართველოსთვის 30 მილიონი დოლარის ოდენობის ტრანშის გამოყოფის საკითხიც სასიკეთოდ გადაწყდება. ხელისუფლების მხრიდან ამგვარი განწყობილება, ალბათ, გასაკვირი არაა, თუ გავიხსენებთ მთავრობის ბოლო გაფართოებულ სხდომას, სადაც სირაქლემას პოზაში მყოფი მინისტრები და პრეზიდენტი ერთმანეთს ქვეყნის განვითარების შესახებ "ამბებს" უყვებოდნენ.



სსფ-ის მისია მემორანდუმს - საქართველოს მთავრობის "ნიშნების ფურცელს" ავსებს.

ამ ფონზე, დამოუკიდებელი ექსპერტები, სრულიად განსხვავებულ პროგნოზებს აკეთებენ მისიის მემორანდუმთან დაკავშირებით. ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის წევრს შოთა გვენეტაძეს მიაჩნია, რომ მემორანდუმი საკმაოდ მკაცრი იქნება, რაც გამოიწვევს ურთიერთობის გაუარესებას სხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან. **"სავსებით რეალურია საფრთხე, რომ სავალუტო ფონდმა საქართველოსთან პროგრამის შეწყვეტის თაობაზე მიიღოს გადაწყვეტილება. ეს, ალბათ, ჩვენთვის მოგვიანებით გახდება ცნობილი,"** – აცხადებს იგი. ასევე პესიმისტურია სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდის ექსპერტის ლადო პაპავას პროგნოზიც. **"სავალუტო ფონდი უნდა გვეუბნებოდეს, რომ პარლამენტმა შეუსრულებადი ბიუჯეტი არ უნდა დაამტკიცოს? რომ ქვეყანაში გაუმართლებელი საგადასახადო შეღავათები არ უნდა არსებობდეს? ეს ყველაფერი ხომ ისედაც იცის ჩვენმა მთავრობამ! კიდევ კარგი, ეს სავალუტო ფონდი მაინც არსებობს, რომ ხელისუფლებას უთხრას, ნუ ატყუებთ ხალხს და საკუთარ თავსო,"** – აცხადებს ლადო პაპავა. მისი აზრით, ფონდის შეფასებები საკმაოდ მკაცრი იქნება.

პარლამენტის გადასახადებისა და შემოსავლების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს "აღორძინების" წევრ ნოდარ ჯავახიშვილს მიაჩნია, რომ სავალუტო ფონდის ამჟამინდელი დამოკიდებულება საქართველოსადმი არაადექვატურია. ჯავახიშვილის აზრით, ანალოგიურ სიტუაციაში წინა წლებში, ან სხვა ქვეყანასთან ურთიერთობისას, სავალუტო ფონდს დიდი ხნის შეწყვეტილი ექნებოდა პროგრამა. **"ქვეყანასთან, რომელსაც არასოდეს შეუსრულებია ბიუჯეტის პარამეტრები, სავალუტო ფონდს უფლებაც კი არა აქვს ურთიერთობა ჰქონდეს,"** – აცხადებს ნოდარ ჯავახიშვილი.

ოპოზიციის სხვა წარმომადგენლები, კერძოდ, "გაერთიანებული დემოკრატები" სავალუტო ფონდის მისიას დღეს ხვდებიან. როგორც მიხეილ მაჭავარიანმა "24 საათთან" საუბარში განაცხადა, შეხვედრა მიზნად ისახავს იმ პრობლემების განხილვას, რაც ქვეყნის ეკონომიკაში არსებობს. **"მე მინდა, მათ უფრო გულახდილად ვესაუბრო, რომ რვა თვის შემდეგ, როცა ეს ხელისუფლება წავა, ჩვენ არ დაგვხვდეს ის პრობლემები, რაც მათ შექმნეს,"** – განაცხადა მაჭავარიანმა.

სავალუტო ფონდის მემორანდუმი ოთხ დღეში მზად იქნება. მისია წინასწარი შეფასებებისგან თავს იკავებს. ჯერჯერობით არავინ იცის ზუსტად, რას ფიქრობს პაოლო ნეუჰაუსი, რომლის დასკვნებზეც ბევრად იქნება დამოკიდებული ფინანსური და ეკონომიკური სტაბილურობა საქართველოში.

# ფრიდონ ინჯია ძველ პარტნიორებს უჩივის

ნინო ნარჩემაშვილი

*კავშირგაბმულობის ყოფილმა მინისტრმა, ლეიბორისტული პარტიის პოლიტიკურმა მდივანმა, პარლამენტარმა ფრიდონ ინჯიამ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის, "ახალი ქსელებისა" და "საქართველოს ელექტროკავშირის" წინააღმდეგ საკონსტიტუციო და საოლქო სასამართლოებში ერთდროულად აღძრა სარჩელი. მისი საჩივარი მომატებულ საგადამხდელო ტარიფებს ეხება, რომელთა მოქმედებაც 1 მარტიდან შედის ძალაში და კერძო სექტორში ორ ლარს, ხოლო სახელმწიფო სექტორში ოთხ ლარს უტოლდება.*

გუშინ ფრიდონ ინჯიამ პარლამენტში საგანგებო პრესკონფერენცია გამართა, რომელზეც განაცხადა, რომ სატელეფონო მომსახურების ტარიფის გაზრდა მოსახლეობისთვის მიუღებელია და არღვევს ადამიანის უფლებებს. თანაც, დღევანდელი ცხოვრების სოციალური და ფინანსური ფონი ვერანაირად ვერ უზრუნველყოფს გაზრდილი ტარიფების გადახდას. ინჯია აცხადებს, რომ აქ კონკრეტული პიროვნებების ინტერესებია ჩადებული, მაგრამ ამ პიროვნებებს არ ასახელებს.



კავშირგაბმულობის ყოფილი მინისტრი კოლეგებს უჩივის.

იგი აგრეთვე უარყოფს "ელექტროკავშირსა" და "ახალ ქსელებთან" მისი ოჯახის კავშირს. ინჯია აცხადებს, რომ აღნიშნულ კომპანიებთან მისი გაიგივება დეზინფორმაციაა.

მინისტრყოფილის აზრით, სატელეფონო მომსახურების საგადამხდელო ტარიფი ერთ ლარს არ უნდა აღემატებოდეს. მით უმეტეს, რომ დღეისათვის ტელეკომუნიკაციების დარგში ახალი არაფერი კეთდება. **"ის, რაც ჩემი მინისტრობის პერიოდში გაკეთდა, ერთლარიანი სატარიფო სისტემით იყო უზრუნველყოფილი და დარგმა თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწია. დღეს კი, უბრალოდ, მადა გაიზარდა და ტარიფიც იზრდება. ასე რომ, ეს ცვლილება არანაირ კავშირში არ არის ტელეკომუნიკაციის განვითარებასა და წინსვლასთან,"** – განაცხადა ფრიდონ ინჯიამ.

რაც შეეხება თვითონ სააბონენტო გადასახადების ტარიფებს, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში აცხადებენ, რომ ტარიფები არსებულ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში უნდა იქნას მოყვანილი და ხარჯებზე იყოს ორიენტირებული. "ელექტროკავშირმა" და "ახალმა ქსელებმა" საჭიროდ ჩათვალეს აღნიშნული შესაბამისობის დაცვა. მათ კომისიაში საკუთარი გაანგარიშებები წარადგინეს, რომლებიც ტარიფების გაზრდის აუცილებლობას ითვალისწინებს. თუმცა, როგორც კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში აცხადებენ, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის გარკვეული კატეგორიებისათვის, კომისიის მოთხოვნით, "საქართველოს ელექტროკავშირმა" ტარიფები არ გაზარდა. თანხობრივ სხვაობას დაფარავენ დედაქალაქის მერია და თავად კომპანია.

# დონორებმა საქართველოს მიწის პოლიტიკის მხოლოდ გეზი მოიწონეს

*გუშინ მიწის პოლიტიკის საკითხებზე სამხრეთ კავკასიის რეგიონული კონფერენცია დასრულდა. კონფერენციის მონაწილეებისგან შექმნილმა ჯგუფებმა, დონორი ორგანიზაციის წარმომადგენლებმა, საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ და საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრმა შემაჯამებელი მოხსენებები გააკეთეს. მიწის ბაზრის განვითარებისთვის საქართველოში აუცილებლად მისაღებია უძრავი ქონების შეფასების შესახებ კანონი, რომელიც საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება. მიწის სექტორში წარმატებების მისაღწევად საჭიროა საგადასახდო სისტემის მოწესრიგება, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებების ფუნქციების გამიჯვნა.*

სოფიკო ოხანაშვილი

კონფერენციის მონაწილეები შეხვედრის პირველ დღესვე ოთხ თემატურ ჯგუფად გაიყვნენ: ეკონომიკური და ფინანსური, ინსტიტუციონალური და მართვის და ფიზიკური განვითარების საკითხების, ასევე იურიდიული ჩარჩოების ჯგუფები. გუშინ თითოეულმა ჯგუფმა, ორი დღის განმავლობაში ერთმანეთისთვის გაზიარებული გამოცდილების საფუძველზე, შეჯერებული მოხსენებების პრეზენტაცია მოაწყო. მოხსენებების პრეზენტაციისას ჯგუფებმა ერთმანეთს და დონორი ქვეყნის წარმომადგენლებს გარკვეული რეკომენდაციებიც წარუდგინეს: აუცილებელია გამჭვირვალე იურიდიული და ადმინისტრაციული სისტემის არსებობა, რომელიც მოაწესრიგებს კონკურენტულ ქონებრივ ინტერესებს. გარდა ამისა, ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებას ხელს შეუწყობს იმ კანონმდებლობისა თუ საერთაშორისო კონვენციების ჰარმონიზაცია, რომლებიც რეგიონში ქვეყნებს შორის საქმიანობას ეხება.

**"საგადასახადო სისტემა უნდა გაუმჯობესდეს და გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტში შედიოდეს, რომ ეს თანხა შემდეგ ადგილობრივ სოფლის მეურნეობას მოხმარდეს. ამ სფეროში წარმატების მისაღწევად აუცილებელია ცენტრალური ხელისუფლებისაგან მეტი დამოუკიდებლობა"**, - განაცხადა "ტერა-ინსტიტუტის" ადგილობრივმა მრჩეველმა დევიდ სმიტმა. ცენტრალური ხელისუფლებისგან ფინანსური დამოუკიდებლობა მიწის პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობად დაასახელა მიწის საერთაშორისო კოალიციის წარმომადგენელმა ბრიუს მურმაც. იგივე მოსაზრება გამოთქვა საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრმა. თუმცა, დავით კირვალიძემ ადგილობრივი ხელისუფლების ცენტრალური ხელისუფლებისაგან ფინანსური დამოუკიდებლობა მიწის რესურსების მართვის ჭრილში განიხილა: **"მიწის რესურსების მართვის საკითხი უნდა განხორციელდეს მდგრადი განვითარების პრინციპებზე. ამისთვის კი საჭიროა, ერთი მარტივი რამის განხორციელება – მიწის გადასახადი ნიადაგის ნაყოფიერების გაზრდას უნდა მოხმარდეს. ეს მხოლოდ რეგიონული თუ რაიონული ხელისუფლების ფინანსური დამოუკიდებლობის ხარჯზეა შესაძლებელი"**. მან იქვე დასძინა, რომ ამ იდეის სისრულეში მოყვანას სახელმწიფოს მხრიდან პოლიტიკური ნების გამოჩენა სჭირდება.

გამოიკვეთა, რომ მიწის წარმატებული პოლიტიკისათვის, არანაკლებ მნიშვნელოვანია, სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების პრივატიზებაც.

კიდევ ერთხელ გახდა ნათელი, რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონში მიწის რეფორმა ყველაზე მეტად სომხეთშია წინ წასული. დასტურად კი, ექსპერტები და კონფერენციის ორგანიზატორები იმ არგუმენტს იშველიებენ, რომ სომხეთში სასოფლო-სამეურნეო მიწების უდიდესი ნაწილი – დაახლოებით, 70 პროცენტი - უკვე პრივატიზებულია. საქართველოში კი ამ მაჩვენებელმა 55 პროცენტი, ხოლო აზერბაიჯანში – 43 პროცენტი შეადგინა. **"სომხების ერთ-ერთი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ იქ მიწები გადაცემული აქვთ ადგილობრივ თემებს. მათ კი სრული უფლება აქვთ, განკარგონ ეს მიწები. აზერბაიჯანში თითქოს სცადეს ამ პროცესის წარმართვა, მაგრამ რეალურად არანაირი შედეგები არ არსებობს. ჩვენთან კი, ეს საკითხი მხოლოდ განხილვის ეტაპზეა"**, - განაცხადა მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციის თავმჯდომარემ ჯაბა ებანოიძემ. საქართველოს უპირატესობად კი, მან ურბანულ მიწებთან დაკავშირებული საკითხები, რეგისტრაციის პროცედურების განვითარების ტემპი, მიწის სფეროში კერძო სექტორის აქტიური მონაწილეობა დაასახელა.

სამივე ქვეყნის წარმომადგენლები, დონორების მსგავსად, კმაყოფილებას გამოთქვამდნენ სამდღიანი მუშაობის შედეგებით და აცხადებდნენ, რომ კონფერენციამ თავისი მიზანი შეასრულა. გამოცდილების გაზიარების მაგალითად ერთ-ერთი ქართველი ექსპერტის მოსაზრებაც გამოდგება. **"სასურველია, რომ სომხეთისა და აზერბაიჯანის მსგავსად, საქართველოშიც შევიმუშაოთ ერთიანი მიწის კოდექსი, რომელიც მოაწესრიგებს საჯარო რეესტრის თუ დარეგისტრირების, ხელშეკრულების გაფორმების საკითხებს და სხვა პროცედურებს"**, - განაცხადა აკაკი ჩარგეიშვილმა.

დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლების შეფასებით, მიწის პოლიტიკის შემუშავებაში საქართველოს სწორი გეზი აქვს აღებული და ამ სფეროში პროცესებიც სწორად მიმდინარეობს. დევიდ სმიტის შეფასებით, ბოლო ათი წლის განმავლობაში საქართველომ ძალიან დიდ პროგრესს მიაღწია, რაც ძირითადად, ქონების პრივატიზების, გარკვეული პრობლემების გადაწყვეტის პროცესების გააქტიურებაში გამოიხატება. თუმცა, მისი და აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენლის მაიკლ ფარბმანის თქმით, ქართულმა მხარემ თავისი ძალების ბოლომდე უნდა ირწმუნოს და მიწის სექტორში არსებული პრობლემები საკუთარი რესურსებით, მეზობელი ქვეყნების გამოცდილებაზე დაყრდნობით უნდა განახორციელოს.

# ჰუსეინმა ბუში ტელედებატებში გამოიწვია

ლევან ღირსიაშვილი

უკანასკნელი ათი წლის მანძილზე პირველად ერაყის პრეზიდენტმა სადამ ჰუსეინმა ინტერვიუ მისცა ამერიკულ მედიას. ტელეკომპანია "სიბისი"-სთვის მიცემულ ინტერვიუში სადამ ჰუსეინმა აშშ-ს პრეზიდენტს ტელედებატებში მონაწილეობა შესთავაზა. ერაყის ლიდერის თქმით, დებატები პირდაპირი ტელე და რადიო-ეთერით უნდა გადაიცეს და ის მთელმა მსოფლიომ უნდა იხილოს. **"მე მზად ვარ, თქვენს პრეზიდენტთან პირდაპირი დიალოგი ვაწარმოო. მე ვეტყვი, მე რა მინდა და მან განაცხადოს, თვითონ რა უნდა"**, - განაცხადა სადამ ჰუსეინმა. მისი თქმით, ეს ბუშისთვის იქნება შანსი, რათა მსოფლიო ომის აუცილებლობაში დაარწმუნოს. **"მე მას ამას მოვუწოდებ, რადგან ომი ხუმრობა არ არის"**, - დასძინა ჰუსეინმა.

ამასთანავე, ერაყის ლიდერმა უარი განაცხადა ნებისმიერ შეთავაზებაზე, რომელიც მის ნებაყოფლობით გადადგომას და ქვეყნიდან წასვლას უკავშირდება. **"მე აქ დავიბადე და აქ მოვკვდები,"** - დასძინა ჰუსეინმა. სადამის თქმით, პოსტიდან წასვლა მის პრინციპებს არ შეესაბამება. **"ჩვენ აქ მოვკვდებით და შევინარჩუნებთ ღირსებას,"** - განაცხადა ერაყის პრეზიდენტმა.

ტელეკომპანიის ჟურნალისტთან დენ რათერთან ინტერვიუში, რომელიც სამ საათს გრძელდებოდა, სადამ ჰუსეინმა უარყო ბრალდება იმის თაობაზე, თითქოს ერაყის რაკეტები "სამუდ-2" არღვევს გაერო-ს მიერ შემოღებულ სანქციებს და მოქმედების დადგენილ მანძილს აჭარბებს. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ შეეწინააღმდეგება გაერო-ს მოთხოვნას რაკეტების განადგურების თაობაზე.


სადამ ჰუსეინი ინტერვიუს დროს.

ერაყის ლიდერმა ინტერვიუში განიხილა ისეთი საკითხები, როგორიცაა ურთიერთობა აშშ-სთან, გამოთქვა მოსაზრება ოსამა ბინ ლადენის თაობაზე, ერაყში და მთლიანად ახლო აღმოსავლეთში შექმნილ ვითარებაზე. სადამ ჰუსეინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ერაყს არასოდეს არავითარი ურთიერთობა არ ჰქონია ოსამა ბინ ლადენთან და საერთაშორისო ტერორისტულ ქსელთან - "ალ-ქაიდასთან." **"ბატონმა ბინ ლადენმა ამასწინათ თავის ინტერვიუში განაცხადა, რომ ჩვენთან არავითარი ურთიერთობა არ აქვს,"** - დასძინა ჰუსეინმა.

გარდა ამისა, მან განაცხადა, რომ ომის დროს არ აპირებს ნავთობსაბადოებისთვის ცეცხლის წაკიდებას ან მათ აფეთქებას.

ჟურნალისტის თქმით, სადამ ჰუსეინი საკმაოდ მშვიდად გამოიყურება, მიუხედავად იმისა, რომ დარწმუნებულია აშშ-სთან ომის გარდაუვალობაში. **"მან იცის, რომ ერაყში შეჭრის დრო მოახლოებულია და ის პრეზიდენტ ბუშის განცხადებებს სერიოზულად განიხილავს,"** - განაცხადა ჟურნალისტმა რათერმა.

თეთრი სახლის წარმომადგენელმა არი ფლეიშერმა უკვე უარყო ჰუსეინის წინადადება ბუშის ტელედებატებში გამოწვევის თაობაზე და ამ შეთავაზებას არასერიოზული განცხადება უწოდა.

# ჟირინოვსკი რუსეთში არანორმატიულ ლექსიკას ამკვიდრებს... შობადობის ასამაღლებლად

რუსუდან ნიკურაძე
საქ. კორ. მოსკოვში

ვინმეს შეიძლება ეს ანეგდოტი ეგონოს, მაგრამ რუსეთის პარლამენტში ვიცე-სპიკერმა ვლადიმერ ჟირინოვსკიმ გუშინ მრგვალი მაგიდა გამართა ასეთი სახელწოდებით: "**კანონი "სახელმწიფო ენის შესახებ და არანორმატიული ლექსიკა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში"**.

დაპატიჟეს იასენ ზასურსკი - მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დეკანი. თუმცა, სტუმარმა ბოლომდე ვერ გაუძლო და მთელი რიგი უხამსობების მოსმენის შემდეგ პროტესტის ნიშნად დარბაზიდან გავიდა. ზასურსკიმ ვერ აიტანა "რუსული "მატის" ენციკლოპედიის ავტორის (არსებობს ასეთი წიგნი რუსეთის სინამდვილეში) ალექსეი პლუცერ-სარნოს გამოსვლა. სამაგიეროდ დარბაზში ბოლომდე დარჩნენ სკანდალურად ცნობილი მწერალი ვლადიმერ სოროკინი ("ცისფერი ლორი"), პროდიუსერი გარი ალიბასოვი, ვიქტორ ვინოგრადოვი - რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ენათმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორი, შოუ-ბიზნესის წარმომადგენლები, ინტერნეტ-გაზეთ "უტრო.რუ"-ს შეფ-რედაქტორი მიხეილ გურევიჩი და სხვა. ერთი სიტყვით, ის ხალხი, ვინც რუსულ "მატ"-თან მწყრალად სულაც არ არის, თანაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში და უფრო მეტიც, მწერლობაშიც იყენებს.

რას ითხოვდნენ ჟირინოვსკი, ბარი ალიბასოვი და "კოროზია მეტალას" ლიდერი სერგეი ტროიცკი? რუსულ პრესაში, პარლამენტსა და საერთოდ ფართო ხმარებაში ისეთი სიტყვების დამკვიდრებას, რომელთა ხმამაღლა წარმოთქმაზე დარბაზში ჰომერული ხარხარი ისმოდა.. ჟირინოვსკის მხარდამჭერები მთელი სერიოზულობით ითხოვდნენ, რუსულ პრესასა და ტელევიზიაში მამაკაცისა და ქალის სხეულის ნაწილების შესატყვისი ძველი რუსული, ტრადიციული ტერმინების დამკვიდრებას.

რას მიაღწია ჟირინოვსიკიმ? ენათმცოდნეთა და ლინგვისტთა პროტესტის მიუხედავად, მალე სახელმწიფო ენის შესახებ არსებულ კანონში მთელ რიგ შესწორებებს შეიტანენ. ცნობილმა რეპერმა დეცელმა აპლოდისმენტების თანხლებით მხარი დაუჭირა რუსეთის პარლამენტის კედლებში არანორმატიული ლექსიკის დამკვიდრებას. ჟირინოვსკის გამოსვლებში გაიჟღერა მოსაზრებამაც, რომ თურმე რუსები იმიტომ არ მრავლდებიან, რომ ხმარებაში დამკვიდრდა ბევრი უცხო ტერმინი, რომლებიც ტრადიციულ რუსულ გამოთქმებს ავიწროებენ და ამით უბრალო მუჟიკს "საგმირო საქმეებს" ავიწყებენ.

რუსეთის პარლამენტის ვიცე-სპიკერის მორიგი ექსტრავაგანტური გამოხდომის დაგმობა რუსმა დეპუტატებმა ვერ მოახერხეს - ისინი რეგიონებში იმყოფებიან. მომენტის შემრჩევი ვიცე-სპიკერი ჟურნალისტებსა და მრგვალი მაგიდის წევრებს დაემუქრა, თუ ისე არ ილაპარაკებთ და დაწერთ, როგორც ჩვეულებრივ რუსულ "მუჟიკს" სჩვევია, ანტიხალხურ პოზიციაში დაგადანაშაულებთო. ამის მოსმენის შემდეგ ერთი ცნობილი ლინგვისტი სკამიდან წამოხტა და ვიცე –სპიკერი ახალგაზრდობის გარყვნაში დაადანაშაულა. პასუხად ჟირინოვსკიმ საკუთარი დაცვის ბიჭებს უხმო, მაგრამ ლინგვისტმა, ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დეკანივით, გაასწრო.

# დღეს თურქეთის პარლამენტი ერაყთან ომის საკითხს განიხილავს

გუშინ თურქეთის პარლამენტს მთავრობის წინადადება უნდა განეხილა, რომელიც ერაყის წინააღმდეგ სამხედრო კამპანიის დროს აშშ-ს თურქეთის ტერიტორიის გამოყენების უფლებას აძლევს. თუმცა, როგორც ცნობილი გახდა, პარლამენტმა ამ საკითხზე დებატების მოწყობა და გადაწყვეტილების მიღება დღეისათვის გადადო. თურქეთის მთავრობის გადაწყვეტილებით, აშშ-ს უფლება აქვს, ექვსი თვის განმავლობაში გამოიყენოს თურქეთის საზღვაო პორტები და სამხედრო-საჰაერო ბაზები. აშშ-ს და თურქეთის ოფიციალური პირების განცხადების თანახმად, შეთანხმების ცალკეული პუნქტები კიდევ უნდა დამუშავდეს. ერაყში ომის მხარდაჭერის სანაცვლოდ კი, აშშ თურქეთს 6 მილიარდ ამერიკულ დოლარს და დამატებით 20 მილიარდი ოდენობით საკრედიტო გარანტიებს ჰპირდება.

მთავრობის გადაწყვეტილების რატიფიცირების გადადების ინიციატივით თავად მმართველი პარტიის ლიდერი რეჯებ ერდოგანი გამოვიდა. ამის მიზეზად იქცა ის ფაქტი, რომ სამართლიანობისა და განვითარების პარტიიდან 60-მა დეპუტატმა კენჭისყრაზე უარი განაცხადა. როგორც ცნობილია, ეს პარტია თურქეთის 550 ადგილიან პარლამენტში 363 მანდატის მფლოებლია. ამდენად, საკითხის განხილვის გადადების მთავარ მიზეზად იქცა ის გარემოება, რომ შეთანხმების მიღწევა თავად მმართველ პარტიაში ვერ მოხერხდა.

ამდენად, დღეს თურქეთის პარლამენტში საკმაოდ მნიშვნელოვანი დღეა. თურქმა კანონმდებლებმა უნდა განიხილონ შემდეგი საკითხები:

არის თუ არა საკმარისი აშშ-ს მიერ შეპირებული 6 მილიარდი ამერიკული დოლარი?

რა როლი ექნება თურქეთს ერაყში ომის და ომისშემდგომ პერიოდში?

რა პოლიტიკური შედეგები ექნება თურქი მოსახლეობის უმრავლესობაში ანტისაომარი განწყობების უგულებელყოფას?

უნდა ითქვას, რომ აშშ-ს სამხედრო გემები, რომელზედაც მეოთხე სამხედრო ქვეითი დივიზიის ჯარისკაცები არიან, თურქეთის მისადგომებთან იმყოფებიან და ამ ქვეყნის პარლამენტის გადაწყვეტილებას ელოდებიან. თუკი თურქი კანონმდებლები თავიანთი მთავრობის გადაწყვეტილებას მხარს დაუჭერენ, ამერიკელი სამხედროები დაუყოვნებლივ დაიწყებენ თურქეთის ტერიტორიაზე გადასხდომას და შესაბამის პოზიციებს დაიკავებენ.

# ისრაელში ახალი პოლიტიკური ერა იწყება

*ისრაელის პრემიერ-მინისტრმა არიელ შარონმა ქვეყნის სხვა პოლიტიკურ ძალებთან შეძლო შეთანხმების მიღწევა ისრაელის კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბების თაობაზე. ამის შესახებ ინფორმაცია გუშინ მმართველი პარტიის "ლიკუდის" ხელმძღვანელობამ გაავრცელა.*
*არიელ შარონმა, რომელიც არჩევნებში გამარჯვებულ პარტიას "ლიკუდს" უდგას სათავეში, კოალიციური მთავრობა შექმნა ულტრამემარჯვენე ბლოკ ეროვნულ ერთობასთან, ცენტრისტულ პარტია "შინუისთან," და ნაციონალურ-რელიგიურ პარტია "მავდალთან". ამით "ლიკუდმა" პარლამენტში საგრძნობ უპირატესობას მიაღწია, თუმცა ამავდროულად, კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა იმ საერთაშორისო მოთხოვნების შესრულება, რომლებიც რეგიონში მშვიდობის დამყარებას ისახავს მიზნად.*

ლევან ღირსიაშვილი

დოკუმენტს კოალიციის შექმნის შესახებ ხელი გუშინვე მოეწერა. ბლოკს "ეროვნულ ერთობას", შვიდი საპარლამენტო მანდატი გააჩნია. ბლოკში გაერთიანებულნი არიან პარტიები: "ისრაელი - ჩვენი სახლი," "მოლედეტი," და "თქუმა." კოალიციურ მთავრობას ზურგს 68 დეპუტატი გაუმაგრებს, რაც 120-კაციან პარლამენტში აბსოლუტურ უმრავლესობას წარმოადგენს.

ამდენად, უკვე ცხადია, რომ ისრაელს აშკარად გამოკვეთილი მემარჯვენე მთავრობა ეყოლება. ეს კი პირველ რიგში პალესტინის ადმინისტრაციასთან მომავალ ურთიერთობებზე და კონფლიქტის მიმდინარეობაზე აისახება.

როგორც ცნობილი გახდა, "მავდალი" და "ეროვნული ერთობა" მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე ებრაული დასახლებების მშენებლობების გაგრძელებას უჭერენ მხარს. ამასთანავე, ისინი პალესტინელებთან მოლაპარაკებების განახლებას და დამოუკიდებელი პალესტინის სახელმწიფოს შექმნას მკვეთრად ეწინააღმდეგებიან.

აღსანიშნავია, რომ პარტია "შინუი" კოალიციურ მთავრობაში ერთადერთ ორგანიზაციას წარმოადგენს, რომელიც მკვეთრად გამოხატულ მემარჯვენე იდეებს არ ემხრობა. მაგალითად, პარტია მხარს უჭერს სახელმწიფოს მშენებლობას სუფთა საერო პრინციპებზე და თვლის, რომ რელიგია პოლიტიკისგან მკვეთრად გამიჯნული უნდა იყოს. ამდენად, ანალიტიკოსების გაკვირვება გამოიწვია კოალიციაში ამ პარტიის შესვლამ. თუმცა, როგორც შემდეგში გაირკვა, "შინუისთან" შეთანხმების გაფორმება არიელ შარონისათვის იძულებით ნაბიჯს წარმოადგენდა, რადგან მან ვერ შეძლო მეორე ძლიერ პარტიასთან "ავოდასთან" კომპრომისის მიღწევა. "შინუისთან" შეთანხმების გარეშე კი "ლიკუდი" პარლამენტში უმრავლესობას ვერ შექმნიდა და, შესაბამისად, კოალიციური მთავრობაც ვერ ჩამოყალიბდებოდა. თუმცა, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ მთავრობა მაინც მემარჯვენე იქნება და "შინუის" ზომიერი და ცენტრისტული პოზიცია მთავრობის გადაწყვეტილებებზე დიდ გავლენას ვერ იქონიებს.

უნდა ითქვას, რომ კოალიციის შექმნის ძირითად პირობას წარმოადგენდა შეთანხმება გადაწყვეტილებების კოლეგიალურად მიღების თაობაზე. ეს განსაკუთრებით შეეხება პალესტინელებთან მოლაპარაკებების დაწყებას. ყველაზე მეტად შეთანხმების მიღწევა "ლიკუდსა" და "ეროვნულ ერთობას" შორის გაძნელდა, რადგანაც ეს უკანასკნელი პალესტინელებთან ყოველგვარი მოლაპარაკების განახლების წინააღმდეგია.

საბოლოოდ გადაწყდა, რომ დამოუკიდებელი პალესტინის სახელმწიფოს შექმნის საკითხს კოალიციურ მთავრობაში განიხილავენ მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში და გადაწყვეტილება კოლეგიალურად იქნება მიღებული.

საკმაოდ საინტერესოა, თუ როგორ განაწილდება მთავრობაში პორტფელები და თანამდებობები. როგორც ცნობილი გახდა, წინასწარი შეთანხმების შესაბამისად, ბლოკ "ეროვნული ერთობის" წარმომადგენლები ახალ მთავრობაში ორი მინისტრის თანამდებობას დაიკავებენ - ტრანსპორტის და სამოქალაქო ინტეგრაციის ან ტურიზმის. ტრანსპორტის მინისტრი გახდება ბლოკში შემავალი "რუსების" პარტიის – "ისრაელი - ჩვენი სახლი" ლიდერი ავიგდორ ლიბერმანი, ხოლო მეორე სამინისტროს ხელმძღვანელის პორტფელი (სამოქალაქო ინტეგრაციის ან ტურიზმის მინისტრის) კი "მოლედეტის" პარტიის ლიდერს ბენი ელონს ერგება.

ორი სამინისტრო ერგო პარტია "მავდალს." ამ ორგანიზაციის წარმომადგენლები მშენებლობის სამინისტროს და შრომის და სოცუზრუნველყოფის უწყებას უხელმძღვანელებენ.

რაც შეეხება პარტია "შინუის," მისი წარმომადგენლები ხუთ სამინისტროს გაინაწილებენ. ეს არის იუსტიციის, შინაგან საქმეთა, ნაციონალური ინფრასტრუქტურის, გარემოს დაცვის და მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროები.

ამდენად, ისრაელის ცხრა სამინისტროს ხელმძღვანელის პორტფელი უკვე დაკავებულია. როგორც არიელ შარონმა განაცხადა, მომავალ მთავრობაში სულ 22 სამინისტრო იქნება.

უკვე ცნობილი გახდა არიელ შარონის გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც ის აპირებს საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე აღარ დაამტკიცოს ისრაელში "მეორე პოლიტიკოსად" აღიარებული და "ლიკუდის" ერთ-ერთ ლიდერი ბენიამინ ნეთანიაჰუ. შარონმა ბენიამინ ნეთანიაჰუს ფინანსთა მინისტრის პოსტი შესთავაზა, რაზედაც ამ უკანასკნელმა კატეგორიული უარი განაცხადა. არიელ შარონის გადაწყვეტილებით, ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობას ყოფილი ფინანსთა მინისტრი სილვან შალომი ჩაიბარებს.

ახალი მთავრობის ფორმირებას დაემთხვა ისრაელის პრემიერ-მინისტრის არიელ შარონის 75 წლის იუბილე. საიუბილეო თარიღი თანამედრივე ისრაელის ერთ-ერთმა ყველაზე გამორჩენილმა პოლიტიკურმა მოღვაწემ კიდევ ერთი გამარჯვებით – ახალი მთავრობის შექმნით აღნიშნა. დღეიდან ისრაელი ახალ პოლიტიკურ ცხოვრებას იწყებს. ეს კი, რასაკვირველია, პირველ რიგში ისრაელ-პალესტინის კონფლიქტზე მოახდენს გავლენას. თუ როგორ და რა სახით, ამას მოკლე ხანში ვიხილავთ.

# თურქმენბაში გარესამყაროსგან თავისი ქვეყნის მოწყვეტას ცდილობს

მურად ნოვრუზოვი
IWPR

პრეზიდენტმა საფარმურატ ნიაზოვმა თავისი ხალხი კიდევ უფრო დიდ იზოლაციაში მოაქცია. მისი ბრძანებით, ქვეყნიდან გასვლისა და შესვლის მარეგულირებელი წესები გამკაცრდა.

პირველი მარტიდან თურქმენეთის მოქალაქეებს ქვეყნის დასატოვებლად სპეციალური თანხმობის მიღება დასჭირდებათ. ზოგიერთებს კი ამ უფლებას საერთოდ წაართმევენ.

აღნიშნული შეზღუდვები უკანასკნელია იმ ახალ კანონებს შორის, რომლებიც ნიაზოვმა 25 ნოემბერს მასზე განხორციელებული თავდასხმის შემდეგ შემოიღო.

პრეზიდენტი, რომელმაც სახელად "თურქმენბაში" – "თურქმენთა მამა" დაირქვა, აშხაბადში, მის მანქანაზე შეიარაღებული თავდასხმის დროს გადაურჩა სიკვდილს.

ნიაზოვი ამტკიცებს, რომ ეს ინციდენტი შეკვეთილი მკვლელობა იყო, რომელიც ქვეყნიდან გაქცეულმა ოპოზიციის წევრებმა უცხოელი "ტერორისტების" დახმარებით დაგეგმეს. ყველა ტერორისტი კი რესპუბლიკაში არალეგალურად შემოვიდა. მისი თქმით, საჭიროა უფრო მკაცრი კონტროლი, რათა ამგვარი არასასურველი ფაქტები აღიკვეთოს.

პრეზიდენტის ახალი ბრძანებულების თანახმად, თურქმენეთიდან გასასვლელი და შემოსასვლელი ვიზა აუცილებელია, რათა ნებისმიერმა პიროვნებამ თურმქნეთის საზღვარი გადაკვეთოს.

მან დასძინა, რომ შესაძლოა, ახალი კანონმდებლობით, ზოგიერთ თურქმენს ქვეყნის დატოვება "დროებით აუკრძალონ".

თურქმენბაშის თქმით, კანონი შეეხება "პიროვნებებს, რომელთაც თურქმენეთისადმი მოვალეობები და დავალიანება აქვთ, ფლობენ სახელმწიფო საიდუმლოს, ბრალდებულნი არიან სისხლის სამართლის დანაშაულში, ან გაწვეულები არიან სამხედრო სამსახურში". თურქმენბაშიმ იქვე დასძინა, რომ ნებისმიერი პიროვნება, რომელიც ქვეყნის დატოვებას განიზრახავს, მკაცრ შემოწმებას გაივლის.

თურქმენეთის მოქალაქეები ახალ კანონს სრული იზოლაციისაკენ გადადგმულ კიდევ ერთ ნაბიჯად განიხილავენ. "გასასვლელი ვიზის შემოღებით ჩვენ მმართველი რეჟიმის მძევლები ვხდებით", - აღნიშნა ერთ-ერთმა მოქალაქემ, რომელმაც საკუთარი ვინაობის გამხელა არ ისურვა.

"დარწმუნებული ვარ, რომ ძალიან ბევრ ადამიანს ვიზის გაცემაზე ამა თუ იმ მიზეზით უარს ეტყვიან. რანაირი ახსნაც არ უნდა მოუძებნოს ხელისუფლებამ ამ კანონს, ნათელია, რომ ეს გარესამყაროსგან ჩვენი მოწყვეტის მიზნით კეთდება", - დასძინა მან.

აღსანიშნავია, რომ ახალი წესები მხოლოდ თურქმენეთის მოქალაქეებს არ შეეხება. ახალი კანონები შემუშავებულია უცხოელებისთვისაც, რომელთაც სასჯელი ელით, თუ ამ კანონებს დაარღვევენ.

ახლახან დაარსდა უცხოელი მოქალაქეების რეგისტრაციის სახელმწიფო სამსახური, რომელიც თურქმენეთში მყოფ სტუმრებს უთვალთვალებს.

"ამჟამად, უმთავრეს ამოცანას ის წარმოდგენს, რომ ერთმანეთისგან გავარჩიოთ ხალხი, რომელიც კეთილი განზრახვით ჩამოდის ჩვენთან და რომელსაც უკეთური ზრახვები აქვს", - განაცხადა თურქმენბაშმა.

უცხოელები, რომლებიც ქვეყანაში შესვლას მოახერხებენ, სახელმწიფო კონტროლის ქვეშ აღმოჩნდებიან. მათ უფლება ექნებათ, მხოლოდ იმ სასტუმროებში იცხოვრონ, რომელსაც სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო შეარჩევს.

ნებისმიერ უცხოელს, რომელიც ამ მოთხოვნებს დაარღვევს, უზარმაზარი ჯარიმის გადახდა მოუწევს; შემდეგ კი მისი დეპორტაცია მოხდება და მას ხუთი წლით აუკრძალავენ ქვეყანაში შესვლას. აღსანიშნავია, რომ იმ ოფიციალურ პირებსა თუ საწარმოების ხელმძღვანელებს, რომელთა სტუმრებიც ამ წესებს დაარღვევენ, სასჯელი ელით.

მიმომხილველების აზრით, ახალი შეზღუდვები, ფაქტობრივად, შეუძლბელს გახდის უცხოელების ქვეყანაში შესვლას, რადგან მათ ვიზის მიცემაზე უკვე ცივი უარით ისტუმრებენ.

# ისლამური სახელმწიფოები ომის საწინააღმდეგოდ ნავთობის გამოყენების შესაძლებლობას განიხილავენ

ოთხშაბათს მალაიზიამ ისლამური სახელმწიფოების წინაშე ნავთობის ემბარგოს საკითხი დასვა, რათა დასავლეთზე ზეწოლა მოახდინონ და ერაყში მოსალოდნელი ომი თავიდან აიცილონ. თუმცა, ანალიტიკოსებისა და ოფიციოზის აზრით, ამგვარ ტაქტიკას, სავარაუდოდ, არ გამოიყენებენ.

მალაიზიის პრემიერ-მინისტრმა მაჰათირ მოჰამადმა 49 ისლამური სახელმწიფოს ლიდერებთან და მინისტრებთან საგანგებო შეხვედრის შემდეგ გამართულ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ აღნიშნული მოსაზრების თაობაზე საერთო გადაწყვეტილება სახელმწიფოებს არ მიუღიათ. თავად მალაიზიის ლიდერი სანავთობო ემბარგოს თავგამოდებული მომხრეა.

მალაიზია ნავთობის მცირე მწარმოებელია – დღეში მხოლოდ 800 000 ბარელი, რაც საუდის არაბეთის ნავთობის მეათედს შეადგენს.

"იყო წინადადება, რომ ჩვენი საბადოები ზეწოლის განსახორციელებლად გამოვიყენოთ", - თქვა მან. "როგორ შეიძლება ამის განხორციელება, მეორე საკითხია, მაგრამ არსებობს კონსენსუსი, რომ ამის შესახებ ფიქრი საჭიროა".

ისლამური კონფერენციის ორგანიზაციის დელეგატებმა საგანგებოდ მოწვეულ შეხვედრაზე შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის გეგმები დაგმეს.



ირანის პრეზიდენტი შეხვედრაზე მიეშურება.

მათ, აგრეთვე, მოუწოდეს ერაყს, რომ გაერო-ს 1441-ე რეზოლუციას სრულად დაემორჩილოს და ინსპექტორებთან ითანამშრომლოს.

მაჰათჰირმა შეხვედრის მონაწილეებს შეახსენა, რომ წარსულში ისლამური სამყარო ნავთობის ბერკეტად გამოყენების შესაძლებლობას განიხილავდა ხოლმე, თუმცა, მან აღიარა, რომ ამგვარი სტრატეგია, შესაძლოა, სახიფათო იყოს.

"ნავთობი ორლესული ხმალია, - განაცხადა მაჰათჰირიმ, - თუ ნავთობის ფასი მაღლა აიწევს, სამხრეთის მრავალი სახელმწიფო დაზარალდება...ორლესულმა იარაღმა, შესაძლოა, ჩვენ უფრო დაგვაზარალოს, ვიდრე სხვა მხარეები".

მაჰათჰირის უკანასკნელი შენიშვნა მაინც ვერ "დაამშვიდებს" სანავთობო ბაზრებს, სადაც ნერვიულობა აშკარად იგრძნობა ახლო აღმოსავლეთიდან წარმოების მოსალოდნელი დაკლების გამო, რომელიც ამჟამად მსოფლიო ნავთობის 40 პროცენტს შეადგენს.

გუშინ ერთი ბარელი დაუმუშავებელი ნავთობის ფასმა აშშ-ს ბაზარზე 36.26 ამერიკული დოლარი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ საუდის არაბეთმა, მსოფლიოს უდიდესმა ექსპორტიორმა ქვეყანამ და სხვა ძირითადმა მწარმოებლებმა, მათ შორის, ირანმა ნავთობის იარაღად გამოყენების იდეა მოსალოდნელი შედეგების გათვალისწინებით უარყვეს.

1970-იანი წლების დასაწყისში არაბმა მწარმოებლებმა დასავლეთს, ისრაელის მხარდაჭერის გამო, სანავთობო ემბარგო დაუწესეს. ამან ნავთობის ფასების მკვეთრი ზრდა და მსოფლიო ეკონომიკის რეცესია გამოიწვია.

თუმცა, შექმნილი დეფიციტით ნავთობის სხვა მწარმოებლებმა ისარგებლეს, რომლებმაც მსოფლიო ფასის დაგდება მოახერხეს და ოპეკ-ს (ნავთობის ექსპორტიორ სახელმწიფოთა ორგანიზაცია) შემოსავლები დააკარგვინეს.

*"როიტერი"*

## ოთხშაბათის შეხვედრები სარდაფში

*კარზე მომდგარ არჩევნებში საქართველოს მოქალაქეების ერთი ნაწილი პირველად მიიღებს მონაწილეობას - ისინი, ვინც უკანასკნელი არჩევნების შემდეგ შესრულდნენ 18 წლის, სექტემბერში აირჩევენ საქართველოს პარლამენტს. უკანასკნელი წლების გამოცდილებით, საქართველოს მოსახლეობა, უკვე მერამდენედ, თავისი არჩევანით უკმაყოფილოა.*

ზურა ჭამასპიშვილი

გუშინ, კლუბ "სარდაფში" გაიმართა მორიგი შეხვედრა, სახელწოდებით "აპოლიტიკური ოთხშაბათი". სტუდენტები ყოველ ოთხშაბათს თეატრალურ სარდაფში ხვდებიან პოლიტიკოსებს. გასულ კვირას მათთან ნანა დევდარიანი იყო სტუმრად, გუშინ კი ახალგაზრდებმა რეზო შავიშვილს უმასპინძლეს. "ოთხშაბათობები" საარჩევნო კამპანიას არ უკავშირდება, თუმცა შესანიშნავი გზაა იმისათვის, რომ სტუდენტებმა ახლოს და "თავის გემოზე" გაიცნონ ქართველი პოლიტიკოსები - ისინი, ვინც მომავალში უნდა აირჩიონ.

რეზო შავიშვილმა დამსწრეთ თავი გააცნო - უამბო ბიოგრაფია დაბადებიდან დღემდე, როგორ მოხვდა მეცნიერ-მუშაკი ფიზიკოსი - პოლიტიკაში. მისი თქმით, ყველაფერში "დამნაშავე" აკაკი ბაქრაძე ყოფილა, რომლის ლექციებმა და პირადმა ურთიერთობამ განსაზღვრა მისი პროფესიის შეცვლა. სტუდენტებს ბევრი რამ აინტერესებდათ - პირადულიც და ისიც, აპირებს თუ არა ლიბერალური პარტია არჩევნებში მონაწილეობის მიღებას. "ისეთ პარტიას რა ვუთხარი, არჩევნებში მონაწილეობას რომ არ აპირებსო," - გასცა პასუხი შავიშვილმა. მან უპასუხა მრავალ შეკითხვას, მსმენელების კითხვის საპასუხოდ "უყვარს თუ არა პოეზია", "მაგრადო" უპასუხა და მურმან ლებანიძის ლექსი წაიკითხა. სტუდენტებს ყველაფერი აინტერესებდათ: რას ნიშნავს ლიბერალური პარტია, რატომ დატოვა შავიშვილმა კონტროლის პალატა, როგორი ურთიერთობა აქვს პრეზიდენტთან, რა დროს უთმობს პოლიტიკოსი შვილს, არის თუ არა რომანტიული, აქვს თუ არა წარსულში რამე ისეთი რასაც შეცვლიდა, როგორ არჩევს ტანსაცმელს...

"ოთხშაბათობების" ტრადიციით ყოველი სტუმარი შეხვედრის ბოლოს ხელის ანაბეჭდს ავტოგრაფთან ერთად ტოვებს მის მიერ შერჩეული ფერის ფურცელზე და აკეთებს პროგნოზს: რა იქნება ერთი წლის შემდეგ. წლის ბოლოს კლუბი გამოფენას მოაწყობს და ავტოგრაფის ავტორები საკუთარი პროგნოზების კომენტარს გააკეთებენ.

სტუდენტები შავიშვილის ოპტიმიზმით მოიხიბლნენ - სეისმოლოგმა რეზო შავიშვილმა დაამშვიდა, მიწისძვრის ნუ გეშინიათ, თბილისს ვერაფერს დააკლებსო.

## ინფორმაცია

### მუნიციპალური სკოლები ძალაში შედის

იუსტიციის სამინისტრომ რეგისტრაციაში გაატარა თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილება მუნიციპალური სკოლების დაფუძნების შესახებ. ამის თაობაზე განცხადება გუშინ, საკრებულოს სხდომაზე გაკეთდა. ეს, როგორც ქალაქის პარლამენტში ამბობენ, მოსალოდნელი სიახლე, გზაში "დაეწია" საქართველოს დედაქალაქში ახალი ტიპის სკოლების მშენებლობას. უკვე დაფუძნებული და დებულებებით შეიარაღებული თბილისის სკოლები ახალ ცხოვრებას იწყებენ. ***"24 საათი"***

### ლაზარეს ლოგიკა

მეოთხე დღეა, რუსთავის "ქიმბოჭკოს" ყოფილი თანამშრომელი, II ჯგუფის ინვალიდი დავით ფირცხალაიშვილი, კუთვნილი პენსიის მოთხოვნით, შიმშილობს. სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, საწარმომ მას ყოველთვიურად 86 ლარი უნდა გადაუხადოს, თუმცა, 4 წელია, ფირცხალაიშვილს ფული არ მიუღია. სააქციო საზოგადოება "ქიმბოჭკოში" გასული წლის აგვისტოდან გაკოტრების შესახებ საქმეა აღძრული. გაკოტრების საქმის მმართველის ლაზარე ძირკველიშვილის განცხადებით, გასული წლის სექტემბრიდან დეკემბრის ჩათვლით, ფირცხალაიშვილს პენსიის სახით 384 ლარი აქვს აღებული; რაც შეეხება ოთხი წლის საპენსიო და სახელფასო დავალიანების დაფარვას, ამ პროცედურას კანონი განსაზღვრავს და შესაბამისი განაცხადი სასამართლოში უკვე შესულია. "ვიდრე სასამართლო გადაწყვეტილებას არ გამოიტანს, ფირცხალაიშვილისთვის გამონაკლისს ვერ დავუშვებ, თუ მის ვალს გავისტუმრებთ, მაშინ რა დააშავეს დანარჩენმა 3000-მა კაცმა ან სხვა კრედიტორებმა, მაგალითად – ბიუჯეტმა?", - აღნიშნა მან. **ინტერ-პრესი.**

### გზები ისევ სახიფათოა

დიდთოვლობისა და ლიპყინულის გამო ავტოსატრანსპორტო მაგისტრალების უმეტესობაზე უსაფრთხოების ზომები გამკაცრებულია. გზების ზოგიერთი მონაკვეთი საერთოდ გადაიკეტა. ასეთია: თბილისი-კოჯორი-წალკა-ნინოწმინდის საავტომობილო გზის 75-82 კმ-ისა და 26-75 კმ-ის მონაკვეთი, გომი-საჩხერე-ჭიათურა-ზესტაფონის საავტომობილო გზის 0-45 კმ, ახალციხე-ნინოწმინდა-სომხეთის გზის 85-110 კმ, მარნეული-თეთრიწყარო-წალკის 75-87 კმ, ზუგდიდი-ჯვარი-ხაიში-მესტია-უშგულის 72-196 კმ. ნაქერალას უღელტეხილზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა მხოლოდ მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით დაიშვება. მცხეთა-ყაზბეგი-ლარსის საავტომობილო გზაზე მისაბმელიანი, ნახევრადმისაბმელიანი, "იკარუსისა" და მასთან გათანაბრებული ტიპის ავტოტრანსპორტის მოძრაობა გუშინ აკრძალული იყო, ხოლო მსუბუქი ავტომობილების გადაადგილება მხოლოდ მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით დაიშვებოდა. როგორც საგზაო დეპარტამენტში აცხადებენ, საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში ინტენსიურად თოვს და, გამორიცხული არ არის, გზებზე მდგომარეობა გაუარესდეს. **ინტერ-პრესი.**

### თბილისის მერიის კომუნალური გეგმები

თბილისის მერიის კაპიტალური მშენებლობის საქალაქო სამსახური წელს დედაქალაქში რამდენიმე მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობის დასრულებას გეგმავს. 26 მაისს დაგეგმილია ვარკეთილის მესამე მიკრორაიონში 28-ე კორპუსის გახსნა, „თბილისობის" დღესასწაულისათვის კი, საცხოვრებელი კორპუსი გაიხსნება დიდუბეში, ვახუშტი ბაგრატიონის №5-ში. სამსახურის ინფორმაციით, 13-სართულიანი საცხოვრებელი კორპუსები შენდება მარჯანიშვილის მოედანზე, ინგოროყვას ქუჩაზე. გლდანის მეხუთე მიკრორაიონში შენდება 26-ე კორპუსი, დიდი დიღმის პირველ მიკრორაიონში 85-ე კორპუსი, ხოლო ყიფშიძის ქუჩაზე - 12-სართულიანი საცხოვრებელი კორპუსი. მიმდინარე წლის ბიუჯეტში კაპიტალური მშენებლობის საქალაქო სამსახურისთვის სავარაუდოდ 10 მლნ. ლარი იქნება გათვალისწინებული. **მედია-ნიუსი.**

### არასასიამოვნო პროგნოზი

გაეროს მონაცემებით, 2050 წლისათვის დედამიწის მოსახლეობა 8.9 მილიარდს მიაღწევს, შიდსის ვირუსი 200 მლნ ადამიანის სიცოცხლეს შეიწირავს, უეცრად შემცირდება შობადობა მსოფლიოს 33 ქვეყანაში, მათ შორის, საქართველოში, რუსეთში, ესტონეთსა და ბულგარეთში. ეს ქვეყნები, როგორც გაეროს ექსპერტები ამტკიცებენ, 2050 წელს მოსახლეობის ნახევარს დაკარგავენ. **მედია-ნიუსი.**

## მოკლედ

**თბილისი.** გუშინ რუსთავის ბავშვთა საავადმყოფოში გრიპის ვირუსით დაავადებული კიდევ 6 ბავშვი მოათავსეს. სპეციალისტთა პროგნოზის საპირისპიროდ, უკანასკნელ დღეებში რუსთავში გრიპით დაავადების შემთხვევებმა იმატა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თუ უახლოეს დღეებში რუსთავის წარმოება-დაწესებულებები სააქციო საზოგადოება "რუსთავწყლის" მიმართ არსებული დავალიანებების დაფარვის გრაფიკს არ წარადგენენ, წყლის მიწოდება შეუწყდებათ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის მერიის გენერალური გეგმის სამსახური კვლავ არქიტექტურის საქალაქო სამსახურს უერთდება. ამის თაობაზე მერია გადაწყვეტილებას უახლოეს ხანში მიიღებს. ეს სამსახურები წელიწადნახევრის წინათ გაიყო. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ, გამთენიისას თბილისში, ქიქოძის №5-ში მდებარე, მიწისძვრისას დაზიანებული 3-სართულიანი სახლის კედელი ჩამოინგრა. შედეგად, ერთი ოჯახი დაზარალდა. კედლის აღდგენას გამგეობა უახლოეს მომავალში აპირებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** დღეს, "ეი-ი-ეს თელასის" გენერალური დირექტორი იგნასიო ირიბარენი, პარლამენტის ენერგეტიკის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე რეზო არველაძესთან ერთად, წყნეთს ეწვევა და ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს სახელმწიფო მინისტრის განცხადებით, არაქართული მოსახლეობით დასახლებულ რეგიონებში სწავლება საქართველოში დამტკიცებული პროგრამითა და გამოშვებული სახელმძღვანელოებით უნდა ხდებოდეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** მიმდინარე წელს საქართველოში ფულად დახმარებას სოციალურად დაუცველი 76 000 ოჯახი მიიღებს, რაც ქვეყნის მთლიანი მოსახლეობის 1.6 პროცენტია. შარშანდელთან შედარებით, წელს დახმარებას 9 ათასით მეტი ოჯახი მოელის. **მედია-ნიუსი**

# შემოგვეშველა?!

### ძველი უნივერმაღის თავგადასავალი გრძელდება



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*მშენებლობა ძველ უნივერმაღთან.*

თბილისი ლამაზი ქალაქია. ყოველ შემთხვევაში, ლამაზი ქალაქი იყო. მართალია, არც პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი გვიდგას და ვერც გაუდისთანა ხუროთმოძღვრებით ვიამაყებთ, მაგრამ რაღაც-რაღაცეები ჩვენც ხომ გვაქვს. მაგალითად, მთაწმინდა - მართალია, აღარ ჩანს, სახლები ეფარება...

არც ისე, მაგრამ მაინც გასაგებია, რომ მიშენებ-მოშენებებს და პრინციპს "აქანა ლოჯია მივადგათ", ახალ უბნებში დიდი აღშფოთება არ გამოუწვევია - არც ისე ექნა ღმერთსო. დიდი გამოძახილი არც ვერის უბნის მცხოვრებლების შესაბრალის წივწივს მოჰყოლია, უბანი გლდანის ფილიალად გვექცა და მზე სანატრელი გაგვიხდაო. საერთოდ, თბილისელები ანდაზის ერთგული ხალხია: "სხვისი ჭირი - ღობეს ჩხირი".

მაგრამ როდესაც თბილისის ერთ-ერთ ულამაზეს შენობაზე, ე.წ. "ძველ უნივერმაღზე" მიდგა ჯერი, რაღაცა დაიძრა. არა, ქალაქელების ცნობიერებაში არაფერი შეცვლილა, უბრალოდ, უნივერმაღს გამოუჩნდა პატრონი.

ძველი უნივერმაღის ამბავს ჩვენი გაზეთის მკითხველი 8 თებერვალს, დამატება "დედაქალქში" გაეცნობოდა, ამიტომ მოკლედ შეგახსენებთ: მეოცე საუკუნის დასაწყისში, კავკასიის საოფიცრო ეკონომიკური საზოგადოების საზედამხედველო კომიტეტმა ქალაქ თბილისში კავკასიის საოფიცრო ეკონომიკური საზოგადოების, დღევანდელი ძველი უნივერმაღის შენობის პროექტების ესკიზების კონკურსი გამოაცხადა. ამ კონკურსში გაიმარჯვა ალექსანდრე სტანისლავის ძე როგოისკის პროექტმა, რომელიც რევოლუციამდე თბილისის თვალსაჩინო არქიტექტორი ყოფილა. ამ შენობაში დღემდე არსებული სხმული მოზაიკისა და მარმარილოს ნაკეთობების ავტორი ცნობილი იტალიელი ანდრიოლეტი იყო - მისი სახელი უნივერმაღის შესასვლელს ამშვენებს. 1912 წელს აგებული კავკასიის საოფიცრო ეკონომიკური საზოგადოების შენობა აღრიცხულია როგორც არქიტექტურის ძეგლი და მის სადარაჯოზე საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტი დგას.

სულ ცოტა ხნის წინათ კი უნივერმაღთან, მარჯანიშვილის ქუჩაზე, მიწისქვეშა ავტოსატრანსპორტო გადასასვლელის თავზე, სავაჭრო ობიექტის მშენებლობა დაიწყო. ეს მშენებლობა უნივერმაღის გვერდით, 4-5 მეტრში მიმდინარეობს, ახალი ნაგებობა უნივერმაღის ლამაზ ფასადსაც დაფარავს, მარჯანიშვილის ქუჩასაც და მიმდებარე ტერიტორიის იერსახესაც დაამახინჯებს.

ამ მშენებლობის დაწყება თბილისის პრემიერის 2001 წლის 22 იანვრის №23 განკარგულებით გადაწყდა: "ნაცვლად კოსტავასა და გამსახურდიას ქუჩების შემაერთებელი გზისა, სავაჭრო ობიექტის მოწყობა გადაწყდა უზნაძის ქუჩაზე არსებული ესტაკადის თავზე". სულ მარტივი ამბავია - კოსტავასა და გამსახურდიას ქუჩების კვეთაზე განლაგებული კვლევითი ინსტიტუტის დირექცია წინააღმდეგი იყო შენობის კედელთან სავაჭრო ობიექტის მოწყობაზე, რადგან მისი კაპიტალური შეკეთება ჰქონდა განზრახული.

საბედნიეროდ, უნივერმაღსაც "პატრონი გამოუჩნდა". სააქციო საზოგადოება "ცენტრალური უნივერმაღის" აქციების 94 პროცენტის მფლობელი "თი-ბი-სი ბანკია" შენობის მომავალი მესაკუთრე. ამჟამად ის სავალალო მდგომარეობაში მყოფი ნაგებობის სარემონტო-აღდგენით სამუშაოებს აწარმოებს. ცხადია, "თი-ბი-სი ბანკი", რომელიც, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამ შენობაზე, როგორც ისტორიულ ნაგებობაზე, პასუხს აგებს, სულ არ აღტაცებულა იმ პერსპექტივით, რომ მას ზედ ცხვირწინ, ძეგლის დამცველ ზონაში, დაუდგენელ რაღაცას ჩამოუყუდებენ. კანონის თანახმად, "თი-ბი-სი ბანკი" ვალდებულია, აღდგენითი სამუშაოების შედეგად ისტორიულ ძეგლს თავდაპირველი სახე დაუბრუნოს, და ეს ფასადსაც ეხება.

აღშფოთებულია ძეგლთა დაცვის დეპარტამენტიც. ის იუწყება, რომ "არქიტექტურული ძეგლის, "ცენტრალური უნივერმაღის" შენობის გვერდით, მიწისქვეშა გადასასვლელის თავზე, ახალი ნაგებობის მშენებლობის პროექტი დეპარტამენტის სამეცნიერო-მეთოდურ საბჭოზე არ განხილულა", რაც "კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ" კანონიდან გამომდინარე, აუცილებელი პირობაა.

"თი-ბი-სი ბანკმა" სარჩელით მიმართა სასამართლოს. სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა თბილისის პრემიერის ზემოთხსენებული განკარგულების ბათილად ცნობა და წარმოებული მშენებლობის აკრძალვა. 2003 წლის 14 თებერვლის განჩინების საფუძველზე დადგინდა, რომ მშენებლობა უნდა შეჩერდეს და განჩინების აღსრულება დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს. სააღსრულებო ფურცელი გაიცა და მშენებლობა შეჩერდა. მორჩა?

არაფერი არ მორჩენილა. მშენებლობა გაგრძელდა, ოღონდ ძალიან ორიგინალურად - სულ რამდენიმე დღის წინათ, შაბათ-კვირას, თან ღამით: კვირის ბოლოს სააღსრულებო ბიუროც ისვენებს და ღამით "თი-ბი-სი ბანკის" წარმომადგენლებსაც სძინავთ... საბედნიეროდ, არც ისე ღრმად: დიდი ჩოჩქოლის და ორომტრიალის შემდეგ, მშენებლობა კვლავ შეაჩერეს.

ახლა მაინც მორჩა?

***"24 საათი"***

# ბარონები დაგვეხმარებიან

ეთერ მამულაშვილი

*მაწანწალა ბოშებისაგან თბილისის ქუჩების გათავისუფლების უცნაური იდეა მოუვიდა თავში მერიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს. ქალაქის ვიცე-პრემიერს, კახა შენგელიას იმედი აქვს, რომ ამ პრობლემის მოგვარებაში მათ ე.წ. ბოშათა ბარონები დაეხმარებიან და დედაქალაქში ჩამოსული უცხოელი სტუმრებიც დაცულები იქნებიან ფულის "გამოძალვებისგან".*

მაწანწალა ბავშვების, მოზარდებისა თუ ზრდასრულების ბედით, გუშინ მერიაში დაინტერესდნენ. სპეციალურ რამდენიმესაათიან შეხვედრაზე, მნიშვნელოვანი დრო მაწანწალა ბოშებს დაეთმო. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ჩათვალეს, რომ ბოშათა ბარონებთან ურთიერთობითა და თანამშრომლობით შეძლებენ მათი უკეთესი ცხოვრების უზრუნველყოფას.

თურმე ნუ იტყვით და ბოშებს ძალიან არ მოსწონთ, როცა მათ ცხოვრებაში ვინმე ერევა, მათი სურვლის გაუთვალისწინებლად უცვლის ცხოვრების წესს. ბოშებს ჰყავთ ბარონები, რომლებსაც დიდ პატივს სცემენ და მათ აზრს ყოველთვის იზიარებენ. სწორედ ამ ავტორიტეტების დახმარებით შეეცდებიან ბოშებისთვის პროფესიად ქცეულ მაწანწალობისა და მათხოვრობის გადაჩვევას ქალაქის ხელმძღვანელები.

**"ეს ხალხი, როგორღაც უნდა დავასაქმოთ და ელემენტარული ცოდნა მაინც მივცეთ. ბოშების უმრავლესობას სკოლაში არ უვლია. ისინი ე.წ. "საოჯახო განათლებით" კმაყოფილდებიან. არის ვინმე ჯულიეტა, რომელიც ბოშებთან კარდაკარ დადის და მათ შვილებს რაღაცებს ასწავლის",** - გვითხრა ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელმა ბელა სარიამ. მისი ინფორმციით დღეს მხოლოდ ოთხი ბოშა დადის დედაქალაქის ორ სკოლაში.



*ამათ სხვა "ავტორიტეტი" ჰყავთ.*

აქვე, არასამთავრობოები ბოშებისთვის სპეციალური ნაციონალური სკოლის დაარსების ინიციატივით გამოვიდნენ. ამით, საქართველოში ჩამოსული უცხოელი სტუმრების "უსაფრთხოებაც" იქნება უზრუნველყოფილიო, აღნიშნეს მესამე სექტორის წარმომადგენლებმა.

**"როგორც კი დაინახავენ ქუჩაში ფეხით მოსიარულე უცხოელს, შემოესევიან და სანამ ფულს არ მიიღებენ, გასაქანს არ აძლევენ",** - დაიჩივლა ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელმა, რომელმაც ამასთან დაკავშირებით ერთი არცთუ სასიამოვნო ფაქტი გაიხსენა. გერმანიიდან ჩამოსული სტუმარი, სამშობლოში გამგზავრების წინა დღეს, თბილისის ძველ უბნებს ათვალიერებდა. აბანოებთან მას, დახმარების მოთხოვნით, მაწანწალა ბოშები "დაესხნენ თავს". უცხოელს, თურმე, ხურდები არ აღმოაჩნდა, თუმცა, ეს ბოშებს ვერაფრით გააგებინა. რამდენიმეწუთიანი "ტყვეობის" შემდეგ, სტუმარმა გაქცევით და მეზობელ სახლში დამალვით უშველა თავს.

ოფიციალური სტატისტიკა მაწანწალა ბოშების და სხვა მაწანწალების რაოდენობის შესახებ არ არსებობს. მათი აღრიცხვა რამდენიმე მიზეზის გამო ვერ ხერხდება. შინაგან საქმეთა ქალაქის მთავარი სამმართველოს წარმომადგენლის, გოგი ქებურიას თქმით, მთავარი პრობლემა მოუწესრიგებელი საპასპორტო რეჟიმი და უსახსრობაა. **"ყველამ კარგად ვიცით, რომ ადამიანთა ამ კატეგორიას არ გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, რომ აღრიცხო, უბან-უბან უნდა ირბინო. ამას კი ფული და მანქანები სჭირდება. ჩვენს სამსახურს ყავს რამდენიმე მანქანა, მაგრამ, როგორ ვთქვა, მანქანა ამ საქმისთვის გამომიყავით-მეთქი, როცა ტრანსპორტი დამნაშავეთა ოპერატიულად დაკავებისთვის არ გვყოფნის",** - იკითხა ქებურიამ.

ქალაქის ვიცე-პრემირი კახა შენგელია, ერთ მანქანას და ბენზინის ხარჯებს, საკუთარ თავზე იღებს, - ოღონდ ამ საქმეს მიხედეთ და რაც საჭირო იქნება შემოგაშველებთო.

ვიცე-პრემიერის ამ დაპირების შემდეგ, მაწანწალების ზუსტი აღრიცხვისა და სტატისტიკის საქმე მოგვრებულად ჩაითვალა და არასამთავრობოებმა მაწანწალა ბავშვების მზრუნველობაზე ორიენტირებული სტრუქტურის დაარსების იდეა "შემოაგორეს". ვიცე-პრემიერმა იდეა მოიწონა და პირობა დადო, რომ უახლოეს დღეებში ამ საკითხზე სპეციალურ შეხვედრას მოაწყობდა.

# ჭერჭერობით, ნგრევაში, საკრებულო მერიას სჯობნის

ნანა ქადაგიშვილი

*გუშინ სანამ საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობის კომისია მიწისძვრის შედეგად დაზარალებულთა ფონდის საქმიანობას აჯამებდა და მისი და საბინაო სამსახურის ერთ სამსახურად - საბინაო მეურნეობის რეაბილიტაციისა და აღდგენის ხელშეწყობის ცენტრად გაერთიანების საკითხს განიხილავდა, საკრებულოს თავმჯდომარის მითითებით, ქალაქის არქიტექტურის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ორი უნებართვო ობიექტი დაანგრია.*

ეს თბილისში ბოლო წლებში აშენებული ობიექტის დანგრევის პრეცენდენტია. კანონით, თუნდაც უკანონოდ აშენებული შენობის დანგრევის უფლება, სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გარეშე, არავის აქვს. არქიტექტურის დეპარტამენტის უფროსს გუშინ მსგავსი დოკუმენტი ზურგს არ უმაგრებდა, მაგრამ ამისი არ შეშინებია. "თუ უნდათ, მიჩივლონ. არც ამ ობიექტების უნებართვოდ აშენების უფლება ჰქონდათ, მაგრამ ააშენეს. ამის დანგრევას სასამართლოს გადაწყვეტილება არც სჭირდება," - ამაყად განაცხადა ირაკლი როსტომაშვილმა და ინფექციური საავადმყოფოს გვერდით, ზედ ტროტუარზე წამოჭიმული ბენზინგასამართი სადგურის დანგრევის შემდეგ, ვაკე-საბურთალოს გადასახვევთან ასევე უკანონოდ მშენებარე ავტომობილების სამრეცხაოსკენ გაემართა.

როგორც როსტომაშვილი ამბობს, ინფექციურ საავადმყოფოსთან ბენზინგასამართი სადგურის მშენებლობის ნებართვა არქიტექტურის დეპარტამენტის ძველ ხელმძღვანელობას 8-10 წლის წინათ გაუცია. თუმცა, მშენებლობა რამდენიმე დღის წინათ დაწყებულა და დეპარტამენტის ახალ ხელმძღვანელობას მაშინვე შეუჩერებია, რადგან მშენებლებმა, კუთვნილი ტერიტორიის გარდა, მთელი ტროტუარი დაიკავეს.

ავტომობილების სამრეცხაოს მშენებლობა მოქალაქე ირაკლი ძაგანიამ გასულ წელს, ყოველგვარი ნებართვის გარეშე დაიწყო. არქმშენინსპექციამ მის წინააღმდეგ სარჩელი ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოში 5 თვის წინათ შეიტანა. სასამართლოს გადაწყვეტილება დღემდე არ გამოუტანია, აწი კი, აღარც დასჭირდება. არქიტექტურის დეპარტამენტის უფროსის წინამძღოლობით, ბულდოზერებმა სამრეცხაო უკვე ნახევრად დაანგრიეს, ხოლო დანარჩენი ნახევრის დანგრევა დამორჩილებულ მშენებლებს დაავალეს.

საკრებულოს თავმჯდომარემ და დეპარტამენტის უფროსმა ნგრევისა და ნანგრევების გატანის ხარჯების პრობლემაც მოხსნეს. წესით, როცა სასამართლო უკანონოდ მშენებარე ობიექტის დანგრევაზე გადაწყვეტილებას გამოიტანს, ნგრევის ხარჯები, კრედიტორმა ან აღმასრულებელმა სამსახურმა უნდა გაიღოს, რაც ორივესთვის პრობლემაა. ზემოთაღნიშნულ ორივე შემთხვევაში კი, ობიექტის დანგრევისა და ტერიტორიის



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*სამრეცხაოს "შავი დღე".*

გასუფთავების ხარჯების გადახდა თვით მშენებლებს დააკისრეს. "ნგრევის ხარჯები, ჯერჯერობით, ქალაქის კეთილმოწყობის სამსახურმა გაიღო, მაგრამ ამ თანხასაც და ნანგრევების გატანის ხარჯებსაც სადგურის მეპატრონეს გადავახდევინებთ," - აცხადებს ირაკლი როსტომაშვილი.

უკანონო მშენებლობების გამოვლენაში ერთმანეთს გაჯიბრებულ მერიასა და საკრებულოს შორის, აშკარად, საკრებულო იმარჯვებს. გასულ კვირას მერიის წარმომადგენლები მხოლოდ უნებართვოდ აშენებული შენობების ჟურნალისტებისთვის ჩვენებითა და სასამართლოების სუბიექტურობაზე წუწუნით შემოიფარგლნენ, შენობების დასანგრევად კი გამბედაობა არ ეყოთ. საკრებულოზე ამას ნამდვილად ვერ ვიტყვით.

# უმაღლესი ხელმძღვანელობა ოფიცრების თვითნებობას ხელს უწყობს

პირველი გვერდიდან


ქართველი ჯარისკაცები პანკისის ხეობაში.

პირიქით, ზემოთ აღნიშნული მიზეზი გასული წლის მაისში პანკისის ხეობაში გადაყვანილი შინაგანი ჯარიდან მასიური გაქცევის საბაბიც გახდა. ნებისმიერ სახელმწიფოში მსგავს მოვლენას საგანგებო შეფასება მიეცემოდა და დამნაშავეც სამაგალითოდ დაისჯებოდა, რათა ამგვარი ფაქტი აღარ გამეორებულიყო, მაგრამ საქართველოში 60 ჯარისკაცის გაქცევის მიზეზი ისევ და ისევ სოციალური პრობლემებით "შეინიღბა" და ნაწილში არსებული მდგომარეობის გახმაურებისგან ყველამ თავი შეიკავა.

დედაქალაქიდან ჩასული სარდლობისა თუ ჯარისკაცთა უფლებების დამცველი ორგანიზაციების წარმომადგენლების მცდელობით, ტყეში გაქცეული ჯარისკაცები მეორე დღესვე ნაწილში დაბრუნდნენ და გაქცევის რეალურ მიზეზებზეც ალაპარაკდნენ. სახალხო დამცველის აპარატის სამხედრო პირთა უფლებების დაცვის ცენტრის ხელმძღვანელის ნოდარ ეფრემიძის ინფორმაციით, ჯარისკაცებმა მომხდარი სამხედრო ნაწილის მეთაურთან - დავით ბადურაშვილთან დაპირისპირებით ახსნეს. რიგითი სამხედროების მტკიცებით, ბადურაშვილი მათ ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა. მაგრამ რამდენიმე დღეში ჯარისკაცებმა პოზიცია შეიცვალეს და ისინიც ხელმძღვანელობისთვის სასურველ თემაზე - სოციალურ პრობლემებზე ალაპარაკდნენ.

მიუხედავად ამისა, თელავის სამხედრო პროკურატურაში ნაწილის მეთაურის - დავით ბადურაშვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღძრა სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე, ძალადობისა და დაზარალებულის ღირსების შელახვის გამო.

გამოძიების მასალების თანახმად, გასული წლის აპრილში ჯარისკაცები - იოსებ ზაქარეიშვილი და ქართლოს ბურჭულაძე, რომლებიც საგუშაგოზე ნასვამები იყვნენ, მეთაურ ბადურაშვილის ბრძანებით, თელავის სამხედრო ნაწილის დისლოკაციის ადგილზე გადაუყვანიათ.

**"ბადურაშვილი მაგინებდა, მერე სახეში რამდენჯერმე გამარტყა, შემდეგ კი წიხლით დამიწყო ცემა. მე წავიქეცი, მეთაური მოვიდა და მარცხენა ხელზე ფეხი დამარტყა, რის გამოც ხელი მომტყდა"**, - ამგვარი ჩვენება მისცა თავდაპირველად გამოძიებას რიგითმა ზაქარეიშვილმა.

მძიმე დაზიანებაზე – ტვინის შერყევაზე საუბრობდა რიგითი ბურჭულაძეც, მაგრამ მოგვიანებით, გაურკვეველი მიზეზის გამო, ორივე ჯარისკაცმა ჩვენება შეცვალა.

მართალია, ზაქარეიშვილი ბადურაშვილის მხრიდან ცემის ფაქტს არ უარყოფდა, მაგრამ ირწმუნებოდა – მეთაურმა რომ გამარტყა, წავიქეცი, ხელი საწოლზე დავარტყი და ისე მოვიტეხეო. გამოძიებამ, ხანდაზმულობის გამო, ვერც ბურჭულაძეს დაუმტკიცა ტვინის შერყევის ფაქტი.

მიუხედავად შეცვლილი ჩვენებებისა და საქმის შემსუბუქებისა, თელავის სამხედრო პროკურატურამ საქმის გამოძიება მაინც გააგრძელა.

მართალია, ბადურაშვილი, "დიდი გაქცევის" შემდეგ გამოვლენილი დარღვევების გამო, შინაგანი ჯარის ხელმძღვანელობამ დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლა, მაგრამ შინაგანი ჯარის თავკაცთა გადაწყვეტილებით, ოფიცრის დასჯა ამით უნდა დასრულებულიყო და მის მიმართ სისხლის სამრთლის საქმე უნდა შეწყვეტილიყო. ამისათვის, სარდალმა შერვაშიძემ გენერალურ პროკურორს წერილი გაუგზავნა, ცოტა არ იყოს დაუჯერებელი ისტორიაც აღწერა და ჯარისკაცთა ცემაში ბადურაშვილის ბრალეულობა კატეგორიულად გამორიცხა.

**"21 აპრილს, დაახლოებით ღამის 21 საათზე, უმცროსი ლეიტენანტი ღოღაძე, ერთ-ერთ პოლიციელთან ერთად, კარავში იმყოფებოდა. ღუმელი, რომელიც მათ ჰქონდათ ანთებული, ბოლს უკან აბრუნებდა. მიზეზის გასარკვევად ისინი კარავიდან გავიდნენ. აღმოჩნდა, რომ საკვამლე მილზე გარედან ქვა იყო დაფარებული. გასარკვევად ღოღაძე გუშაგებისკენ წავიდა. კითხვაზე: ვინ დადო ღუმელზე ქვა? ზაქარეიშვილმა უპასუხა – მეო და გინებაც მიაყოლა. მერე ავტომატი გახსნა, მაგრამ იქვე მყოფმა ოფიცერმა წაართვა. ამ დროს ზაქარეიშვილი, რომელიც ნასვამი იყო, წაიქცა,"** – წერს გენერალურ პროკურორს შერვაშიძე.

იმავე წერილის თანახმად, ლეიტენანტ შათირიშვილის მოკვლას აპირებდა რიგითი ბურჭულაძეც და ისიც, თურმე, იარაღის წართმევისას წაქცეულა.

ერთი სიტყვით, შერვაშიძის წერილს თუ დავუჯერებთ, ქართველ ჯარისკაცებს ოფიცრები დაბრიყვებული ჰყავთ, ხოლო სამხედრო პროკურატურა ჯარისკაცების ნათქვამს იჯერებს და გამომძიებლებს აიძულებს, ბადურაშვილი დააპატიმრონ.

შერვაშიძემ ნუგზარ გაბრიჩიძეს სთხოვა საქმის გენპროკურატურაში გადატანა, რათა დაეცვა საკუთარი ოფიცრის ინტერესები.

მიუხედავად შინაგანი ჯარის სარდლის თხოვნისა, საქმის გამოძიება მაინც თელავის სამხედრო პროკურატურამ დაასრულა და იგი შემდეგი განხილვისათვის გადაგზავნა თბილისის საოლქო სასამართლოში.

თუმცა, მართლსაჯულებას ყოფილი მეთაურის დანაშაულებრივ ქმედებაზე არ უმსჯელია და, აქედან გამომდინარე, საბოლოო შეფასებაც არ მიუცია. სასამართლომ დაზარალებული ჯარისკაცები და "დამნაშვე" ბადურაშვილი შეარიგა და საქმეს წერტილიც დაუსვა.

არადა, ბადურაშვილის მიმართ წარდგენილი მუხლი - სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება - ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. მიუხედავად ჯარისკაცთა მტკიცებისა, რომ ქართულ ჯარში ჩინიანი სამხედროები ყოველ ფეხის ნაბიჯზე არღვევენ სამსახურებრივ უფლებამოსილებას, ჩვენი ინფორმაციით, აღნიშნული დანაშაულისთვის, ჯერჯერობით, არავინ დასჯილა.

# ქართულ-ოსური ექსპერტიზა ექიმების ქმედების მართლზომიერებას დაადგენს

ხათუნა ჯანგირაშვილი

გუშინწინ, ჯავის რაიონის სოფელ თადელეთში, ჯანდაცვის სამინისტროს სამედიცინო-სასამართლო ექსპერტიზის ექიმთა სპეციალური ჯგუფი გაემგზავრა. თბილისიდან ჩასული ექსპერტიზის ჯგუფის წევრები, ოსური მხარის წარმომადგენლებთან ერთად, გუშინწინ გარდაცვლილ ოსი ეროვნების მოქალაქის თანდილოვის ცხედარს ჩაუტარებენ ექსპერტიზას.

საქმე ისაა, რომ ოსურმა მხარემ თბილისის სამხედრო ჰოსპიტალის ექიმებს თანდილოვის შეგნებულად მოკვლაში დასდო ბრალი.

ჯავის რაიონის სოფელ თადელეთში მცხოვრებ თანდილოვს რამდენიმე დღის წინ თავს დაესხნენ და ბასრი იარაღით დაჭრეს. დაჭრილი თავდაპირველად ჭიათურის საავადმყოფოში მკურნალობდა, მოგვიანებით კი იგი თბილისის სამხედრო ჰოსპიტალში გადმოიყვანეს.

თანდილოვის ჯანმრთელობის მდგომარეობა საკმაოდ გართულებული იყო, მაგრამ მისმა პატრონებმა მოულოდნელად დაჭრილის სახლში წაყვანა გადაწყვიტეს, ჰოსპიტალის ექიმებს ხელწერილი ჩააბარეს და მისი სახლში წაყვანა კატეგორიულად მოითხოვეს. **"ავადმყოფის მდგომარეობის გართულების შემთხვევაში პასუხისმგებლობას ჩვენს თავზე ვიღებთ",** – ასეთია დაჭრილის ახლობლების მიერ სამხედრო ჰოსპიტალის მედპერსონალისთვის დაწერილი ხელწერილის შინაარსი. ექიმების წინააღმდეგობის მიუხედავად, თანდილოვი ოჯახმა სოფელ თადელეთში მაინც გაამგზავრა. სამწუხაროდ ავადმყოფის მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა და ის გზაში გარდაიცვალა.

**"თბილისში, სამხედრო ჰოსპიტალში, თანდილოვს არ გაუკეთეს ის, რაც საჭირო იყო ავადმყოფისთვის. ექიმებმა იგი შეგნებულად დატოვეს უყურადღებოდ და ამიტომ გაურთულდა ჯანმრთელობის მდგომარეობა. ავადმყოფი შეგნებულად მოკლეს",** – დასდეს ბრალი ჰოსპიტალის ექიმებს გარდაცვლილის ჭირისუფლებმა.

იმის დასადგენად, მართალაც ურევია თუ არა თანდილოვის სიკვდილში ექიმების ხელი, თბილისიდან გამგზავრებულმა ექსპერტთა სპეციალურმა ჯგუფმა გუშინ, ოს კოლეგებთან ერთად, გვამს ექსპერტიზა ჩაუტარა. ექსპერტიზის შედეგები, ჯერჯერობით, უცნობია.

რაც შეეხება თავდამსხმელებს, რომლებმაც თანდილოვი დაჭრეს, ჩვენი ინფორმაციით, ქართველები არიან და თანდილოვს ისინი ანგარიშსწორების მიზნით დაესხნენ თავს. სამართალდამცველთა განცხადებით, უკვე დადგენილია თანდილოვზე მომხდარი თავდასხმის მოტივიც და თავდამსხმელთა ვინაობაც. სამართალდამცველები თავდასხმის მოტივის დასახელებისგან თავს იკავებენ იმ მიზეზით, რომ ამ საქმესთან სხვა დანაშაულებებიც არის დაკავშირებული, ჩვენი ინფორმაციით, საიდუმლო, რომელსაც სამართალდამცველები, ჯერჯერობით, არ ამჟღავნებენ, ნარკოტიკს უკავშირდება: თანდილოვი ნარკოტიკული ნივთიერებებით ვაჭრობდა და თავდამსხმელები მისი კლიენტები იყვნენ.

ერთი სიტყვით, ორ დღეში გახდება ცნობილი, რას იტყვის ქართულ-ოსური ერთობლივი ექსპერტიზა. რაც შეეხება სხეულის დაზიანების მუხლით აღძრული სისხლის სამართლის საქმეს, ის თანდილოვის გარდაცვალების შემდეგ მკვლელობის მუხლით გადაკვალიფიცირდა.

# პატიმრები ფართომასშტაბიანი აქციებით იმუქრებიან

*გუშინ, გეგუთის კოლონიაში, 30-მა ყოფილმა მეომარმა ერთდღიანი გამაფრთხილებელი აქცია მოაწყო. აქციის მონაწილენი აცხადებენ, რომ ისინი პრეზიდენტის მიერ 2000 წლის 20 აპრილს გამოცემული შეწყალების აქტის შესაბამისად, დიდი ხნის წინ უნდა გაეთავისუფლებინათ. მაგრამ, რატომღაც, დღესაც საპატიმროში იმყოფებიან და ხელისუფლებას საკუთარ არსებობას საპროტესტო აქციებით ახსენებენ. მეტიც, ახლა ისინი უკვე ფართომასშტაბიანი აქციებით იმუქრებიან, რომელიც საქართველოში არსებულ ყველა სასჯელაღსრულებით დაწესებულებას მოიცავს.*

თამარ კაციტაძე

შეწყალების ცნობილი აქტიდან დღემდე გათავისუფლებულია დაახლოებით 200-მდე ყოფილი მეომარი პატიმარი. თუმცა, ციხე-კოლონიაში დარჩენილი ამ კატეგორიის მსჯავრდებულების განცხადებით, პრეზიდენტის წყალობა არ შეეხო იმ ხალხს, ვინც ცხინვალის და აფხაზეთის ომში ნამდვილად იბრძოდა, მაგრამ ვისი გათავისუფლებითაც პოლიტიკოსები "ქულების ჩაწერას" ვერ მოახერხებდნენ. პატიმართა მტკიცებით, ამ აქტით თავისუფლება მიიღეს იმ პატიმრებმაც, რომლებსაც ომი თვალითაც არ უნახავთ, მაგრამ შესაბამისი ორგანოების მოსყიდვის შესაძლებლობა გააჩნდათ.

ყოფილ მეომართა შეწყალებაზე განსხვავებული მოსაზრება აქვს შეწყალების კომისიის თავმჯდომარეს ოთარ გორდელაძეს, რომელსაც პატიმრები ყველაზე მეტად ემდურებიან.

**"ყოფილ მებრძოლ პატიმართა შეწყალება პრეზიდენტის აქტის გამოსვლის შემდეგ რამდენიმე ეტაპად განხორციელდა, მაგრამ თანდათან, სასამართლოს დახმარებით, მეომართა სიაში ჩვეულებრივი პატიმრებიც მოხვდნენ და მათი რიცხვი ისე გაიზარდა, ომში ამდენი მეომარი რომ გვყოლოდა, ნამდვილად არ დავმარცხდებოდით. ამის გამო, მეომართა შეწყალების პროცესში, ყოფილი თავდაცვის მინისტრი გია ყარყარაშვილიც ჩაერთო და მეომართა სიები გადაამოწმა. მართლაც, უამრავი გაყალბებული დოკუმენტი გამოვლინდა. ბოლო შეწყალებისას ყოფილი მებრძოლები კიდევ გავათავისუფლეთ. ამჟამად პატიმრობაში დარჩნენ ის მეომრები, რომლებიც მძიმე დანაშაულისთვის არიან გასამართლებულნი და მათზე შეწყალება არ ვრცელდება. სწორედ ამიტომ, გია ყარყარაშვილის მიერ შექმნილმა სპეციალურმა კომისიამ ამნისტიის შესახებ კანონპროექტი მოამზადა. იგი პარლამენტმა უნდა განიხილოს და დაამტკიცოს,"** – აღნიშნა ჩვენთან საუბარში გორდელაძემ.

პრეზიდენტის შერიგების აქტი არ ვრცელდება იმ მეომრებზე და ექსპრეზიდენტის მომხრეებზე, რომლებსაც მძიმე დანაშაულში ედებათ ბრალი. როგორც მეომრები და მათი გულშემატკივრები აცხადებენ, ომის დროს ყველას იარაღი ეჭირა ხელში და ამიტომ ყველა მძიმე ბრალდებით გაასამართლეს. იმისათვის, რომ არ მომხდარიყო პატიმართა დიფერენციაცია ან სხვა გაუგებრობა, თავის დროზე პარლამენტართა ერთი ნაწილი შეწყალების ნაცვლად ამნისტიას ითხოვდა, მაგრამ იმ დროს ამ მოსაზრებას ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა.

თავდაცვის ყოფილი მინისტრი დღეს წლების წინ დაშვებული შეცდომის გამოსწორებას ცდილობს და პარლამენტში კანონპროექტის წარდგენას მომავალ კვირაში აპირებს.

თუმცა, ვიდრე დეპუტატები საკუთარ პოზიციას დააფიქსირებდნენ, პატიმრები ფართომასშტაბიანი აქციების დაწყებით იმუქრებიან. არასამთავრობო ორგანიზაციის "ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისათვის" წარმომადგენლის ნანა კაკაბაძის განცხადებით, 4 მარტს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ყველა დაწესებულებაში ფართომასშტაბიანი შიმშილობა და დაუმორჩილებლობის აქციები დაიწყება. ჩვენი ინფორმაციით, პატიმრებისადმი სოლიდარობის გამოცხადებას აპირებენ უკვე გათავისუფლებული ყოფილი მეომრებიც. რა შედეგს გამოიღებს პატიმართა ამგვარი "გაბრძოლება", მომავალ კვირას გამოჩნდება. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ გეგუთელი პატიმრები უკვე რამდენიმე დღეა, რაც პროტესტის უკიდურესი ფორმით იმუქრებიან, ნანა კაკაბაძის ინფორმაციით, დღემდე მათთან დაკავშირების სურვილი ხელისუფლებიდან არავის გასჩენია.

სამაგიეროდ, ფართომასშტაბიანი აქციისთვის ემზადებიან იუსტიციის სამინისტროში.

**"ჩვენ გვაქვს ინფორმაცია აქციის დაწყების შესახებ. ეს პატიმრის უფლებაა და ჩვენ აკრძალვის არც უფლება გვაქვს და არც სურვილი. მაგრამ, ვცდილობთ პატიმრებს ახსნა-განმარტებები ჩავუტაროთ და დავარწმუნოთ ისინი, რომ პროტესტის ეს ფორმა არ არის მიზნის მისაღწევი გზა",** - ამბობს იუსტიციის მინისტრის მოადგილე კახა კობერიძე.

# პეტერბურგში ქართველი რეციდივისტის მკვლელებს ასამართლებენ

პეტერბურგში დასრულდა საქართველოს სამი მოქალაქის ილგამ ფრენდის, როვშან მამედოვისა და ფიკრეტ ალეკპეროვის საქმის წინასწარი სასამართლო მოსმენა და პროცესი 23 ივნისისთვის დაინიშნა. წინასაწარი გამოძიებით, მათ ბრალად ედებათ 2000 წელს სასტუმრო "ასტორიასთან" ე.წ. კანონიერი ქურდის გოჩა ცაგარეიშვილისა და მისი ორი თანმხლები პირის, მათ შორის - ცაგარეიშვილის მეუღლის მკვლელობა.

როგორც სასამართლოში ითქვა, ცაგარეიშვილისა და მისი თანმხლები პირების მკვლელობის დამკვეთის დადგენა ვერ მოხერხდა. გამოძიების ვერსიით, ფრენდიმ და მამედოვმა "ასტორიიდან" გამოსულ მსხვერპლთ ცეცხლი ტტ-ს ტიპის პისტოლეტ-ტყვიმფრქვევიდან გაუხსნეს, ხოლო ალეკპეროვმა უზრუნველყო შემთხვევის ადგილიდან თავდამსხმელთა მიმალვა. გუშინ ჩატარებულ პროცესზე კიდევ ერთხელ გაიჟღერა 2000 წელს პეტერბურგში მომხდარმა კრიმინალურმა ისტორიამ, რომელშიც გუსინსკის მარჯვენა ხელი, ცნობილი პეტერბურგელი ბიზნესმენი მიხეილ მირილაშვილი იყო გარეული. იგი 2001 წელს დააპატიმრეს კიდეც, მაშინ, როცა პეტერბურგიდან თბილისში მოემგზავრებოდა. მისი დაპატიმრების მიზეზი კი გახლდათ მამამისის გატაცებაში მონაწილეთა - როსტომ დვალისა და კობა კაკუშაძის გატაცება და მკვლელობა. რუსი სამართალდამცველების ინფორმაციის თანახმად, მოსკოვში მოქმედი ქართული კრიმინალური დაჯგუფების წევრების გატაცებაცა და მკვლელობაც სწორედ მან შეუკვეთა; ხოლო მოკლული კაკუშაძისა და დვალის გვამების ადგილსამყოფელი მილიციას სწორედ იმ ალეკპეროვმა შეატყობინა, რომელზეც ზემოთ გვქონდა საუბარი. გუშინდელ სასამართლო პროცესზე ალეკპეროვის ადვოკატებმა მიაღწიეს იმას, რომ გვამების ადგილსამყოფელზე ალეკპეროვის გაყვანის ოქმი სისხლის სამართლის საქმიდან ამოიღეს, რადგან ის პროცესუალური დარღვევებით იყო შედგენილი. ასევე ალეკპეროვს მოეხსნა განზრახ მკვლელობის დაფარვის ბრალდება, რადგან ამ დანაშაულის ხანდაზმულობის ვადა ამოიწურა.

# რუსი პროდიუსერი ქართველებმა გაქურდეს

მოსკოვში კვლავ დააკავეს ქართველი დამნაშავე. სამართალდამცველები მისი ვინაობის დასახელებას ერიდებიან, ამბობენ მხოლოდ, რომ დაკავებული საქართველოს მოქალაქეა, 33 წლისაა და ვარშავის გზატკეცილზე ცხოვრობს. მას ბრალად ედება კომპანია NOX Music-ის პრეზიდენტისა და კრისტინა ორბაკაიტეს პროდიუსერის იოსებ პრიგოჟინის ბინის გაქურდვა. ბოროტმოქმედებმა გაკოჭეს პრიგოჟინის ცოლი, მცირეწლოვანი შვილი და მისი ძიძა, ბინიდან კი გაზიდეს ფული, ძვირფასეულობა, კომპიუტერული და ვიდეო ტექნიკა, ამასთანავე დაჭრეს პრიგოდინის უფროსი ვაჟი, რომელიც მძარცველებს სადარბაზოში შეხვდა და წინააღმდეგობა გაუწია. დაკავებულ ქართველს ნაძარცვის ნაწილი აღმოაჩნდა. მოსკოვის მილიციის ცნობით, ჯერ კიდევ იძებნებიან მისი თანამემამულე თანამზრახველები.

გუშინვე ნიჟნი ნოვგოროდში ძებნა გამოცხადდა თბილისელ მიხეილ მანაშეროვზე, რომელმაც ნიჟნი ნოვგოროდის სორმოვოს რაიონში, ზაიცევის ქუჩაზე, ერთ-ერთ ბინაში ცეცხლი გაუხსნა ნიჟეგოროდის ოლქის შინაგან საქმეთა სამმართველოს სპეციალიზირებული ბატალიონის თანამშრომლებს. სროლის შედეგად ორი მილიციელი ადგილზე დაიღუპა და ორი კი დაიჭრა.

# ანტვერპენის ბრილიანტების „ციხე შიგნიდან გატყდა"

ბელგიის პოლიცია ბრილიანტების მოპარვის ერთ-ერთ უმსხვილეს ფაქტს იძიებს და გუშინ განაცხადა კიდეც ოთხი ეჭვმიტანილის დაკავების თაობაზე. დაკავებულთა შორის იტალიის სამი და ერთიც ჰოლანდიის მოქალაქეა. მოპარული ბრილიანტების ღირებულება, ჯერჯერობით, ზუსტად ცნობილი არ არის. სამაგიეროდ, ცნობილია ის, რომ ბოროტმოქმედებმა ანტვერპენის ალმასების ცენტრის 160 სეიფიდან 120-ის გასუფთავება შეძლეს. ამავე ცენტრში მომხდარი ბოლო ძარცვისას ქურდებმა მხოლოდ 5 სეიფის გაქურდვა შეძლეს და ზარალმა მაშინ 4,5 მილიონი დოლარი შეადგინა. ზოგიერთი ინფორმაციის თანახმად, მძარცველებმა ალმასების ცენტრის შენობაში წინასწარ დაიქირავეს ოფისი. ბელგიის პროკურატურის წარმომადგენლის თქმით, დაკავებულთა შემდგომ ბედს სასამართლო დღეს განსაზღვრავს. მათ ბრალად ედებათ ორგანიზებული ძარცვა. პროკურატურის წარმომადგენლის თქმით, გამოძიება გრძელდება.

ანტვერპენის სახელგანთქმულ "ალმასების კვარტალში" მდებარე ალმასის ცენტრს უთანამედროვესი ტექნიკა იცავს – აქ არის ფარული ვიდეოკამერებიც, კოდირებული დაცვის სისტემაც, ხოლო დაცვა 24 საათის მანძილზე მორიგეობს. ამბობენ, ფარული კამერები თვით სეიფებშიც არის დამონტაჟებულიო; მაგრამ ბრილიანტები ვერაფერმა გადაარჩინა. რადგანაც სეიფებზე ძალადობის კვალი საერთოდ არ ჩანს, პოლიცია ვარაუდობს, რომ მძარცველებს ვიღაც "შიგნიდან" ეხმარებოდა.

## მოკლედ

**თბილისი.** ადვოკატი ეკა ბესელია თბილისის პოლიციის უფროსის ლევან მაისურაძისა და თბილისის პოლიციის დროებითი დაკავების იზოლატორის უფროსის პეტრე ბიჩინაშვილის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას მოითხოვს. მისი თქმით, იგი დღეს მიმართავს შს სამინისტროს გენერალურ ინსპექციას. ადვოკატი ამბობს, რომ მან 25 თებერვალს მიიღო პატიმარ ზურაბ სადაღაშვილის სხეულზე ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნა, რომელშიც დაფიქსირებულია პატიმარზე დენით წამების კვალი. ადვოკატის თქმით, სადაღაშვილი თბილისის პოლიციის დროებითი დაკავების იზოლატორში ჩვენების გამოძალვის მიზნით აწამეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა თურქეთის რესპუბლიკაში დააკავეს ნარკომანიისათვის წყალტუბოს შს განყოფილების მიერ ძებნილი, 30 წლის კახა ხელაძე. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ნინოწმინდის რაიონში მცხოვრებმა, 36 წლის იურა კარსლიანმა, პოლიციის სამმართველოს, ნებაყოფლობით ჩააბარა 2 ცალი ხელყუმბარა „რგდ", 5 ცალი 23-მილიმეტრიანი ვაზნა და ავტომატ „აკს"-ის 120 ცალი ვაზნა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ისან-სამგორის რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს თბილისში მცხოვრები, 20 წლის თენგიზ შაფათავა, რომელმაც რესტორან „გურიის" ეზოში, ურთიერთშელაპარაკებისას, დანით მუცელში დაჭრა 20 წლის ზურაბ სირაძე, ხოლო ზურგში - რესტორნის დაცვის თანამშრომელი, ქუთაისში მცხოვრები, 19 წლის კობა ფხაკაძე. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ისანი-სამგორის რაიონის ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების თანამშრომლებმა დააკავეს თბილისში მცხოვრები, ნასამართლევი, 22 წლის ლეონიდ ჩანკვეტაძე, მეტსახელად „ბინგო", რომლისგანაც ამოიღეს 5.8 გრამი მარიხუანა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ სამართალდამცველებმა დააკავეს ქვემო ქართლის სამხარეო სამხედრო პროკურატურის მიერ დეზერტირობისთვის ძებნილი კიდევ ერთი ჯარისკაცი.

20 წლის რიგითმა თამაზ მახარაშვილმა, რომელიც სამხედრო სავალდებულო სამსახურში გასული წლის მაისში გაიწვიეს, ფონიჭალის დასახლებაში მდებარე თავდაცვის სამინისტროს N03727 სამხედრო ნაწილი თვითნებურად დატოვა იმავე წლის ნოემბერში, 5-დღიანი შვებულების შემდეგ.

ქვემო ქართლის სამხარეო სამხედრო პროკურორის მამუკა ცაავას თქმით, სამხედრო ნაწილიდან გაქცევის შემდეგ თამაზ მახარაშვილმა ბოლნისის რაიონის სოფელ კაზრეთში, ორ თანამზრახველთან ერთად, კომერციული ჯიხური გაქურდა და ბოლნისის ცენტრალური მექანიკური საამქროდან ფერადი ლითონი მოიპარა. მასვე ედება ბრალი ავტომანქანების გატაცების მცდელობასა და ბოლნისის რაიონის ერთ-ერთი სახინკლიდან სურსათის ქურდობაში.

მახარაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე დეზერტირობისა და ქურდობის მუხლებით აღიძრა, რაც 2-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. **ინტერ-პრესი**

## რაფაელო სანტი


რაფაელი – ავტოპორტრეტი

დიდი იტალიელი მხატვარი, **რაფაელო სანტი**, მოკლედ კი **რაფაელი** დაიბადა 1483 წელს ურბინოში. მამამისი, **ჯოვანი დე' სანტი** ადგილობრივი კარის მხატვარი იყო. ეს ადგილობრივი კარი ჰერცოგ **მონტეფელტროს** ეკუთვნოდა, რომელმაც ქალაქი კულტურისა და ხელოვნების ერთგვარ მექად აქცია.

რაფაელი თერთმეტი წლისა დაობლდა, მაგრამ ფერწერაში უკვე საკმაოდ იყო დახელოვნებული. 1499 წელს რაფაელი პერუჯაში გადასახლდა და **პიეტრო ვანუჩის**, სახელგანთქმულ **პერუჯინოს** დაემოწაფა. აქ დღე და ღამე მუშაობდა. მხოლოდ ლამაზი ქალები თუ მოსწყვეტდნენ ამ საქმიანობას. ეს კი საკმაოდ ხშირად ხდებოდა, რადგანაც თვითონ ახალგაზრდა ოსტატი ფრიად გალანტური და შესახედავად ერთობ შთამბეჭდავი იყო. ძალიან ფაქიზად იცვამდა და თითებზე ნატიფ ბეჭდებს ატარებდა.

1504 წლიდან რაფაელი ფლორენციაშია. აქ ფერწერასა და სასიყვარულო თავგადასავლებში ჩაფლული მხატვარი 1508 წლამდე ცხოვრობს და დახატულ მადონებს თავისი სატრფოების ნაკვთებით აჯილდოვებს.

1508 წელს პაპმა იულიუს მეორემ რაფაელი რომში გამოიძახა თავისი აპარტამენტების მოსახატად. იქ მაშინ მიქელანჯელო მუშაობდა და რაფაელმაც უფრო დიდ მაესტროსთან შეხვედრის სურვილით მიიღო შეკვეთა. ვატიკანის ცნობილ ლოჯიაში (სტანცა დელა სენიატურა) რაფაელმა კედლებზე გამოსახა ევქარისტიის აღსრულება, ათენის სკოლა და პოეტთა დიდება პარნასის მთაზე. ამგვარი თემატიკა მხატვარს თვით პაპმა და მისი კარის ჰუმანისტებმა უკარნახეს. თემატიკაში არეული იყო ქრისტიანობა, კლასიკური ფილოსოფია და წარმართული პოეზია.

ამ წამოწყების სიდიდის გამო პაპმა რაფაელს დამხმარეთა აყვანის უფლება მისცა. ამ დროიდან მის გვერდით თითქმის სიკვდილამდე იმყოფებიან მხატვრები **ჯულიო რომანო** და **პენი**. ამის შემდეგ რაფაელი ნახატების მომზადებით შემოიფარგლება. დანარჩენს მოწაფეები აკეთებენ, ხოლო ოსტატი მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში ერევა მათ საქმიანობაში.

ვატიკანის სტანცებმა რაფაელის დიდება მიქელანჯელოსსას გაუტოლა. 1513 წლიდან იგი უკვე ლეონ X-ის კარის მხატვარია. პარალელურად ხატავს ცნობილი სიენელი ბანკირის, **აგოსტინო კიჯის** სასახლეს (დღეს ამ ჰექტარნახევრიან სასახლეში იტალიის მთავრობაა განლაგებული), სადაც ფუნჯის მოსმებს შორის შესვენებებისას რაფაელს ულამაზესი საყვარლები ართობენ. მდიდრული ჰონორარებით მხატვარმა თვითონაც იყიდა მოზრდილი სასახლე და აქ ლამაზი ნივთებით გარემოცული ატკბობდა საკუთარ გემოვნებას. ყოველგვარი სიმახინჯე ლამის ფიზიკურ ტანჯვას აყენებდა. ერთხელ ძალიან დიდი ანაზღაურება მოსთხოვა კიჯის ხაზინადარს. ამ უკანასკნელმა უარი უთხრა და რაფაელმა დახმარებისთვის მიქელანჯელოს მიმართა. მიქელანჯელომ ავტორიტეტულად განაცხადა, რომ ყოველი დახატული ანგელოსის თავი ასი დუკატი ღირდა. ხაზინადარმა რაფაელს ჰონორარი გადაუხადა და დასძინა: "დრაპირებების ფასიც რომ გადამახდევინოთ, გავკოტრდები".

რაფელს ეკუთვნის პაპის მცველების, შვეიცარიელი გვარდიელების შესამოსელის პროექტიც. ხელოვნების სფეროში რაფაელის მზარდმა ავტორიტეტმა, საბოლოოდ ნაადრევ სიკვდილამდე მიიყვანა ოსტატი. პაპი შეკვეთებს აყრიდა და მხატვარს მოსვენება ისედაც არ ჰქონდა. მაგრამ მოსვენების მაგიერ სასიყვარულო ვნებებში ეფლობოდა თავდაუზოგავად. ერთხელაც, სწორედ ასე აქტიურად გატარებული საღამოს შემდეგ სიცხემ აუწია. იტალიელი მხატვრების ცნობილი ბიოგრაფი, **ჯორჯო ვაზარი** წერს, რომ ექიმებს, რომლებმაც იცოდნენ მხატვრის თავშეუკავებლობა, ეგონათ, თითქოს რაფაელი ვნებისგან იყო გახურებული და სისხლი გამოუღეს. ამან მხატვარი კიდევ უფრო დაასუსტა და სიკვდილის მოახლოება აგრძნობინა. რაფაელმა ანდერძის შედგენა მოითხოვა და მთელი თავისი ქონება თავის სატრფოს, ულამაზეს ფორნარინასა და თავის მოწაფეებს გაუყო.

პოეტი რომის პანთეონში დაკრძალეს და ცნობილმა ლიტერატორმა, კარდინალმა **პიეტრო ბემბომ** ასეთი მოკლე ეპიტაფია უკარნახა საფლავის მოქანდაკეებს: Ille hic est Raphael — *აქ რაფაელია*. და თუმცა ყველა მისი ნამუშევარი ერთნაირი ღირსებისა არაა, თუმცა მის ხელმოწერილ შედევრთა შორის მრავალი მის მოწაფეებს ეკუთვნის, თანამედროვეებს რაფაელი მიქელანჯელოსა და ლეონარდოზე მეტად მოსწონდათ, რადგანაც თავისი ცხოვრებითა და შემოქმედებით უფრო ადეკვატურად გამოხატავდა თავისი ეპოქის სულიერ მისწრაფებებს. შეიძლება იმიტომ, რომ რაფაელს ტრაგედიისა და ღვთაებრიობის შეგრძნება აკლდა, გაცილებით უფრო ერგებოდა რენესანსის სკეპტიკურსა და უდარდელ განწყობილებას.


რაფაელი – პლატონი და არისტოტელე. ვატიკანის სტანცის მოხატულობა

# ჯიროლამო სავონაროლა

დასასრული. დასაწყისი იხ. №42

## მღვდლისა და სენიორის დუელი

მაგრამ, ამას წინ ორი მღვდლის დუელი უძღოდა: ლორენცო ბრწყინვალემ, რომლის გაფრთხილება სავონაროლამ არაფრად ჩააგდო, მაინც არ ისურვა პირდაპირი პასუხი გაეცა გათავხედებული მქადაგებლისათვის. ლორენცო განთქმული იყო თავისი ტაქტითა და თავშეკავებით. ფლორენციის მმართველმა აირჩია მჭევრმეტყველებით ცნობილი დომინიკელი მოწესე, ძმა **მარიანო** და შესთავაზა მას, საჯაროდ გამოსულიყო სავონაროლას წინააღმდეგ წმიდა მარკოზის ტაძარში. მარიანო ხალისით დათანხმდა, რადგანაც ერთდროულად ხედავდა პოპულარობის მოხვეჭისა და სენიორის გულის მოგების პერსპექტივას.

ამ შეთანხმების შესახებ ელვისებური ჭორი გავრცელდა ფლორენციაში. დათქმულ დღეს ტაძარში მთელი ქალაქი შეიკრიბა. ყველამ წინასწარ იცოდა, რა უნდა მომხდარიყო და როგორ იყო განაწილებული ფსონები. შესაძლოა, შეკრებილთა სიმრავლემ თავბრუ დაახვია ძმა მარიანოს, რომელმაც თავისი მხილებითი ქადაგება ისეთი ბრალდებებით დატვირთა და ისეთი რიტორიკით შეამკო, რომელიც უფრო დუქანს მოუხდებოდა, ვიდრე ტაძარს. სავონაროლას გამარჯვება აშკარა იყო და ამას პირველი ლორენცო მიხვდა. თავისი კანდიდატის უგემოვნებობით გულარეული გამოვიდა იგი ეკლესიიდან და ფიქრობდა, რომ თუ სავონაროლა არ იყო გოლიათი, იმდღევანდელი უმსგავსოების შემდეგ ბევრს გოლიათად მოეჩვენებოდა.

ერთი თვის შემდეგ წმიდა მარკოზის ტაძრის წინამძღვრის, ანუ პრიორის ადგილი გათავისუფლდა. არ არსებობს არანაირი მტკიცებულება, რომ ლორენცო მედიჩი მონაწილეობდა პრიორის არჩევნებში, მაგრამ ასევე ეჭვგარეშეა, რომ დომინიკელთა ორდენი არ წაუყრუებდა მმართველის ვეტოს, თუ ლორენცო ვინმეს წინააღმდეგ თავისი აზრის ხმამაღლა გამოთქმას ინებებდა. ვერ ვიტყვით, რომ ლორენცომ ხელი შეუწყო სავონაროლას პრიორად არჩევას, მაგრამ აშკარაა, რომ არ დაუბრკოლებია, თუმცა კი შეეძლო.

სავონაროლას "მადლიერებამ" არ დააყოვნა: ახალმა პრიორმა უარი თქვა ვიზიტით გამოეხატა თავისი პატივისცემა სენიორისადმი, რომლის გულუხვობაზე ბევრად იყო დამოკიდებული წმიდა მარკოზის ტაძარი. ეს ვიზიტი უკვე დიდი ხნის ტრადიცია იყო და ყოველი ახალარჩეული პრიორი ასე გამოხატავდა თავის ლოიალობას სახელმწიფოსადმი, რომლის მოსახლეობასაც სულიერად მწყემსავდა. ვიღაცამ შეახსენა სავონაროლას, რომ სენიორთან სტუმრობა არაფრით არ დასცემდა მის ავტორიტეტს და რომ ეს მხოლოდ ზრდილობის საკითხი და დამკვიდრებული ჩვეულება იყო. სავონაროლამ უპასუხა: "ვინ ამირჩია მე პრიორად, ლორენცომ თუ ღმერთმა? ამიტომაც უფალ ღმერთს ვემადლიერები და არა ლორენცოს".

მმართველს, რა თქმა უნდა, სასწრაფოდ ჩაუკაკლეს ქედმაღალი წინამძღვრის სიტყვები. ლორენცომ თავი გააქნია და მწარედ ჩაილაპარაკა: "აი, უცხოელი მწირი ჩემს სახლში საცხოვრებლად მოვიდა და ჩემს სანახავად მოსვლა კი არ იკადრა". ამ ცნობის მომწოდებელი სავონაროლას ერთი აპოლოგეტია, გვარად **ბურლამაკი**, რომელიც ალალადაა დარწმუნებული, რომ მოთხრობილი ფაქტი მეამბოხე წინამძღვრის სასარგებლოდ მეტყველებს. სინამდვილეში კი, ის, ლორენცო მედიჩის დიდსულოვნებასა და სირბილეზე უფრო მიუთითებს, თუმცა ამ უკანასკნელის სიტყვებში დღეს ბევრმა შეიძლება რომელიმე დონ კორლეონეს ინტონაციაც შეისმინოს.

ისტორია სავსეა მაგალითებით, თუ როგორ ამხელდნენ ან, ყოველ შემთხვევაში, უდიერად მიმართავდნენ მიწიერ ხელისუფალთ სხვადასხვა წინასწარმეტყველები, მქადაგებლები, სალოსები. განსაკუთრებით მითოლოგიურ და თეატრალურ შეფერილობას ამგვარი მოვლენები თუ მოთხრობები რუსეთის ისტორიაში ღებულობენ. ისინი ხან ტრაგიკულ ხასიათს ატარებენ, როგორც, მაგალითად, **იოანე მრისხანეს** შეხვედრები სალოსთან, მაგრამ ხშირად უფრო კამერული და მშვიდი ტონალობისაა. მაგალითად, 1820 წელს რუსეთის იმპერატორმა, **ალექსანდრე I**-მა მოინახულა მონასტერი, სადაც ბერი **თევდორე პოლზიკოვი** მოღვაწეობდა. ბერმა უარი თქვა ხელმწიფესთან შეხვედრაზე, იმ მიზეზით, რომ მხოლოდ ღმერთს ემორჩილებოდა. "დიდია, ჭეშმარიტად დიდია, ბერი თევდორე", — ჩურჩულებდა **ნაპოლეონ ბონაპარტეს** მძლეველი იმპერატორი. შესაძლოა, ამის არქეტიპი **დიოგენესა** და **ალექსანდრე მაკედონელის** ცნობილი დიალოგია, მაგრამ ერთი რამ ცხადია: სალოსსა და ტირანს, შეხვედრიდან, თავიანთი წილი დიდება მიჰქონდათ — ერთს ღვთის წინაშე კადნიერების, მეორეს კი — ღვთისმოშიშების და დიდსულოვნებისა. საბოლოოდ, ორივე კმაყოფილი უნდა ყოფილიყო.


სავონაროლა მომაკვდავი ლორენცო მედიჩის სარეცელთან

მაგრამ სავონაროლასა და ლორენცო მედიჩის დაპირისპირება სულ სხვა ხასიათისა იყო. ბრწყინვალე მმართველის ავტორიტეტი სულ სხვა საფუძველს ემყარებოდა და მას ღვთისადმი მორჩილების თეატრალიზება ვერაფერს შემატებდა, ხოლო პრიორის ინტერესები საგრძნობლად განსხვავდებოდა იმისგან, რასაც აპოლოგეტები მიაწერდნენ.

განსაკუთრებით საინტერესოა იმის ცოდნა, რა გრძნობები უნდა ჰქონოდა სავონაროლას მიმართ ლორენცოს. რა თქმა უნდა, პრიორის მიერ მრევლზე გავლენა ანგარიშგასაწევი იყო, მაგრამ 1490-იანი წლების დასაწყისში მედიჩის მმართველობა ფლორენციაში მტკიცე იყო. იქნებ ეს სიმტკიცე აძლევდა ლორენცოს საკუთარ თავში დარწმუნებულობის შეგრძნებას, რომლის წყალობითაც არ ეშინოდა თავხედი წინამძღვრის "მხილებებისა". პირიქით, ეს მხილებები ერთგვარ ცნობისმოყვარეობასაც აღძრავდა სენიორის გულში. ამ ცნობისმოყვარეობამ მოიყვანა ლორენცო ერთ დღეს მონასტრის მშვენიერ ბაღში. ალბათ აინტერესებდა, უფრო ახლოს გაცნობოდა კაცს, რომელმაც ბაბუის, **კოზიმო მედიჩის** მიერ ნასწავლი სიბრძნე უარყო: ბაბუა ასწავლიდა ლორენცოს, რომ მეგობრობაც და მტრობაც, უბრალოდ, ტარიფის საკითხი იყო, მაგრამ სავონაროლას შემთხვევაში მედიჩის პრაგმატიზმი არ მოქმედებდა. ოქროთი დომინიკელს ვერ მოისყიდიდა, მაგრამ სხვა საცდური აუცილებლად უნდა ყოფილიყო. რომელი?

სადილამდე ისეირნა ბაღში ლორენცომ. კოჭლი ფეხი ძალიან სტკიოდა, მაგრამ არ შეეპუა. სავონაროლამ იცოდა მთავრის ვიზიტის შესახებ, მაგრამ არ გამოსულა შესაგებებლად.

1492 წლის აპრილში ლორენცოს ჯანმრთელობა საგრძნობლად გაუარესდა. იგი საკაცეზე დაასვენეს და ბრწყინვალე საგვარეულო ვილა კარეჯიში წაიყვანეს, ფლორენციის მახლობლად. იქ ლორენცო ბრწყინვალეს პოლიტიკოსებისა და ლიტერატორების კრებული ეხვია გარს. ფლორენციაში კი საკათედრო ქადაგებისას სავონაროლამ საჯაროდ იწინასწარმეტყველა მთავრის მოახლოებული სიკვდილი. 7 აპრილის შუაღამით ლორენცოს აუწყეს, რომ მღვდელი მოვიდა და უკანასკნელ ზიარებას მოუტანს.

— იესომ ამ უბადრუკ ოთახში არ უნდა შემობიჯოს, — თქვა მთავარმა. — მე შევეგებები.

და მიუხედავად იმისა, რომ თირკმლები უკვე თითქმის გამოეთიშა და ადგომა დიდ შრომას მოითხოვდა, ლორენცო მსახურების მკლავებს დაეყრდნო და სატახტო დარბაზში გამოვიდა საზიარებლად. იმავე დილას სახელგანთქმულმა ექიმმა, **ტიჩინო ლოგარიომ** ლორენცოს დაფხვნილი ძვირფასი ქვების სუსპენზია დაალევინა. რა თქმა უნდა, ამგვარი "წამალი" კიდევ უფრო გაართულებდა ავადმყოფის მდგომარეობას. მოულოდნელად მთავარმა სავონაროლას მოყვანა მოითხოვა.

ხანმოკლე ყოყმანის შემდეგ წმიდა მარკოზის ტაძრის პრიორი ეახლა თავის სენიორს. მათი უკანასკნელი საუბრის შესახებ ორი ვერსია არსებობს.

პირველ ვერსიას მოვლენის ერთადერთი მოწმე, პოეტი, ანჯელო პოლიციანო მოგვითხრობს. სავონაროლამ მოუწოდა ლორენცოს სარწმუნოებრივი სიმტკიცის, უცოდველი ცხოვრების (თუ ღმერთი სიცოცხლეს გაუგრძელებდა) და სიკვდილის მშვიდად მიღებისაკენ. ლორენცომ უპასუხა, რომ მისი სარწმუნოება მტკიცეა, ხოლო სიკვდილის წინაშე მას არავითარი შიში არ გააჩნია. ამის შემდეგ კურთხევა სთხოვა სავონაროლას. პრიორმა ფორმულა წარმოთქვა და ზეთი სცხო მომაკვდავს. ამის შემდეგ იქაურობა მიატოვა. ლორენცომ ვერცხლის ჯვარცმა ჩაიკრა გულში და რამდენიმე საათში სული განუტევა.

სავონაროლას აპოლოგეტები ამგვარ მარტივ დასასრულს არ ურიგდებიან. მათი ვერსიის თანახმად, დომინიკელმა ლორენცოს ცოდვათა სრული აღსარება მოსთხოვა და შემდეგ ფლორენციის გათავისუფლება დაუყენა პირობად. ლორენცომ პირობა ვერ მიიღო და სავონაროლამაც კურთხევაზე უარი უთხრა.

უფრო სარწმუნო მაინც თვითმხილველის, პოლიციანოს ვერსია უნდა იყოს. მით უკეთესი სავონაროლასათვის, რადგანაც მომაკვდავის შანტაჟი არც ერთ მორწმუნე მღვდელს არ შეშვენის.

## დასასრული

ლორენცო მედიჩი წაგების დიდოსტატი იყო. მისი ვაჟი **პიერო** კი სულ მუდამ გამარჯვებას ესწრაფოდა, რამაც ამპარტავნის სახელი მოუტანა. ერთხელაც, საფრანგეთიდან დაბრუნებულს, მას პალაცო ვეკიოს კარები აუჭედეს და ფლორენციის დატოვება აიძულეს. სამაგიეროდ საოცრად გაიზარდა სავონაროლას ავტორიტეტი.

1495 წლის 10 ივნისს სავონაროლამ წმიდა მარკოზის კათედრიდან ფლორენციის რესპუბლიკა გამოაცხადა. ახალმა სახელმწიფომ ჯერ პიერო მედიჩის მომხრეები შეიწყნარა, მერე კი ყველა გადასახადი გააუქმა. სამაგიეროდ, გაუქმდა ყველა სახალხო გასართობიც, აიკრძალა საკარნავალო სიმღერები, ცეკვები და მხიარულება. სავონაროლას მთავრობამ სასტიკი წამება შემოიღო, რომლითაც სდევნიდნენ ღვთის მგმობელებს, სიკვდილით სჯიდნენ ჰომოსექსუალისტებს. ამის გამო სავონაროლას მომხრეებს ხალხმა **პიანიონები**, ანუ "მტირალები" შეარქვა. სულ მალე ფლორენციაში მაოისტური ჩინეთის საკადრისი პოლიტიკური მეთოდები ამოქმედდა. სავონაროლამ ორგანიზაცია უყო ე. წ. "იმედის საძმოებს", რომლებიც დღე და ღამე აკვირდებოდნენ ქალაქელების პირად ცხოვრებას და ყოველ გადახვევაზე ენა მიჰქონდათ წინამძღვართან.

სავონაროლას "თეოდემოკრატიამ" სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა ფუფუნებას, რომლის გამომხატველად ჩაითვალა ხელოვნების ნიმუშები. "მტირალების" ინიციატივით ფლორენციული მხატვრობის მრავალი ნუმუში ცეცხლს მისცეს. გარდა ამისა, საჯაროდ დაწვეს **ჯოვანი ბოკაჩოს** "დეკამერონი".

"მტირალათა" აღვირახსნილი ასკეტიზმის საწინააღმდეგოდ, ქალაქის ინტელექტუალებმა დააარსეს "განრისხებულთა" სამეცნიერო აკადემია, რომელიც დღესაც არსებობს ფლორენციაში. ერთ-ერთმა "განრისხებულმა", **ფილიპო კობრიციმ**, რომელიც 1496 წელს რესპუბლიკის გონფალონიერად (პარლამენტის "სპიკერად") აირჩიეს, საჯაროდ ბრალად დასდო სავონაროლას საერო ცხოვრებაში ჩარევა, რაც სასულიერო პირს არ ეკადრებოდა. კობრიციმ პირდაპირ ჰკითხა წინამძღვარს, იყო თუ არა მისი ქადაგებები ღვთისგან შთაგონებული. სავონაროლამ დუმილი არჩია და მონასტერს შეაფარა თავი.

ამას არ შეუშლია ხელი, რომ სავონაროლას ყოველგვარი ზომა და წონა დაეკარგა და თვით ეკლესიის მხილებაზე გადასულიყო. ერთ-ერთი მხილების წერილი პაპს, **ალექსანდრე VI ბორჯას** ჩაუვარდა ხელში. ეს პიროვნება კი ლორენცო მედიჩის მსგავსი კეთილშობილი მმართველი არ ყოფილა. პაპმა თავისი მომხრე ფლორენციელი ფრანცისკელები წააქეზა და ერთმა მათგანმა, **ჯულიანო რონდინელიმ** სავონაროლას ცეცხლით გამოცდა შესთავაზა.

სავონაროლა თავისი სიმართლის დასამტკიცებლად ანთებულ კოცონში უნდა შესულიყო. მთავარ მოედანზე ცეცხლი დაანთეს. წინამძღვარი ხელში ჯვარცმითა და ნაკურთხი ძღვენით გამოცხადდა. ფრანცისკელებმა ნაკურთხი ძღვენის დადება მოსთხოვეს. სავონაროლამ უარი თქვა. ფრანცისკელები ამტკიცებდნენ, რომ თუ ძღვენი დაიწვებოდა, ქრისტეს სხეული განადგურდებოდა. დომინიკელები პასუხობდნენ, რომ ეს შეუძლებელი იყო. დისკუსიამ რამდენიმე საათს გასტანა. ამასობაში კოცონი ჩაინავლა და შებინდდა კიდეც. სენიორიამ ბრბოს დაშლისკენ მოუწოდა. არშემდგარი სანახაობით გაწბილებული "განრისხებულები" "მტირალებს" დაერივნენ და საშინელი ჩხუბი ატყდა.

სენიორიამ ისარგებლა არეულობით და მოედნიდან რის ვაი ვაგლახით გამოქცეული სავონაროლა თავისი ორი მომხრითურთ დააპატიმრა. ხანგრძლივი დაკითხვების შემდეგ სამივეს ერესი და სქიზმა დააბრალეს და ჩამოხრჩობა მიუსაჯეს. პაპმა ალექსანდრე ბორჯამ განაჩენი დაადასტურა და სამივეს ცოდვები შეუნდო.

1498 წლის 23 მაისს სამივე მსჯავრდადებული სენიორიის მოედანზე ჩამოახრჩვეს, შემდეგ გვამები დაწვეს და ფერფლი მდინარე არნოში გადაყარეს. ფლორენციელები, როგორც იქნა, ელირსნენ ნანატრ სანახაობას.



პაპი ალექსანდრე VI ბორჯა

ნოდარ ლადარია
ლეილა ბეზარაშვილი

www.24hours.ge 24 B

ნომრის პერსონა

# ეს უმძიმესი სკამია...

## ათი წლის მერე ენერგეტიკის მინისტრის გვარი არავის ეცოდინება

*გადაბმულად ოთხ წელიწადს დამოუკიდებელ საქართველოს ენერგეტიკის ერთი და იგივე მინისტრი არ ჰყოლია. გამონაკლისი დავით მირცხულავაა. საბჭოთა ენერგეტიკოსის დღე, 22 დეკემბერი მისთვის არც თუ სასიამოვნოა. რატომღაც, სწორედ ამ დღეს ხდება დიდი და სერიოზული ავარიები. თავად მინისტრი ამბობს, რომ შარშანდელ 22 დეკემბერს, როცა ზამთრის კარგად შესახვედრად თითქოს ყველაფერი მზად იყო და მოულოდნელად მეცხრე და მეათე ენერგობლოკი აფეთქდა, ეგონა, რომ სიცოცხლე დამთავრდა... მაშინ არაფერი დამთავრებულა. დღეს კი სავალუტო ფონდთან ხელისუფლების შეხვედრები იმდენად გასაიდუმლოებულია, რომ აშკარაა, საქართველოს მთავრობა მძიმე მემორანდუმს ელის...*

მაია ჭალაგანიძე

**- თბილისში მყოფი სავალუტო ფონდის წარმომადგენლები საკმაოდ შეშფოთებულნი არიან მათი ორგანიზაციის მოთხოვნების შეუსრულებლობის გამო და პირველ რიგში, ეს ელექტროენერგიის ტარიფის შემცირებას ეხება. ფონდის წარმომადგენლებმა მრავალი შეხვედრა გამართეს ხელისუფლების წარმომადგენლებთან. რას პასუხობს ხელისუფლება?**

- ტარიფი ამ საუბრების უმნიშვნელოვანესი თემაა. მათი ეს რეაქცია მოსალოდნელი იყო. ის, რომ მარეგულირებელმა კომისიამ ტარიფის შემცირების გადაწყვეტილება მიიღო, დონორების მხრიდან შემაშფოთებლად აღიქმება. არ არის საუბარი მხოლოდ ენერგეტიკულ სფეროზე. ისინი საუბრობენ ქვეყნის მიერ გარკვეული ვალდებულებების შესრულების უნარზე. საუბრობენ იმ საინვესტიციო კლიმატზე, რაც ქვეყანაშია. ამ შემთხვევაში, ტარიფი შეიძლება ეკონომიკური მდგრადობის, ინვესტორების მიმართ მდგრადობის და ინტეგრალური ინდიკატორი იყოს. რეაქცია გასაგები და მოსალოდნელი იყო, რადგანაც ტარიფს სწორედ ასეთი წონითი ფუნქცია გააჩნია. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი აღშფოთება და შეშფოთება გამოიწვია იმან, რომ საქართველოს კანონმდებლობით დამოუკიდებელ კომისიად ჩაფიქრებული მარეგულირებელი კომისია ასეთად არ ჩამოყალიბებულა. ეს 1997 წელს მიღებული უდიდესი მნიშვნელობის გადაწყვეტილება გახლდათ. პოსტსაბჭოურ სივრცეში ვერ დამისახელებთ ქვეყანას, რომელსაც ისეთი რეგულატორი ჰყავს, რომელსაც კანონით ჰქონდეს მინიჭებული ამხელა თავისუფლება. ეს ყველა ინვესტორისთვის ქვეყნის მდგრადობას ნიშნავს. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ მარეგულირებელი კომისიის არც ერთი გადაწყვეტილება არ იქნება დამოკიდებული არანაირ პოლიტიკურ ძალაზე ან სამთავრობო სტრუქტურაზე. მარეგულირებლის გამჭვირვალობა ინვესტორისთვის ბევრის მთქმელია. ამ შემთხვევაში კი ყველა დონორი დარწმუნებულია, რომ მარეგულირებელი კომისიის გადაწყვეტილება ტარიფის შესახებ ზეწოლის შედეგი და ხელოვნური შემცირება იყო. ამიტომაც, ქართული ენერგეტიკული სექტორის გარკვეული სეგმენტები - სახელმწიფო ელექტროსისტემა და ენგურჰესი - სასამართლოში ჩივიან. მათ მიაჩნიათ, რომ გადაწყვეტილება მართებული არ იყო. დონორები მიიჩნევენ, რომ მარეგულირებელი კომისია ზუსტად ისეთი უნდა იყოს, როგორიც ის ქართულმა კანონმდებლობამ შეჰქმნა.

**- მაგრამ, სწორედ დონორების მიერ მოწონებულმა მარეგულირებელმა კომისიამ მიიღო ის გადაწყვეტილება, რამაც ასე შეაშფოთა იგივე დონორები.**

- მარეგულირებელი კომისიის ამ გადაწყვეტილებას, რეალურად, აბრალებენ იმას, რომ კანონი, რომლითაც მარეგულირებელი კომისიის დამოუკიდებლობაა გარანტირებული, დაცული არ არის. დონორები ამას უკავშირებენ ქვეყნის მდგრადობას დონორებისა და უცხოელი ინვესტორების მიმართ.

**- კომისიამ გადაწყვეტილება უკვე მიიღო. სავალუტო ფონდის მემორანდუმი, სავარაუდოდ, მძიმე იქნება. როგორ აპირებთ დონორებთან ურთიერთობის გაგრძელებას?**

- როგორც მოგახსენეთ, ტარიფის შემცირების გამო უზენაეს სასამართლოში სარჩელია შეტანილი. ორივე მომჩივანს აბსოლუტურად პრაგმატული მიზეზები აქვს საამისოდ. საერთოდ, არც ერთ ორგანიზაციას არ სურს ტარიფის შემცირება. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ ენგურჰესზე რეაბილიტაციის პროგრამა ხორციელდება, რაც ძალზე მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, რადგან იშვიათია, როდესაც კონფლიქტურ ზონაში მყოფ სადგურზე ასეთი კრედიტია გამოყოფილი. ხელშეკრულება საქართველოს პარლამენტის მიერაა რატიფიცირებული. აქედან გამომდინარე, გარკვეული ვალდებულებები არსებობს და საინვესტიციო კომპონენტი ტარიფშია ასახული. როდესაც ტარიფი მცირდება, ირღვევა ეს ვალდებულებები და იქმნება საშიშროება, რომ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი კრედიტის გამოყოფას შეწყვეტს. „ენგური“ კი თავისი პარამეტრებით მსოფლიოში ყველაზე დიდი თაღოვანი კაშხალია. ეს არის მსოფლიო მასშტაბით ურთულესი ჰიდროსადგური, რომელსაც აუცილებლად სჭირდება რეაბილიტაცია უსაფრთხოების, საიმედოობისა და მომავლისთვის. ანალოგიური სიტუაციაა „ელექტროსისტემასთანაც“. აქ დაგეგმილია გარკვეული ინვესტიციები - მთელს ტერიტორიაზე ავტომატური სისტემების დანერგვა, რაც საქართველოს ენერგოსისტემაში ენერგომმართველობას გააიოლებს. ასე რომ, ორივე სარჩელს მყარი არგუმენტაცია გააჩნია. რეალურად, ზუსტად ელექტროენერგეტიკის ხარჯზე მოხდა ტარიფის შემცირება, რაც სწორი არ არის.

**- ამ სურათს ემატება საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლო, რომლითაც „ეი-ი-ეს თელასი“ იმუქრება. ეს კომპანია ენერგეტიკის სამინისტროს უყენებს ბრალდებებს. თქვენ - პირიქით. ვინ ტყუის?**

- დაველოდოთ. არ მინდა ვუპასუხო ბატონ ირაკლი მელაშვილს. ეს არ არის ბრალდებები. ნუ გავასწრებთ მოვლენებს. საქართველოს მხარე ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ საქმე არბიტრაჟამდე არ მივიდეს.

**- რა არის ეს „ყველაფერი“?**

- ეს არის იმ ვალდებულებების შესრულება, რომელიც საქართველოს მხარეს გააჩნია. ვალდებულებები „ეი-ი-ეს“-საც აქვს და ორივე მხარეს ერთნაირი პრინციპულობა მართებთ ვალდებულებების მოთხოვნისა და შესრულებისას. როცა „ეი-ი-ეს“-ი საქართველოში შემოდიოდა, ვთქვი, რომ მარტივი არ იქნებოდა სტრატეგიულად მნიშვნელოვან ამ პარტნიორთან ურთიერთობა. ეს კამათი ყოველთვის იქნება და ამაში ტრაგედიას ვერ ვხედავ. მით უფრო, როდესაც ქართული ენერგეტიკა გარდამავალ პერიოდშია. ჩვენი ენერგეტიკა დეფიციტური იყო საბჭოთა პერიოდში და მით უფრო დეფიციტურია დამოუკიდებლობის ხანს. უამრავი პრობლემა დააწვა ელექტროენერგეტიკას - გათბობის ტვირთი, რეალური ფასები ენერგოშემცველებზე, ბუნებრივ აირზე, იმპორტის არქონა. ეს ყველაფერი შეწყდა, საქართველოში გაჩერდა ელექტროენერგეტიკის მომხმარებელი უზარმაზარი ქარხნები და ა.შ. მარტო მოვლა-პატრონობისთვის წინა საუკუნის 70-იან წლებში, 400 მილიონი დოლარის ექვივალენტი იხარჯებოდა...

**- მუდმივად არის საუბარი ენერგეტიკაში დახარჯულ კრედიტებსა და დახმარებაზე. იქნებ თქვენ დაასახელოთ ზუსტი ციფრი?**

- კრედიტის სახით დახარჯულია 130 მილიონ დოლარამდე. მთლიანად, მომავალი სარეაბილიტაციო პროგრამების ჩათვლით, საკრედიტო რესურსი 254 მილიონი დოლარია. ამას გარდა, იყო სხვადასხვა გრანტები, რამაც ჯამში 300 მილიონი დოლარი შეადგინა. ასე რომ, ამ უზარმაზარ თანხაზე გაცილებით მეტი იმ წლებში მოვლა-პატრონობაზე იხარჯებოდა. ახლა კი ხელში შეგვრჩა დაძველებული დარგი, მოძველებული მოწყობილობები, რომელთაც საკუთარი რესურსები ამოწურეს...



დავით მირცხულავა

**- ამ თანხების ხარჯვის შედეგს თქვენ რეალურად ხედავთ?**

- 10 წლის განმავლობაში 130 მილიონი - ზღვაში წვეთია. ამ თანხების 90 პროცენტი მეცხრე, მეათე ბლოკს მოხმარდა.

**- რომელსაც „ეი-ი-ეს“-ის შემოსვლისას სახურავიც კი არ ჰქონდა...**

- 1998 წლის 22 დეკემბერს მოხდა ხანძარი და ამ ხანძრის დროს სამანქანო განყოფილების სახურავი დაზიანდა. მაგრამ, ეს ინვესტიცია სახურავზე კი არა, ქიმიურ ქარხანაზე იყო დახარჯული (რითიც მშვენივრად სარგებლობს კომპანია „ეი-ი-ეს“-ი). გარდა ამისა, ინვესტიცია დაიხარჯა მართვის სისტემაზე და გარკვეულ თბომექანიკურ მოწყობილობებზე, რაც „ეი-ი-ეს მტკვარს“ გამართული დახვდა. თუმცა, დანარჩენი მოწყობილობა რეაბილიტირებული არ იყო. ინვესტიცია ნამდვილად დაიხარჯა უძველეს სადგურ „რიონჰესზე“, დაიხარჯა ელექტროგადაცემის ქსელზე და ა.შ. ასე რომ, ამ თანხის 90 პროცენტი ათვისებულია.

**- რაც ჩამოთვალეთ, ძალზე სასიამოვნოა, მაგრამ ჩვენ მაინც მუდმივ ავარიებსა და კრიზისში გვიხდება ცხოვრება.**

- მინდა გავიმეორო. ჩვენ თუ იმედი გვქონდა, რომ 130 მილიონი დოლარის დახარჯვა დეფიციტურ ქვეყანას კრიზისიდან გამოიყვანდა, ძალიან ვცდებით, რადგან საქართველოს მხოლოდ ელექტროენერგეტიკის კრიზისიდან სრულად გამოყვანას და მის ნორმალურ ფუნქციონირებას 2 მილიარდი დოლარი სჭირდება. ეს არის ქართველი, მეზობელი ქვეყნებისა და უცხოელი ექსპერტების დასკვნა.

გარდა ამისა, 80-იან წლებში თბილისს გათბობისა და ცხელი წყლის პრობლემა არ ჰქონდა. თბილისი გაზიფიცირებული იყო, 580 მეგავატი მხოლოდ თბურ ენერგიად ჰქონდა. სიმძლავრის მოხმარება 250-300 მეგავატი იყო. დღეს არის ნული. მთელი ტვირთი ელექტროენერგეტიკას დააწვა.

საქართველოში ხუდონჰესის მშენებლობის შეჩერების შემდეგ არც დიდი და არც მცირე სიმძლავრის ჰესი არ აშენებულა. ჩვენ დეფიციტურ ქვეყნად ვრჩებით.

**- თქვენ კარგად გაქვთ დათვლილი თანხა, რაც ენერგეტიკის გამართვას სჭირდება. რა დრო სჭირდება დარგის აღდგენას 10-წლიანი კრიზისის შემდეგ?**

- მინდა ობიექტურნი ვიყოთ. გაიხსენეთ სამი წლის წინანდელი მდგომარეობა. თბილისის მოსახლეობის მხოლოდ 3 პროცენტს ჰქონდა 24 საათიანი ელექტრომომარაგება. შარშან - 78 პროცენტს, წელს ოდნავ ნაკლები პროცენტი შეიძლება გამოვიდეს. მაგრამ ეს წინსვლა მმართველობისა და რეჟიმული ნაწილის მენეჯმენტის გაუმჯობესების შედეგია. ბუნებრივია, დიდი დამსახურება აქვს „ეი-ი-ეს“-ს... შარშან უზარმაზარი ავარია მოხდა და ეს ქალაქს, პრაქტიკულად, არ გაუგია. საქართველო იმ დეფიციტურ ენერგეტიკას, რომელიც ჰქონდა, 100 წლის განმავლობაში აშენებდა.

**- თქვენ პროფესიონალი ხართ და კარგად დასვამთ დიაგნოზს. რითია დაავადებული ჩვენი ენერგეტიკა?**

- ეს არის დეფიციტური ქვეყანა. ენერგეტიკის განვითარება ეკონომიკისა და მრეწველობის განვითარებას უნდა უსწრებდეს. ჩვენ ვუსწრებთ, მაგრამ მომავალი საქართველოსთვის ეს საკმარისი არ არის.

**- რა არის „ეი-ი-ეს თელასსა“ და სახელმწიფოს შორის დადებულ ხელშეკრულებაში „კაბალური“, რომელზეც ამდენს საუბრობენ?**

- არ ვარ მძიმე განმარტებების მომხრე. შესაძლოა, დღევანდელი გადასახედიდან ვთქვათ, რომ მართლაც სხვაგვარი პუნქტები უნდა ჩადებულიყო იმ ხელშეკრულებაში. დაკონკრეტებას არ დავიწყებ, რადგან, ამისთვის თქვენი გაზეთის ერთი ნომერი არ იქნება საკმარისი, მაგრამ არ ვარ ბოლო ინსტანციის ჭეშმარიტება. ერთი რამ მინდა ვთქვა - მსოფლიოში არ არსებობს უნაკლო ხელშეკრულება. ეს იყო საქართველოს მთავრობის მიერ დადებული პირველი ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულების დადებისას ქართველ იურისტებს ოპონენტებად ჰყავდათ მსოფლიოში ცნობილი იურიდიული კომპანიები. ქონების მართვის სამინისტროსთვისაც პირველი ხელშეკრულება იყო და მისი ოპონენტი გახლდათ კომპანია, რომლის ბიუჯეტი და წლიური ბრუნვა ბევრად აღემატებოდა საქართველოს ბიუჯეტს. მართალია, ჩვენ კონსულტანტები გვყავდა, მაგრამ გამოცდილება ბევრს ნიშნავს. ქართულ მხარეს ხელშეკრულებაში შეგნებული შეცდომა არ დაუშვია.

**- გადამცემი ხაზის, „კავკასიონის“ ხელოვნური დაზიანება წელს უკვე მესამედ ხდება. რა მოვლენაა ეს - კრიმინალური, ენერგეტიკული, სოციალური თუ, უბრალოდ, ქართულ-ხალხური?**

- მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მიდიოდა დიდი ომები, რისგანაც საქართველო ღმერთმა დაიფაროს - ავღანეთი, ტაჯიკეთი თუ სხვა. არსად არც ერთ მხარეს არ დაუზიანებია გადამცემი ხაზები. ეს ქართული წარმოშობის პრობლემაა. საქართველოში დატაცება ხშირად მომხდარა. უამრავ რეგიონში ალუმინი აღარ არსებობს და მხოლოდ ფოლადის მავთულია დატოვებული. ამიტომაცაა უზარმაზარი დანაკარგები. მთელი საქართველოს ტერიტორიაზე ამ ხაზების დაცვა წარმოუდგენელია. ეჭვი არ მეპარება, რომ მოსახლეობა შეგნებით მოეკიდება ამ პრობლემას.

**- არ გისაუბრიათ დამზიანებლებთან?**

- არ მინდა ამ საუბრების დაკონკრეტება, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ეს პრობლემა მოგვარდება და საკუთარი ქვეყნის ძირითად გადამცემ ხაზებს აღარავინ დააზიანებს.

**- რეგიონები ჩაბნელებულია. ყველაზე მეტად გუშინდელ მთავრობის სხდომაზე იმერეთის გუბერნატორი ხმაურობდა...**

- მინდა ყველა ადგილობრივ ხელმძღვანელს ვუთხრა: ელექტროენერგიას არ აქვს სუბსიდირების საშუალება. როცა გადახდა დაბალია, იქ ელექტროენერგია არ უნდა იყოს. შეგიძლიათ ნახოთ ყველა რეგიონის გადახდა. როცა „თელასი“ თიშავს თბილისის რაიონებს, ამის საწინააღმდეგო არგუმენტი არ მაქვს. ძნელად წარმოსადგენია, შეხვიდეთ მაღაზიაში და პროდუქტი უფასოდ მოითხოვოთ. ეს ენერგია ხომ მეზობელი ქვეყნებიდან დიდი თანხების საფასურად მოდის. თუ არ იხდი, დენიც არ იქნება. ჩვენმა სახელმწიფომ უნდა მოინდომოს და ის ამას გააკეთებს. ეს ქვეყნის პრინციპული ნების გამოხატვის საკითხია.

**- სახელმწიფო მინისტრის ხშირი საყვედურების ობიექტი ხართ, თუმცა მანვე აღნიშნა, რომ მთავრობაში მსგავსი პროფესიონალი მინისტრი არ ჰყავს. თავის მართლება გიწევთ თუ ობიექტურ მიზეზებს ასახელებთ?**

- ეს სამუშაო პროცესია და მე თავის მართლება კი არა, საკუთარი პოზიციების დაცვა მიწევს.

**- უსამართლობის მსხვერპლი არ გამხდარხართ?**

- მსხვერპლი ნამდვილად არ გავმხდარვარ. ყოველთვის მეგონა, რომ თუ გსაყვედურობენ და შენიშვნას გაძლევენ, ის ხალხი დარწმუნებულია, რომ საკითხის გადაწყვეტა შეგიძლია. მთელს მასმედიას გაუკვირდა, როცა მთავრობის ერთ-ერთ სხდომაზე პრეზიდენტმა „კავკასიონის“ დაზიანების გამო მისაყვედურა. რეალურად პრეზიდენტმა იცოდა, რომ იმ მომენტში ენერგეტიკის სამინისტროს შეეძლო არაორდინარული გადაწყვეტილების მიღება...

**- იყო ასეთი გადაწყვეტილება?**

- დიახ. გარკვეულ რეგიონებში ისეთი გადაწყვეტილებები იქნა მიღებული, რომ კოდორის ხეობაში დაზიანებები აღარ ხდება. ახლა სხვა რეგიონშია პრობლემები... ასეა. სულ ვამბობ, რომ 10 წლის მერე ენერგეტიკის მინისტრის გვარი არავის ეცოდინება. გაცილებით კარგია ბელგიის ენერგეტიკის მინისტრობა. საღამოს სახლში მიდის. სულ მიკვირს, როცა მეზობელი ქვეყნის მინისტრი ღამის 11 საათზე უკვე აღარ არის კაბინეტში. ეს მათი დამსახურებაც არის და სახელმწიფოს ნებაც.

საქართველოში მხოლოდ უკანასკნელ 30 წელიწადში შეიქმნა მსხვილი ენერგეტიკული ობიექტები. რეალურად, სწორედ 70-იან წლებში იდგმებოდა პირველი ნაბიჯები იმისთვის, რომ ენერგეტიკულად დამოუკიდებელი ქვეყანა გვქონოდა. ეს ამოცანები დღეს ისევ გადასაწყვეტია.

**- სწორედ ამ პირველ ნაბიჯებს მოუსწრო არეულობამ და კორუფციამ.**

- არ გამოვრიცხავ და არც შეიძლება, რომ ეს დარგი არ იყოს მოცული კორუფციით. მაგრამ, ამ ქალაქში, ამ ქვეყანაში ყველა ერთმანეთს იცნობს და მშვენივრად იციან, ვინ რას წარმოადგენს და რითი ცხოვრობს. ხშირად მესმის, რომ ენერგეტიკა კორუმპირებული დარგია... არ შეიძლება დარგი იყოს კორუმპირებული. კორუფციას ეკონომიკური ბერკეტებით და სისტემების ცვლილებებით უნდა ებრძოლო. დღეს, ჩვენს დარგში ძალიან მიჭირს დავასახელო სექტორი, რომელშიც არ იყოს უცხოური მენეჯმენტი. აქ არის იმის ნება, რომ მინიმუმამდე დავიდეს კორუფციის დონე. ალბათ, თქვენს დარგშიც არიან კორუმპირებულნი...

**- თქვენ, პირადად - ენერგეტიკის მინისტრი, შეხებიხართ ენერგომაფიას?**

- იტალიაში ვმუშაობდი და ვიცი, რაც არის მაფია. რასაც ენერგომაფიას უწოდებენ, არ იყო მაფია კლასიკური გაგებით და თუ ქართულ გაგებას ვიგულისხმებთ, შეიძლება, იყოს კიდეც. ენერგეტიკაში უამრავი წესიერი ადამიანი მუშაობს. როცა ქართული ჯარი აფხაზეთს ტოვებდა, გიორგი მიქავა იყო ის დირექტორი, რომელმაც განაცხადა, რომ ბრძანება არ მიუღია თბილისიდან და „ენგური“ არ დატოვა... რაც ენერგეტიკოსებმა გააკეთეს, ბევრი დარგი ვერ დაიკვეხნის. დამისახელებთ დარგს, სადაც კორუფცია არ იყოს? რა თქმა უნდა, ამით დამშვიდება არ შეიძლება... ასეთი გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ეს საერთო საკაცობრიო სენია. მიმაჩნია, რომ გამოსავალი გამჭვირვალე სისტემის შექმნაა.

**- ძალზე რთულია დღეს, იყო მინისტრი...**

- განსაკუთრებით, ენერგეტიკის მინისტრი...

**- მით უფრო, ალბათ, გქონიათ სურვილი, ყველაფრისთვის თავი დაგენებებინათ და გადამდგარიყავით...**

- რა თქმა უნდა, მქონია. ადამიანებს უნდათ ელექტროენერგია და არც აინტერესებთ, კონკრეტულად რა პრობლემები დგას ენერგეტიკის წინაშე. ვერ წარმოედგინათ, რომ მოუშვებდნენ ონკანს და ცხელი წყალი არ წამოვიდოდა... ეს დამოუკიდებლობის ფასია. უზარმაზარი გადაწყვეტილება მიიღეს ამ თაობის ქართველებმა. ეს გასავლელი გზაა. საუბედუროდ, ხშირად ვერ ვუხსნი ადამიანებს, რომ გამართულ ენერგეტიკას ბევრი ფული და დრო სჭირდება... ნამდვილად მქონია ისეთი მომენტები, რომ გადადგომა მიფიქრია, მაგრამ... არც მაგის პრობლემა მაქვს. ეს უმძიმესი სკამია.











# მხცოვანი ფოტოგრაფი ქარვასლაში


*დავით იაკობაშვილი*

ნინო ჭანიშვილი

"კომუნისტების დროს, რა თქმა უნდა, ცენზურა იყო – გთხოვდნენ, გადაგეღო მუშა, თანაც – გაცინებული. დაზგასთან მომუშავე საწყალ კაცს უნდა გამოეხედა და გაეცინა, იმიტომ, რომ ჩვენ ქვეყანაში ყველა გახარებული და მხიარულია, მოწყენილი არავინ არის. და ეს ოფლში გაღვრილი მუშაც, რომელსაც საერთოდ არ ეცინებოდა, თხოვნას ასრულებდა," – გვიამბობს 80 წელს მიტანებული პროფესიონალი ფოტოგრაფი, **დავით იაკობაშვილი**, რომლის ნამუშევრების გამოფენა გუშინ ქარვასლაში გაიხსნა.

დავით იაკობაშვილმა მოსკოვში დაამთავრა ფოტორეპორტაჟის ფაკულტეტი და 1953 წლიდან თანამშრომლობს გაზეთებთთან - "ნორჩი ლენინელი", "სახალხო განათლება", "კომუნისტი", "უწყება". ბოლო წლების მანძილზე "დილის გაზეთში" მუშაობდა, ამჟამად კი - გაზეთ "აქცენტში". გუშინდელ გამოფენაზე ჟანრობრივად განსხვავებული ნამუშევრები გამოიფინა: მხატვრული ფოტო, რეპორტაჟი, პორტრეტი. როგორც თავად ფოტოგრაფმა თქვა, - რაც ხელთ წამომყვა, ის გამოვფინეო. ფოტოგრაფმა გოგა ჩანადირმა კი გვითხრა, რომ ბატონ დავითს საქართველოს ისტორიის 50-წლიანი მატიანე აქვს დაფიქსირებული, რომელიც მის არქივში ინახება.

გამოფენას, წიბახაშვილისა და მეჩითოვის ჩათვლით, თბილისური ფოტოგრაფიის მთელი კოჰორტა ესწრებოდა და ბოლოს ყველამ ერთად გადაიღო სამახსოვრო ფოტო. ბატონი დავითის კოლეგები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ მას დიდი წვლილი მიუძღვის ქართული მხატვრული ფოტოს განვითარების და პოპულარიზაციის საქმეში.

ბატონი დავითი დღემდე "ზენიტით" იღებს, ციფრულ ფოტოაპარატზე გადასვლას არ აპირებს, თანამედროვე ფოტოგრაფიაზე კი ეს გვითხრა, - "დღეს დიდი თავისუფლებაა, არანაირი შეზღუდვა არ არსებობს, თანაც ძალიან მიხარია, რომ ამ საქმეს გოგოებმაც მოჰკიდეს ხელი".

უხლოეს მომავალში ქარვასლა გვთავაზობს ციფრული ფოტონამუშევრების გამოფენას. პარალელურად, ვატო წერეთლის ფოტოსტუდია და შვეიცარიიდან და ჰოლანდიიდან ჩამოსული ფოტოგრაფები ერთკვირიან ვორქშოფებს ჩაატარებენ.

## ფრანგული კინო თბილისში

27 თებერვლიდან 6 მარტამდე კინოს სახლი ფრანგული კინოს ონავრად ცნობილი რეჟისორის, ჟან პოლ რაპნოს ფილმების რეტროსპექტივას უმასპინძლებს. რაპნოს ელეგანტურ კომედიებში ცნობილ ფრანგ ვარსკვლავებს: კატრინ დენევს, ჟან-პოლ ბელმონდოს, ივ მონტანს, იზაბელ აჯანის, ჯულიეტ ბინოშსა და ჟერარ დეპარდიეს იხილავთ. წარმოდგენილი იქნება რეჟისორის ექვსი ფილმი: "სასახლის კარის ცხოვრება", "მეორე წელს დაქორწინებულნი", "ველური", "განრისხებულნი", "სირანო დე ბერჟერაკი".

ქართველ ფრანკოფილებს საშუალება ეძლევათ, ფრანგულენოვან სეანსებს დაესწრონ. ჟან-პოლ რაპნოს ფილმების რეტროსპექტივის ორგანიზატორია საფრანგეთის საელჩო საქართველოში და ალექსანდრ დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრი.

*"24 საათი"*

## თანამედროვე ქართული მინანქარი ტოკიოში

მარტში ტოკიოში გაიხსნება მინანქრის სამკაულის მე-16 საერთაშორისო კონკურსში გამარჯვებულთა გამოფენა. კონკურსზე საბოლოოდ ჩვიდმეტი ქვეყნიდან წარდგენილი 250 ნამუშევარი შეირჩა. ამ საერთაშორისო ექსპოზიციას სამი ქართველი ავტორის: ია გიგოშვილის, ნატა გეგენავასა და ლევან კეცხოველის ნამუშევრები დაამშვენებს. კონკურსის წამახალისებელი პრიზებით კი დათო ჩხეიძე, ნინო ბურკაძე და ნანა გიგოლაშვილი დაჯილდოვდნენ.

ამ ავტორიტეტულ კონკურსზე თანამედროვე ქართული ტიხრული მინანქარი გალერეა "შარდენის" მიერ დაფუძნებულმა მინანქრის კლუბმა, "შარდენი 15"-მა წარადგინა. ტოკიოს გამოფენას კატალოგსაც დაურთავენ.

*"24 საათი"*

## კალენდარი

## 27 თებერვალი



ელიზაბეტ ტეილორი 1932 წელს ლონდონში დაიბადა. ომის წინ მისი ოჯახი ამერიკაში გადავიდა საცხოვრებლად და იქ პატარა გოგოს კუპრივით შავმა თმამ და იისფერმა თვალებმა უმალვე მიიპყრო კინოპროდიუსერების ყურადღება. მასთან მრავალწლიან კონტრაქტს მოაწერეს ხელი. ელიზაბეტი ჯერ ბავშვების როლებს ასრულებდა, შემდეგ კი რომანტიულ გოგონებზე გადავიდა.

მიუხედავად იმისა, რომ პროფესიული განათლება არ ჰქონია, ლიზი თავის სილამაზითა და პლასტიკით ყველას ხიბლავდა. პირველი წარმატება ჯორჯ სტივენსის მიერ 1951 წელს გადაღებული დრაიზერის "ამერიკული ტრაგედიის" კინოვერსია იყო – "ადგილი მზის ქვეშ".

მაგრამ ძირითადად საზოგადოებას მაინც მისი პირადი ცხოვრება აინტერესებდა: მრავალი ქირურგიული ოპერაცია, ალკოჰოლიზმი, უამრავი ქორწინება და სასიყვარულო თავგადასავალი – ლიზი რვაჯერ იყო გათხოვილი. თუმცა, თავად მსახიობის თქმით, შემოქმედებითი პოტენციალისთვის განცდები და ტრაგედიები მხოლოდ სასარგებლოა.

პირველი ოსკარი ტეილორმა 1960 წელს მიიღო, ფილმისთვის "ბატრეფილდი, 8", მეორე – 1966 წელს: ედუარდ ოლბის პიესის ეკრანიზაციაში "ვის ეშინია ვირჯინია ვულფის?" მან მართას როლი ითამაშა.

რიჩარდ ბარტონთან, თავის ორგზის მეუღლესთან ერთად, ელიზაბეტ ტეილორს მრავალ ფილმში აქვს მონაწილეობა მიღებული, მათ შორის ყველაზე პოპულარულია "კლეოპატრა".

ტეილორი მარტოსული და კარჩაკეტილი არასოდეს ყოფილა. მას პოლიტიკური მოღვაწეობის გამოცდილებაც კი აქვს – ერთი ხანა სენატორ ჯეკ უორენის მეუღლე იყო. უკანასკნელი წლების განმავლობაში კი უკვე ხანშიშესული კინოვარსკვლავი შიდსთან მებრძოლთა რიგებში ჩადგა.

ამერიკელი მსახიობი, **ელიზაბეტ ტეილორი**, დაიბადა 1932 წლის 27 თებერვალს.

# მისია შესრულებულია

Soft Eject-მა ინგლისში წარმატებით გამოიზამთრა

ვერა ნეფარიძე

მენეჯერის კონტრაქტი, ფესტივალებზე მიწვევები, ტურნე გაერთიანებულ სამეფოში და ბრიტანეთის მუსიკალურ ბაზარზე გასვლის რეალური პერსპექტივა – ასეთი "ნადავლით" დაბრუნდნენ "სოფთები" ინგლისის, თითქმის, ერთთვიანი ტურნედან. მიზანი, რომელიც მუსიკოსებმა ინგლისში მესამე გასვლისას დაისახეს, ასი პროცენტით ასრულდა.

"ეს ტურნე, ძირითადად, იმისთვის დაიგეგმა, რომ მისი საშუალებით ინგლისში Soft Eject-ის სამომავლო არსებობა გარკვეულიყო და ასეც მოხდა", - ამბობს ვახო ბაბუნაშვილი, რომელმაც პირობა შეასრულა და ბრიტანული შთაბეჭდილებების გასაზიარებლად "24 საათის" რედაქციაში მოსვლა არ დაიზარა. მოსაყოლი კი, როგორც აღმოჩნდა, მუსიკოსს არც ისე ცოტა ჰქონდა.

საკმაოდ შრომატევადმა ტურნემ მართლაც გაამართლა. ქართველმა მუსიკოსებმა 25 დღეში ინგლისის სხვადასხვა ქალაქში თვრამეტი კონცერტი გამართეს; "სოფთებმა" ეს ტურნე 70-იანი წლების მუსიკოსების სულისკვეთებით შემოიარეს. "ფიზიკურად საკმაოდ ძნელი იყო, რადგანაც გზაში ბევრი დრო გვეხარჯებოდა. გვყავდა მიკროავტობუსი, ჩავყრიდით ინსტრუმენტებს და მივდიოდით აბსოლუტურად უცხო გარემოში, სადაც ნულიდან ვიწყებდით ყველაფერს; წარმოიდგინე, არ გიცნობენ და შენი მიზანია, ისე დაუკრა, იმ საღამოს ხომ უნდა გააგიჟო მსმენელი, მეორე დღესაც უნდა დაგანიშნინონ კონცერტი და კიდევ უნდოდეთ მოსმენა", - ტურნეს სირთულეებს მაცნობს ვახო ბაბუნაშვილი. ჩანს, ეს მიზანიც წარმატებით აასრულეს "სოფთებმა", რადგანაც სწორედ ამ კონცერტების შემდეგ დაინტერესდა ქართული ჯგუფით იქაური მენეჯერი რეი ლისონი, რომელმაც უკვე დაიწყო Soft Eject-ის საზაფხული კონცერტებისა და ტურნეების დაგეგმვა.

ინგლისში მორიგი ტურნეს განრიგი, დაახლოებით, მაისის შუა რიცხვებში ეცოდინებათ ქართველ მუსიკოსებს. ისე კი გარკვეულია, რომ Soft Eject ნამდვილად მიიღებს მონაწილეობას ზაფხულში გლოსოპსა და ბუქსტონში დაგეგმილ ყოველწლიურ, მუსიკალურ წრეებში საკმაოდ ცნობილ ფესტივალებზე. "სოფთები" ამ ღონისძიებებზე გამგზავრებას ივლისისთვის ვარაუდობენ. "ეს ის პერიოდია, როდესაც ბევრი და დიდი ღონისძიებებია დაგეგმილი ბრიტანეთში. შესაძლოა, პიტერ გებრიელის ფესტივალზეც მოვხვდეთ; ასევე ძალიან გვინდა, გამოვიდეთ ფესტივალებზე ირლანდიასა და შოტლანდიაში. გვინდა, მაქსიმალურად ბევრ ფესტივალში მივიღოთ მონაწილეობა. ფესტივალზე გამოსვლა შეჯიბრი ხომ არ არის – ეს, პირველ რიგში, ურთიერთობაა მუსიკოსებს შორის. ჩვენთვის ასევე მნიშვნელოვანია ჩვენს მსმენელთან შეხვედრა, ფესტივალებზე ხომ შემთხვევითი მსმენელი გამორიცხულია. მოდის ის კატეგორია, ვისაც ის მუსიკა აინტერესებს, რასაც შენ სთავაზობ. ამ ღონისძიებებზე იკრიბებიან ხმის ჩამწერი ფირმების წარმომადგენლები, პროდიუსერები, რაც მნიშვნელოვანია საქმიანი ურთიერთობების თვალსაზრისითაც", - ამბობს "სოფთების" ლიდერი.


*Soft Eject*

საკონცერტო მიწვევების გარდა, ქართული ჯგუფისთვის არანაკლებ (და, შესაძლოა, უფრო მეტადაც) მნიშვნელოვანია შეთავაზება ინგლისში დისკის გამოშვებასთან დაკავშირებით. ასეთი წინადადება ჯგუფმა ლივერპულში არსებული ხმის ჩამწერი ფირმა "როტო დისკისგან" მიიღო. ხელმძღვანელისა და "სოფთების" ერთობლივი გადაწყვეტილებით, ამ ფირმის ნიშნით ალბომს - "ცხრა მთას იქით", ინგლისში რამდენიმე თვეში გამოუშვებენ. ეს კი "სოფთებისთვის" იქაურ მუსიკალურ ბაზარზე გზის გახსნის ტოლფასია. მანამდე ალბომი თბილისში უნდა გამოვიდეს. მუსიკოსები იმედოვნებენ, რომ ამ დღეებში ისინი იოლად მოაგვარებენ საორგანიზაციო საკითხებს და მომავალ კვირას თბილისელებს "ცხრა მთას იქით"-ს წარუდგენენ. მათივე გეგმებით, ჯგუფმა დისკის "პრომოუშენისთვის" თბილისში რამდენიმე საკლუბო კონცერტი უნდა გამართოს.

ამის შემდეგ Soft Eject მუშაობას დაიწყებს საკონცერტო პროგრამაზე, რომელიც, დაახლოებით, ერთი საათით უნდა გაზარდოს. პარალელურად კი მოემზადება თბილისში ბრიტანული მუსიკის ფესტივალისთვის. ამაზე მუშაობა ვახო ბაბუნაშვილს არც ინგლისში ყოფნისას შეუწყვეტია. მესამე ბრიტანული ტურნეს დროს ბაბუნაშვილმა დამატებით კიდევ ორი ინგლისური ჯგუფის ჩამოყვანა გადაწყვიტა. მისი თქმით, ოთხივე ჯგუფი (რომლებიც სხვადასხვა მუსიკალურ სტილში მუშაობენ და ეს მიმართულებებია: ეისიდ-ჯაზი, ინდი-როკი, ფსიქოდელიური პოპ-როკი და ჯაზი) მანჩესტერსა და ლივერპულში წამყვანი მუსიკალური კოლექტივები არიან. ჩვენი მსმენელი ნამდვილად იცნობს ორი მათგანის შემოქმედებას. ესენი არიან - "სიმფლი რედისა" და "ტექსასის" ყოფილი მუსიკოსები. ბაბუნაშვილის ნაამბობიდან მე, პირადად, "უბერმანმა" დამაინტერესა. ჯგუფი, რომელიც ლივერპულში, თურმე, ყველაზე ავტორიტეტული ყოფილა. რაც მთავარია, ყველა მოწვეული თანახმაა თბილისში მინიმალური ანაზღაურების სანაცვლოდ ჩამოვიდეს. "გავოცდი, იმდენად დიდი იყო მათი მხრიდან ჩვენთან ჩამოსვლის სურვილი. რამდენიმე აქაური მუსიკოსის ჩანაწერი მოვასმენინე, რამაც ისინი დიდად დააინტერესა და ინტრიგაზეც კი წავიდნენ - რომ გაიგეს, ხარჯები ორი ჯგუფისთვის მქონდა გათვლილი, ერთ-ერთმა ჩუმად მითხრა, - ჩვენი წაყვანა არ გირჩევნიაო?", - იხსენებს ვახო ბაბუნაშვილი.

მოკლედ, ასეთი შედეგებით დასრულდა Soft Eject-ის მესამე ტურნე ინგლისში. თუმცა, იყო "სხვაგვარი წარმატებებიც". მაგალითად, ის, რომ სელფორდის უნივერსიტეტთან არსებული მუსიკალური კოლეჯის ერთ-ერთმა სტუდენტმა სადიპლომო ნაშრომი Soft Eject-ის მუსიკაზე დაიცვა; "სოფთები" ერთ-ერთი მუსიკალური საზოგადოების წევრებად აირჩიეს, ხოლო ლივერპულში გამართული კონცერტი ადგილობრივმა გაზეთმა - კვირის საუკეთესო საკონცერტო გამოსვლად აღიარა. ამ ყველაფერს "სოფთების" ლიდერი ღიმილის გარეშე ვერ გვიამბობდა.

# "რასაც ახლა ვაკეთებთ, ნამდვილი მანიაკობაა"

"თავისუფალ თეატრში" პრემიერა მზადდება

ნანა ბასილაშვილი

უკვე წელიწადზე მეტი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც რეჟისორმა დათო დოიაშვილმა თავისი გახმაურებული სპექტაკლის, "ჯინსების თაობა (დაგვიანებული რექვიემი)", პრემიერა წარმოადგინა. ბოლო დროს ქართველი რეჟისორი უცხოეთში უფრო მეტად მოღვაწეობდა - ქართული კულტურის დღეები ავსტრიაში, ვორქშოპები, ოპერა "ლუჩია დი ლამერმური" მარინის თეატრში და ა.შ. ახლახან მან კვლავ ქართველი თეატრალებისათვის დაიწყო მუშაობა და კვლავ "თავისუფალ თეატრში" გადაწყვიტა სპექტაკლის დადგმა. სულ მალე ამ თეატრში პრემიერა გაიმართება - რეჟისორი დგამს ლუიჯი პირანდელოს "ჰენრი IV"-ს.

საღამოსთვის "ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს" დეკორაციებს ამზადებენ, - მანამდე რაღაცას მოვასწრებთო, - რეპეტიციის დაწყებას ჩქარობდნენ მსახიობები. "რასაც ახლა ჩვენ ვაკეთებთ, ნამდვილი "მანიაკობაა". საბედნიეროდ, არსებობენ ადამიანები, რომლებსაც კიდევ შერჩათ ნერვები და უნარი, რომ რაიმე აკეთონ და თანაც - უანგაროდ. ძალიან ვაფასებ მათ, რადგან, მხოლოდ ენთუზიაზმის გამო, შეუძლიათ მოვიდნენ რეპეტიციაზე, გამოიცვალონ, ივარჯიშონ და ა.შ.",- ამბობს რეჟისორი. დათო დოიაშვილი ლუიჯი პირანდელოს პიესაზე მსახიობთა დასთან, უკვე ათი დღეა, მუშაობს. რეპეტიციები, სავარუდოდ, კიდევ ორ თვეს გასტანს.


*ჰენრი IV-ის რეპეტიციაზე*

რატომ, მაინც და მაინც, "ჰენრი IV"? დოიაშვილმა ეს პიესა დღევანდელობისთვის აქტუალურად მიიჩნია. "ჩვენმა ქაოსურმა საზოგადოებამ, რომელიც ჯერ კიდევ ვერ ჩამოყალიბდა, უცნაური თამაშის წესები შემოიღო. გინდა თუ არა, რატომღაც ვალდებული ხარ, ჩაება რომელიმე თამაშში, ვიღაცას მიემხრო და მისი აქტიური მხარდამჭერი გახდე. დღევანდელმა ყოფამ რატომღაც მოიტანა იმის აუცილებლობა, რომ საზოგადოებაში გარკვეული ნიღაბი მოძებნო, მოირგო იგი და შემდეგ ამ ნიღბით ითამაშო, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ გადარჩე. ეს არის ყველაზე ცუდი, რასაც დღეს ვამჩნევ. ყველა ის ადამიანი, ვინც ძალიან მიყვარდა და პატივს ვცემდი, უცებ, ნაწილობრივ მაინც, ნიღბოსანი გახდა. შესაძლოა, ვიღაცის აზრით, მეც ზუსტად ასეთი ნიღაბი მაქვს აფარებული და მათ რიცხვს მივეკუთვნები. იქნებ თავადაც რაღაცნაირად ამ ქაოსსა და ორომტრიალში ვარ ჩართული. ეს, ცოტა არ იყოს, მძიმე თემაა. "ჰენრი IV"-ში სწორედ ამ პრობლემას ვაწყდებით - თუ როგორ ვაიძულებთ ერთმანეთს გარკვეული როლების მორგებას და შემდეგ მათგან ამ როლების თამაშს მოვითხოვთ.

დათო დოიაშვილმა თავის სპექტაკლში სხვადასხვა თაობის მსახიობები შეკრიბა სხვადასხვა თეატრებიდან. რეჟისორის თქმით, ასეთი ექსპერიმენტები ახალი ძიების საშუალებას იძლევა. თუმცა, მისივე თქმით, ეს ხან ამართლებს, ხანაც საშინელი კატასტროფით მთავრდება. ისე კი, "თავისუფალი თეატრი" ანუ თეატრი, სადაც ამ სპექტაკლის დადგმა გადწყდა, ექსპერიმენტებს ხშირად გვთავაზობს. .

რასაკვირველია, რეჟისორი უკვე ზრუნავს სპექტაკლის მუსიკალურ და მხატვრულ გაფორმებაზე. მწირი ეკონომიური შესაძლებლობის მიუხედავად, ამჟამად სპექტაკლისთვის დეკორაციის მაკეტი იქმნება. "საქართველოში ხომ ყველა თეატრში მთელი დეკორაცია ერთი თოკით კეთდება. ახლა ვეძებ ვინმეს ძველ დეკორაციას, რომ იქიდან თოკი წამოვიღო და ხელახლა გავაკეთო. სპექტაკლისთვის საჭირო თანხებს ჩვენც მოვიძიებთ და ავთო ვარსიმაშვილიც გვპირდება დახმარებას". მუსიკალური გაფორმება დოიაშვილმა თავის მეგობარს, ნიკა მემანიშვილს მიანდო.

დათო დოიაშვილს სამომავლოდ ძალიან დიდი გეგმა აქვს. რეჟისორი, ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობის მიხედვით, მიუზიკლის დადგმას აპირებს. "შელოცვა რადიოთი" - ეს იქნება ძალიან დიდი მიუზიკლი. მსგავსი ჯერ არაფერი გამიკეთებია." რეპეტიციები ზაფხულში დაიწყება. მიუზიკლის პრემიერა, რომელისთვის საჭირო თანხის მოძიებას, თითქმის, ორი წელიწადი დასჭირდა, დაახლოებით, ოქტომბრის ბოლოსთვის იგეგმება. მანამდე კი "ჰენრი IV" გველის.

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაეღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამპლუაში?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით ბეთჰოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

ფეხბურთი

### დე გუი "ჩელსის" დატოვებას აპირებს

როგორც ჩანს, "ჩელსის" კარის დარაჯი, ედ დე გუი ზაფხულში ლონდონის "არისტოკრატთა" გუნდს დატოვებს და ახალ კლუბში გადაბარგდება. მთელი სეზონის განმავლობაში დე გუიმ ვერაფრით მოახერხა, ძირითადი შემადგენლობიდან ამოეგდო იტალიელი მეკარე კარლო გუდიჩინი, რომელიც ბრწყინვალე ფორმაშია. ამიტომაც ჰოლანდიის ნაკრების ყოფილი მეკარე აპირებს, სამშობლოში დაბრუნდეს და სპორტული კარიერა იქ დაასრულოს.

### კუვეიტის ნაკრებს ბრაზილიელი გაწვრთნის

კუვეიტის ეროვნული საფეხბურთო ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნა ცნობილი ბრაზილიელი სპეციალისტი, პაულო სეზარ კარპეჯანი. კუვეიტის ფეხბურთის ფედერაციის პრეს-მდივნის განცხადებით, კარპეჯანი ამ ქვეყნის ნაკრებში ერთ წელიწადს იმუშავებს და ამ ხნის განმავლობაში ანაზღაურების სახით 520 ათას აშშ დოლარს მიიღებს.

კარპეჯანი იყო ბრაზილიის იმ ნაკრების წევრი, რომელმაც 1974 წელს გერმანიაში მსოფლიო ჩემპიონის ტიტული დაკარგა. შემდგომში იგი წვრთნიდა ცნობილ ბრაზილიურ კლუბებს: "ფლამენგოს", "პალმეირასს" და "კრუზეიროს". მას აზიაში მუშაობის გამოცდილებაც აქვს - მცირე ხნით საუდის არაბეთის ნაკრებს წვრთნიდა. 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ეს ბრაზილიელი მწვრთნელი პარაგვაის ნაკრებს ხელმძღვანელობდა. შეგახსენებთ, რომ კარპეჯანის მიერ გაწვრთნილი პარაგვაელები საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატზე მერვედფინალშიც კი გავიდნენ, სადაც დამატებითი დროის ბოლო წუთებზე გატანილი გოლის შედეგად მომავალ ჩემპიონებთან - ფრანგებთან წააგეს მატჩი.

### დი კანიო მწვრთნელს აკრიტიკებს

"ვესტ ჰემ იუნაიტედის" თავდამსხმელმა, პაოლო დი კანიომ მწვავედ გააკრიტიკა თავისი გუნდის მთავარი მწვრთნელი, გლენ რედერი. 34 წლის ფეხბურთელი პრემიერლიგის ბოლო ტურში, "ვესტ ბრომვიჩის" წინააღმდეგ მატჩში მისმა შეცვლამ აღაშფოთა. "ამ შეცვლამ ძალზე გამაღიზიანა. მე დაღლილი არ ვიყავი და გუნდისთვის სარგებლობის მოტანა კიდევ შემეძლო. მაგრამ, რატომღაც, რედერმა შემცვალა. თანაც, ასეთი რამ პირველად არ ხდება. მესმის, რომ ახალგაზრდა მწვრთნელია და შეცდომისგან არ არის დაზღვეული, მაგრამ უკვე იმდენი შეცდომა დაუშვა, რომ ლიგიდან გავარდნის ზღვარზე აღმოვჩნდით. თუ "ვესტ ჰემი" პრემიერლიგას დატოვებს, ამაში მხოლოდ ჩვენი მთავარი მწვრთნელი იქნება დამნაშავე", - განუცხადა გაზეთ "SAN"-ს ვეტერანმა ფეხბურთელმა.

### ჰასან შაში "ინტერში" გადადის

მილანის "ინტერის" ტექნიკურმა დირექტორმა, გაბრიელე ორიალიმ თურქეთის ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში ამ იტალიურ გუნდთან კონტრაქტს გააფორმებს თურქეთის "გალათასარაის" ფეხბურთელი ჰასან შაში. ამ ტრანსფერის განხორციელებისას ყველაზე დიდი წინააღმდეგობა "ინტერს" ფეხბურთელთან პირადი კონტრაქტის გაფორმების დროს შეხვდა, მაგრამ ეს პრობლემაც წარმატებით გადაიჭრა და თავხოტორა თურქი "ინტერის" შავ-ლურჯ მაისურას მოირგებს. შეგახსენებთ, რომ ამ ფეხბურთელის გადაბირება ინგლისურ კლუბებსაც სურდათ, კერძოდ, "ლივერპულსა" და "ტოტენჰემს".

# „რომამ" გამოიღვიძა

## "ლევერკუზენს" სასწაულიც კი ვერ იხსნის, "რომას" კი მომავლის იმედი დაუბრუნდა

აკა ტონია

ჩემპიონთა ლიგის გუშინდელი ტურის გმირად ალბათ ფრანჩესკო ტოტი უნდა დავასახელოთ. "რომა" ჩვენ უკვე წინა ტურში "ჩამოვწერეთ", როდესაც ფაბიო კაპელოს გუნდი "ვალენსიასთან" შინ, 0:1 დამარცხდა. გუშინდელ დღემდე "რომას" აქტივში 0 ქულა იყო და თითქოსდა ვეღარაფერი იხსნიდა.

მაგრამ ასეთი წყალწაღებულიც არ ყოფილა "რომა", თავისი მხსნელი მასაც ყოლია –ფრანჩესკო ტოტი. ფაბიო კაპელომ გუშინდელ მატჩში საკმაოდ სახეშეცვლილი გუნდი წარმოგვიდგინა. "რომას" დაემატა 6 ფეხბურთელი, რომელთაც მონაწილეობა არ მიუღიათ წინა შეხვედრაში. დაბრუნდა მეკარე ანტონიოლი, დისკვალიფიცირებული ემერსონი და ვალტერ სამუელი. ტრავმები მოიშუშეს კანდელამ და ტოტიმ, ხოლო დელვეკიოს ნაცვლად კაპელომ კასანოს მიანიჭა უპირატესობა. "ვალენსიას" რიგებში კი მხოლოდ 2 ცვლილება იყო, რაფაელ ბენიტესმა არგენტინელი აიმარის მაგივრად სანჩესი გამოიყვანა მოედანზე, ხოლო ამადეო კარბონი ფაბიო აურელიოთი შეცვალა.

მატჩის დასაწყისში მასპინძლები აქტიურობდნენ. უკვე მე-9 წუთზე, ნორვეგიელ კარეუს გოლის გატანის საკმაოდ კარგი შანსი ჰქონდა. მაგრამ 24-ე წუთზე, კანდელას მიერ ჩამოწოდებული კუთხური ტოტიმ გოლად აქცია. გაშვებულმა ბურთმა "ვალენსია" გატეხა, ხოლო "რომამ" ფრთები გაშალა. 6 წუთში, ტოტიმ მეორე გოლი გაიტანა, ხოლო 36-ე წუთზე ბრაზილიელმა ემერსონმა ანგარიში სამამდე გაზარდა, საგოლე პასის ავტორი კი - ტოტი. მატჩის ბედი "რომამ" პირველივე ტაიმში გადაწყვიტა. მეორე ნახევარში მასპინძლები შედარებით გააქტიურდნენ, თუმცა "რომა" საკმაოდ სახიფათო კონტრ-შეტევებით პასუხობდა. ასეა თუ ისე, ანგარიში არ შეცვლილა, "რომამ" სტუმრად გაიმარჯვა და მეოთხედფინალში გასვლის საკმაოდ რეალური შანსებიც გაუჩნდა.



REUTERS

ფრანჩესკო ტოტიმ "რომას" იმედი დაუბრუნა

ჯგუფი A

| | | |
|---|---|---|
| ინტერი | 0 - 0 | ბარსელონა |
| ნიუკასლი | 3 - 1 | ლევერკუზენი |

| | ცხრილი | თ | მ | ფ | წ | ბ.ბ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბარსელონა | 4 | 3 | 1 | 0 | 82 | 10 |
| 2 | ინტერი | 4 | 2 | 1 | 1 | 76 | 7 |
| 3 | ნიუკასლი | 4 | 2 | 0 | 2 | 69 | 6 |
| 4 | ლევერკუზენი | 4 | 0 | 0 | 4 | 511 | 0 |

ჯგუფი B

| | | |
|---|---|---|
| აიაქსი | 0 - 0 | არსენალი |
| ვალენსია | 0 - 3 | რომა |

| | ცხრილი | თ | მ | ფ | წ | ბ.ბ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | აიაქსი | 4 | 1 | 3 | 0 | 43 | 6 |
| 2 | არსენალი | 4 | 1 | 3 | 0 | 42 | 6 |
| 3 | ვალენსია | 4 | 1 | 2 | 1 | 24 | 5 |
| 4 | რომა | 4 | 1 | 0 | 3 | 56 | 3 |

როგორც ჩანს, "რომას" დღე გუშინ მხოლოდ "მესტალიაზე" არ ყოფილა: B ჯგუფის მეორე შეხვედრა სწორედ ისეთი ანგარიშით დასრულდა, რომელიც კაპელოს გუნდს ყველაზე მეტად აძლევდა ხელს – 0:0. ამ შედეგის წყალობით "აიაქსიც" და "არსენალიც" სავსებით ხელმისაწვდომნი რჩებიან რომაელთათვის, მათ 6-6 ქულა აქვთ. "ამსტერდამ-არებაზე" შეკრებილი გულშემატკივრის სამწუხაროდ, ამ მატჩში გოლი არ გასულა. შეხვედრის დებიუტში სტუმრები აშკარა უპირატესობას ფლობდნენ, თუმცა "აიაქსი" საკმაოდ კარგად იცავდა თავს. შესვენების შემდეგ ამსტერდამელები საგრძნობლად გააქტიურდნენ, თუმცა ფრე ამ მატჩისათვის ალბათ ყველაზე სამართლიანი ანგარიშია. გუშინდელი დღის შემდეგ B ჯგუფში სიტუაცია კიდევ უფრო გაურკვეველი გახდა, ვიდრე აქამდე იყო. "აიაქსს", "არსენალს" და "ვალენსიას" ახლა უკვე "რომაც" დაემატა, მეოთხედფინალში გასვლის შანსს ოთხივე გუნდი ინარჩუნებს.

განსხვავებული მდგომარეობაა A ჯგუფში, ლევერკუზენის "ბაიერმა" საბოლოოდ დაყარა ფარ-ხმალი და შემდეგ ეტაპზე გასვლის არავითარი შანსი აღარ აქვს. "რომასგან" განსხვავებით გერმანელებმა ვერ შეძლეს თავიანთ თამაშში გარდატეხის შეტანა და "ნიუკასლთან" ხელმეორედ წააგეს. მატჩის გმირი, ცხადია, ალან შირერია – "ნიუკასლის" მიერ გატანილი სამივე გოლის ავტორი. მატჩი კი ანგარიშით 3:1 დასრულდა. ოლივერ ნოივილმა სტუმართა ერთადერთი შანსიც კი ხელიდან გაუშვა და "ნიუკასლმა" კარის მიმართულებით დანიშნული თერთმეტმეტრიანი ვერ გამოიყენა. აღსანიშნავია, რომ ბობი რობსონის გუნდი, ჩემპიონთა ლიგის მეორე ჯგუფურ ეტაპზეც იმავე გზით მიდის, როგორიც პირველ წრეში განვლო. "ნიუკასლი" პირველ ორ შეხვედრაში განცდილი მარცხის შემდეგ კვლავ გამარჯვება დაიწყო, თუ მათ ასე გააგრძელეს, შესაძლოა მეოთხედფინალის საგზურსაც გამოჰკრან ხელი. ინგლისელთა უმთავრესი კონკურენტი კი, ალბათ, მილანის "ინტერია", რომელმაც ვერც შინ შეძლო "ბარსელონას" დამარცხება და 0:0-ს დასჯერდა. კატალონიელები კვლავინდებურად დაუმარცხებლად განაგრძობენ ასპარეზობას და A ჯგუფიდან შემდეგ ეტაპზე გასვლის საუკეთესო შანსებიც აქვთ. "ბარსელონა" ცალი ფეხით მეოთხედფინალშია, ხოლო თუ ვინ დაეპატრონება მეორე საგზურის, "ნიუკასლისა" და "ინტერის" დუელში გაირკვევა.

# ინტერვიუ, რომელიც ბალაკს ძვირად დაუჯდა

## "მე შემტევი ნახევარმცველი ვარ. "ბაიერნშიც" ასე უნდა მათამაშონ"



მიხაელ ბალაკი

"ეს დაუშვებელია. არ შეიძლება, ფეხბურთელმა ზოგადად ისაუბროს სათამაშო სისტემის შეცვლაზე და თავისი კლუბი გააკრიტიკოს. ეს, ალბათ, იმიტომ კეთდება, რომ მოთამაშემ ხალხის ყურადღება მიიქციოს. ამას მე არ მოვითმენ. მიხაელ ბალაკი დიდ ჯარიმას გადაიხდის", - განაცხადა ოტმარ ჰიცფელდმა.

"ბაიერნის" თავკაცი აღაშფოთა 24 თებერვალს ჟურნალ Kicker-ში გამოქვეყნებულმა ინტერვიუმ, რომელშიც მიუნხენელთა ნახევარმცველი, მიხაელ ბალაკი, კლუბში ფუნქციების არასწორად განაწილებაზე საუბრობს. საქმე ის არის, რომ ყოფილ ლევერკუზენელს ახალ კლუბში ახალი ფუნქციები დაუმატეს. თუ "ბაიერში" ის მხოლოდ შეტევაზე ფიქრობდა, ჰიცფელდი მისგან დაცვის დახმარებასაც მოითხოვს. ბალაკს ეს არ სიამოვნებს და აცხადებს, რომ მისი მოწოდება მხოლოდ შეტევაში თამაშია.

სამშაბათის ვარჯიშის წინ ჰიცფელდმა განაცხადა, რომ ასეთი გამონათქვამები კლუბის რიგებში სიმშვიდეს არღვევს. "ყოველი მოთამაშე გუნდის სამსახურში უნდა იდგეს და ყველაფერს "ბაიერნის" წარმატებისთვის უნდა აკეთებდეს", - თქვა ჰიცფელდმა.

თანხის სიდიდე, რომლის გადახდაც ბალაკს მოუწევს, ჯერ უცნობია, მაგრამ ვარაუდობენ, რომ ეს 20.000 ევრო იქნება – ასეთ შემთხვევაში ეს რეკორდული ჯარიმაა.

**- როგორ მოგწონთ თქვენი ახალი სამუშაო?**

- მე ეგოისტი არ ვარ და გუნდის სასარგებლოდ ვთამაშობ. მწვრთნელის დავალებაა, რომ მე დაზღვევაზეც უნდა ვითამაშო. მას შემდეგ, რაც ამ ფუნქციების შესრულება დავიწყე, ნაკლებ გოლს ვუშვებთ.

**- მაგრამ ამით თქვენ ნაკლებად ერთვებით შეტევაში და გოლებიც იშვიათად გაგაქვთ. გაკმაყოფილებთ ეს?**

- ცხადია, როდესაც უკანდახევაც მევალება, შეტევაში ისე ხშირად ველარ ვერთვები.

**- სეზონის დაწყების წინ ფრანც ბეკენბაუერი სწორედ იმისთვის გაქებდათ, რომ მოწინააღმდეგის საჯარიმოში მეტისმეტად აქტიურობთ და გოლებიც გაგაქვთ. სწორედ ამიტომ შეგიძინათ "ბაიერნმა".**

- ასეც უნდა ვითამაშოთ. როდესაც გუნდში ბალაკი გადმოგყავს, უნდა იცოდე, რომ მე შემტევი ნახევარმცველი ვარ და შეეცადო, ჩემი ეს თვისებები კარგად გამოიყენო. მაგრამ თუ მწვრთნელი სხვა აზრისაა, თანახმა ვარ. მას ამის უფლება აქვს. მე კი მაინც გული მწყდება. შეტევაში თამაში მირჩევნია.

**- სად არის გამოსავალი, შესაძლებელია კომპრომისი?**

- ჩვენს გუნდს დიდი შემტევი პოტენციალი ჰყავს. ასეთ დროს დაფიქრებაა საჭირო. იქნებ სჯობს, ნაკლები მცველებით ვითამაშოთ. მაგრამ ეს მწვრთნელის პრეროგატივაა, ტაქტიკას ის ირჩევს. თუმცა, უნდა ვთქვა, რომ ახლა მე ოპტიმალურად ვერ ვთამაშობ. დაცვითი ფუნქციების შესრულება სხვა ფეხბურთელსაც შეუძლია. მე მეტისმეტად უკან დამხიეს. როდესაც ჩემნაირი ფეხბურთელი მოგყავს და იცი, რომ ის გოლის გატანაზეა ორიენტირებული, ასეც უნდა ათამაშო. არ შეიძლება, ასე დათრგუნო, არ შეიძლება, რომ ყოველთვის, როცა ის შეტევაში ერთვება, უკან დარჩენაზე მიუთითო.

# ხავიერ პორტილიო: „ჩემი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი გოლი"

ვარსკვლავებით დახუნძლული მადრიდის "რეალი", დიდი ხანია, არ აღმოჩენილა ისეთ მძიმე ვითარებაში, როგორშიც წლეულს არის. ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპების დაძლევა "სამეფო კლუბისთვის" არასოდეს იყო დიდი პრობლემა. მიმდინარე სეზონში კი მეოთხედფინალის გზაზე მადრიდელებს ძლიერი და ამბიციური "ბორუსია" გადაეღობა. შინ მიღწეული გამარჯვების შემდეგ "რეალი" "ბორუსიას" დორტმუნდში ესტუმრა. წაგების შემთხვევაში მადრიდელები ისევ ჩავარდებოდნენ იმ მძიმე მდგომარეობაში, რომელიც საკუთარ სტადიონზე მოგებით (2:1), თითქოს, გამოასწორეს. გამარჯვება "რეალს" დორტმუნდშიც სჭირდებოდა, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ "ბორუსია" განმეორებით მატჩშიც დაწინაურდა, "რეალი" მიღწეულმა ფრემაც უნდა დააკმაყოფილოს. მსაჯის მიერ დამატებულ დროში თანაგუნდელის შესაცვლელად შემოსულმა პორტილიომ მაინც გაარღვია კედლად აღმართული დაცვა და ანგარიში გაათანაბრა. "რეალის" 20 წლის თავდამსხმელის ცხოვრებაში ეს უმნიშვნელოვანესი გოლი იყო, დორტმუნდელთათვის კი - შემზარავი კოშმარი.

"რეალისა" და "ბორუსიას" ორმატჩიანი დუელი გუშინწინდელი შეხვედრით დასრულდა, თუმცა, დაპირისპირება გრძელდება: "რეალს" 5 ქულა აქვს, "ბორუსიას" - 4. ისინი თითო მატჩს გამართავენ "მილანთან" და "ლოკომოტივთან". თუ რომელიმემ წაიბორძიკა, მეოთხედფინალის მიღმა დარჩება. ცხადია, "რეალი" უკეთეს მდგომარეობაშია: ორივე მატჩის მოგების შემთხვევაში, ჯგუფში მეორე ადგილზე გასვლის გარანტია აქვს. "დორტმუნდს" კი მომდევნო ეტაპზე გასასვლელად 6 ქულა და "რეალის" წაბორძიკება სჭირდება.

C ჯგუფი, ალბათ, უკანასკნელ ტურამდე შეინარჩუნებს ინტრიგას. მანამდე კი უკვე მომხდარი გავაანალიზოთ, სჯობს, მატჩის მონაწილეებთან ერთად.



REUTERS

ხავიერ პორტილიო

### კომენტარები

**მათიას ზამერი ("ბორუსიას" მწვრთნელი):** "ჩემმა გუნდმა კარგად ითამაშა, მაგრამ გულდასაწყვეტია, რომ წარმატებას მაინც ვერ მივაღწიეთ. ასეთი დონის თამაშში ყოველი შეცდომისთვის ისჯები. ჩემი ამოცანა არ არის, რომ მატჩის 91-ე წუთზე გუნდს კიდევ ერთი გოლი მოვთხოვო. ჩვენი მიზანი იყო, 1:0 შეგვენარჩუნებინა. უკვე მეორედ გვიხდება ტყუილუბრალოდ გარჯა. გაშვებული გოლი მხოლოდ ნაწილობრივ არის იმის ბრალი, რომ ამორუზომ წინ ბურთი დაკარგა. ბილი რეინას ფუნქციებში არ შედის ის, რომ ამორუზოს დაზღვევაზე ითამაშოს. ამის გამო მარცხენა ფლანგი ცარიელი დარჩა. დედე რომ თავის ადგილზე დარჩენილიყო, ეს არ დაგვემართებოდა".

**შტეფან როიტერი ("ბორუსიას" კაპიტანი):** "უკანასკნელ ორ მატჩში კარგად, თავგანწირვით ვითამაშეთ, მაგრამ არ დაგვიფასდა. მომავალშიც ასე უნდა გავაგრძელოთ და მერე ჩვენი შრომაც დაფასდება. ახლა ყველანი დეპრესიაში ვართ. მართლაც, კარგად ვითამაშეთ, მაგრამ გოლი მაინც გავუშვით. ქათინაურები ჩვენს გუნდს და გულშემატკივარს! სამწუხაროდ, შედეგი არ არის ისეთი, როგორიც გვსურდა".

**კრისტოფ მეცელდერი ("ბორუსიას" მცველი):** "სამწუხაროდ, კონცენტრაცია ბოლომდე არ გვეყო. როდესაც აქტიურობ შეტევაში, მთელი მატჩის მანძილზე კარგად თამაშობ და 90-ე წუთზე გოლს უშვებ, ეს არასაკმარისი კონცენტრაციის ბრალია. გასაგებია, რომ მატჩის მიწურულს კიდევ ერთი კონტრშეტევით შევეცადეთ, დრო მოგვეგო. ფაქტია, რომ "რეალმა" ეს გამოიყენა და ანგარიში გაათანაბრა".

**ვისენტე დელ ბოსკე ("რეალის" მწვრთნელი):** "ამ მატჩის შემდეგ ყველაფერი ღიად რჩება. ჯგუფში მეორე ადგილის დაკავება ყველას შეუძლია. ცხადია, ამ შედეგით ჩვენ წინ გადავდგით ნაბიჯი. გოლი სამართლიანი იყო. თუ მატჩის მსვლელობას გავითვალისწინებთ, ფრე იყო მინიმუმი, რასაც ჩვენ ვიმსახურებდით. როდესაც 90-ე წუთზე გაგაქვს გოლი, ანგარიშის გათანაბრება გამარჯვების ტოლფასია, მაგრამ ჩვენ მთელი მატჩის განმავლობაში ვაკონტროლებდით სიტუაციას, შევქმენით უამრავი საგოლე მომენტი. ამიტომაც ცოტა გულდაწყვეტილები ვართ.

პორტილიოს გოლს იღბალს ვერ მივაწერ. ეს მისი ტალანტის, წინსვლის სურვილისა და გუნდის დახმარების უნარის წყალობაა".

**რაული ("რეალის" კაპიტანი):** "ჩვენ კმაყოფილები ვართ, მაგრამ ანგარიში არადამაკმაყოფილებელია, რადგან მეტი დავიმსახურეთ. ფრე კარგი შედეგია. ახლა მხოლოდ საკუთარ თავზე ვართ დამოკიდებული. უნდა ვთქვა, რომ მთელი მატჩის განმავლობაში ვფლობდით უპირატესობას. ჩვენ უკეთ ვთამაშობდით, მეტი საგოლე მომენტი შევქმენით. "ბორუსიას" მეკარეს ბედი სწყალობდა, მაგრამ, პორტილიოს წყალობით, ლიგაში ბრძოლას განვაგრძობთ. ერთი ქულა მინიმუმია, რასაც ვიმსახურებდით. მე მომცელეს და სირბილისას ფეხი მტკიოდა. იმედი მაქვს, შაბათამდე გამივლის".

**იკერ კასილიასი ("რეალის" მეკარე):** "ფრე იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ისევ საკუთარი ბედის პატრონები ვართ. მეორე ტაიმში "ბორუსიამ" უკან დაიხია. მას კონტრშეტევებზე უნდოდა თამაში, მაგრამ ამის საშუალება არ მივეცით. ვფიქრობ, ძალიან კარგად ვითამაშეთ. პასი, რომელიც რობერტო კარლოსმა მომცა თავით, ძალიან სახიფათო იყო. საბედნიეროდ, მოვიგერიე. პორტილიოს გოლი მისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ხალხი ვერ ხედავს, მაგრამ ის ძალიან ბევრს მუშაობს. მას შეუძლია, საკუთარი თავით იამაყოს".

**ხავიერ პორტილიო ("რეალის" თავდამსხმელი, გოლის ავტორი):** "გუნდისთვის ეს მეტისმეტად მნიშვნელოვანი გოლი იყო. ამ მატჩში ეს იყო ჩემი პირველი შეხება ბურთთან. მინდა, მადლობა ვუთხრა ჩემს ყველა თანაგუნდელს, განსაკუთრებით - ზიდანს. ეს იყო ჩემი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი გოლი. მე მას ვუძღვნი ჩემი ოჯახის წევრებს, რომლებიც მატჩზე არ იყვნენ. მადლობა ვუთხარი მწვრთნელს. "რეალში" თამაში სულ უფრო და უფრო ძნელია, მაგრამ მე განვაგრძობ შრომას, რათა მომავალშიც მომეცეს მოედანზე გასვლის საშუალება. გასახდელში ყველა მეხუმრებოდა და მილოცავდა".

# აღმოსავლეთევროპელები ახალ ტურნირს აფუძნებენ, ქართველები კი ამ წამოწყებას სკეპტიკურად უყურებენ

მიხეილ აბაიშვილი

ორი დღის წინ გაიმართა აღმოსავლეთ ევროპის საფეხბურთო კლუბების წარმომადგენელთა თათბირი, რომელზეც გადაწყდა, რომ დააფუძნებენ ახალ ტურნირს, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ აღმოსავლეთ ევროპის ის გუნდები, რომლებიც ვერ დაძლევენ UEFA-ს ტურნირების (ჩემპიონთა ლიგა, UEFA-ს თასი) საკვალიფიკაციო ეტაპს.

თათბირში, რომელსაც საფეხბურთო კლუბებს შორის ურთიერთობათა ფორუმი (FCCF) დაერქვა, მონაწილეობა მიიღეს პირეის "ოლიმპიაკოსის", ბელგრადის გუნდების "პარტიზანისა" და "ცრვენა ზვეზდას", სოფიის გუნდების "ცსკასა" და "ლევსკის", ნიქოზიას "აპოელის", ბუქარესტის გუნდების "დინამოს", "სტიაუასა" და "რაპიდის" წარმომადგენლებმა. "FCCF-ს ტურნირი ჩემპიონთა ლიგისა და UEFA-ს თასის საკვალიფიკაციო რაუნდებში ჩარჩენილ გუნდებს საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის და ამ გზით კვალიფიკაციის ამაღლების საშუალებას მისცემს", - განაცხადა ბუქარესტის "რაპიდის" გენერალურმა მდივანმა კრისტიან კოსტაჩემ.

წინასწარი გეგმის მიხედვით, ტურნირში 9 ქვეყნის (რუმინეთი, ბულგარეთი, კვიპროსი, საბერძნეთი, სერბეთი და ჩერნოგორია, სლოვენია, ხორვატია, თურქეთი, უკრაინა) 16 გუნდი მიიღებს მონაწილეობას.

კოსტაჩემ ისიც განაცხადა, რომ ტურნირი FIFA-ს და UEFA-ს ეგიდით გაიმართება. შეჯიბრების რეგლამენტს FCCF-ის შემდგომ თათბირზე, ივნისში დაადგენენ.

ტურნირში მონაწილე ქვეყნებში ვერ მოხვდა საქართველო, რაზეც კომენტარი ვთხოვეთ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს რომან შოთაძეს.

"ძალიან მეეჭვება, რომ ასეთ ტურნირს UEFA-მ მწვანე შუქი აუნთოს. ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირი ერთობ ლიბერალური ორგანიზაციაა და ყოველ ახალ წამოწყებას ეჭვით ხვდება. მით უმეტეს, თუ ეს წამოწყება ახალი ტურნირის შემოღებას შეეხება. ყოველ შემთხვევაში, თუ UEFA ასეთი ტურნირის ჩატარებას დათანხმდება, ამაში ცუდი არაფერი იქნება და საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია მიიღებს ზომებს, რათა მასში ქართულმა კლუბებმაც მიიღონ მონაწილეობა. ის, რომ საქართველო ამ ტურნირის მონაწილეთა სავარაუდო შემადგენლობაში ვერ მოხვდა, არაფერს ნიშნავს. რადგან ტურნირი UEFA-ს ეგიდით უნდა ჩატარდეს, ჩვენ, როგორც ამ ორგანიზაციის წევრს, მასში მონაწილეობის სრული უფლება გვექნება", - განუცხადა "24 საათს" რომან შოთაძემ.

ამ საკითხთან დაკავშირებით თავისი პოზიცია დააფიქსირა საქართველოს ჩემპიონატისა და ქართული საკლუბო ფეხბურთის ლიდერმაც. თბილისის "დინამოს" დირექტორატის სახელით კლუბის პრესატაშემ ლევან სალუქვაძემ შემდეგი განგვიცხადა: "ჩვენთვის ცნობილია, რომ ასეთი ტურნირი იგეგმება. თუმცა, არავითარი ინფორმაცია არა გვაქვს ტურნირის ჩატარების ვადებზე, მის რეგლამენტზე, სავარაუდო მონაწილეებსა და მათ რაოდენობაზე. ასევე არ ვიცით, UEFA მასში მონაწილეობას სავალდებულო აუცილებლობად გახდის თუ არა. ამდენად, ამ საკითხზე კომენტარის გაკეთება ცოტა ნაადრევია და ჩვენს პოზიციას მხოლოდ UEFA-დან ოფიციალური შეტყობინების შემდეგ დავაფიქსირებთ".

*რაგბი*

# რუსები 25-ად შეიკრნენ

## ქართველებთან მატჩისთვის სლავები გაფართოებული შემადგენლობით ემზადებიან

*საქართველოსა და რუსეთის მორაგბეთა ნაკრებების შეხვედრა ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევდა გულშემატკივრებში და სხვა მატჩებისგან გამორჩეული იყო. ისე მოხდა, რომ ჩვენი და რუსების გზები მუდამ იკვეთებოდა. ამჯერადაც ასეა. ევროპის ერთა თასის მომდევნო მატჩს ბორჯღალოსნები კრასნოდარში, რუსეთის ნაკრებთან გამართავენ.*

პაატა თოთაძე

პირველ მატჩში პორტუგალიასთან მარცხის გამო ერთა თასზე ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ ქართველებს ტურნირის მოსაგებად დარჩენილი მატჩების მოგება მართებთ. თუმცა, ამ შემთხვევაშიც ბორჯღალოსნებს პირველობა გარანტირებული მაინც არ ექნებათ. ყველაფერი თუ არა, ბევრი რამ რუსეთისა და პორტუგალიის ნაკრებების მატჩზე იქნება დამოკიდებული. ქართველებისა და რუმინელების დამარცხების შემდეგ პორტუგალია გათამაშების ერთპიროვნული ლიდერი გახდა. იმის გამო, რომ ეს გუნდი დარჩენილი სამი მატჩიდან ორს შინ გამართავს (ესპანელებთან და ჩეხებთან), რუსეთში, სავარაუდოდ, დაუმარცხებელი ჩავა. ერთა თასზე მოასპარეზე გუნდებიდან პორტუგალიის დამარცხების შანსი მხოლოდ რუსეთს აქვს დარჩენილი. ტურნირის ფავორიტთა დამარცხების მიუხედავად, პორტუგალია სულაც არ არის ის გუნდი, რომელსაც რუსეთში მასპინძლების დამარცხება უეჭველად შეუძლია. მეტიც: იმ დაპირისპირებაში ფავორიტად უთუოდ რუსებს მიიჩნევენ. ისინი ტურნირის ბოლო ტურში შეხვდებიან ერთმანეთს. მანამდე ბევრი რამ გაირკვევა და, ვინ იცის, ბოლოს ყველაფერი გატანილმა და გაშვებულმა ბურთებმა გადაწყვიტოს. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ქართველები დარჩენილ მატჩებს მოიგებენ, პორტუგალია კი რუსეთში დამარცხდება. სანამ პორტუგალიელთა დამარცხებაზე მიდგება საქმე, ქართველებმა უნდა ივარგონ და 8 მარტს რუსები მათსავე მოედანზე დასცენ.

ამ მატჩისთვის საქართველოს ნაკრები 3 მარტს დაიწყებს მზადებას. ლეგიონერები და ქართულ კლუბებში მოთამაშე მორაგბეები თბილისში შეიკრიბებიან და 7 მარტამდე გაივლიან შეკრებას. კრასნოდარში ბორჯღალოსნები მატჩის წინა დღეს გაემგზავრებიან, უკან კი მატჩის შემდეგ დაბრუნდებიან. ბოლო წლებში გამართული მატჩებიდან (შარშანდელი 12 მარტის მატჩის გარდა) ქართველებს ყველა შეხვედრაში დამარცხებული ჰყავთ რუსები და, ბუნებრივია, გულშემატკივრები გუნდისგან ახლაც გამარჯვებას ელიან. იმედის საფუძველს საქართველოსა და ესპანეთის მატჩიც იძლევა - ქართველებმა ჩინებულად ითამაშეს, იმის მიუხედავად, რომ გუნდს ბევრი წამყვანი მორაგბე აკლდა. რუსეთთან მატჩისთვის, ყველა არა, მაგრამ უმეტესობა მწყობრში იქნება - ესეც წარმატების მოპოვების ერთ-ერთი მიზეზი.

ქართველებისგან განსხვავებით, რუსები შეკრებას ზეგ დაიწყებენ. ნაკრების წევრები გუშინ შეკრიბნენ კრასნოიარსკში. იქ სამი დღე ივარჯიშებენ მსუბუქად, ზეგ კი კრასნოდარში გაემგზავრებიან და ბორჯღალოსნების დასახვედრად მოემზადებიან. კრასნოდარში შეუერთდებიან ლეგიონერებიც. რუსთა მწვრთნელის, ალექსანდრ პერვუხინის განცხადებით, აფრიკელთა არყოფნის მიუხედავად, რუსებს ქართველთა დამარცხებისა და ტურნირის მოგების შანსი აქვთ. "ყველამ უნდა იცოდეს, რომ რუსეთში რაგბი ყვავის. რუსეთს ჰყავს ადგილობრივი კადრები, რომლითაც წარმატების მიღწევა შესაძლებელია. რუსეთი არასდროს მიაჩნდათ ფავორიტად. დროა, ჩვენს მიმართ დამოკიდებულება შეიცვალოს. ბუნებრივია, საამისოდ პირველი ნაბიჯი ჩვენ უნდა გადავდგათ. შევეცდებით, ეს წლეულს, ევროპის ერთა თასის მოგებით დავიწყოთ", - რუს ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნა პერვუხინმა. ქართველებთან დასაპირისპირებლად პერვუხინი გამოიყენებს იმ მოთამაშეებს, რომლებმაც ორი კვირის წინ ესპანელები დაამარცხეს. მწვრთნელის თქმით, მცირე ტრავმა აქვს ალექსეი სერგეევს, თუმცა, მატჩისთვის სრულ მზადყოფნაში იქნება. ქართველებთან მატჩისთვის 25 რუსი მორაგბე მოემზადება: ხროკინი, ტრავკინი, კორშუნოვი, მოტორინი, ა. სერგეევი, კუზინი, კლიუჩნიკოვი, რომაკი, შელეპკოვი, ზიკოვი, რეჩნევი, კოროზეინიკოვი, ზეერი, დიმჩენკო, ნიკოლაიჩუკი, შუკაილოვი, ფედჩენკო, ვასილიევი, სარიჩევი, ილარიონოვი, იანუშკინი, ჟუკოვი, გრაჩოვი, რაჩკოვი, ს. სერგეევი.

საბოლოო, 22-კაციან შემადგენლობას მწვრთნელი მატჩამდე ორი დღით ადრე დაასახელებს.

*ფორმულა 1*

# აქედან დაიკარგეთ, თქვე მატყუარებო!

## FIA-ს პრეზიდენტი, მაქს მოსლი, რონ დენისსა და ფრენკ უილიამსს ტყუილში ადანაშაულებს

კახა ფარუაშვილი

*ფორმულა 1-ის რბოლების გასაუმჯობესებლად და მისდამი გულშემატკივართა ინტერესის გასაღვივებლად FIA-მ წლევანდელი სეზონის წინ უამრავი ცვლილება განახორციელა, რომელთა შესახებ ჩვენი გაზეთი არაერთხელ იუწყებოდა. ეს ცვლილებები გააპროტესტეს „მაკლარენისა" და „უილიამსის" ბოსებმა - რონ დენისმა და ფრენკ უილიამსმა, რასაც FIA-ს მხრიდან ადეკვატური რეაქცია მოჰყვა.*


მაქს მოსლი


რონ დენისი


ფრენკ უილიამსი

ხუთშაბათს რონ დენისმა და ფრენკ უილიამსმა FIA-ს პრეზიდენტის მაქს მოსლის სახელზე გაგზავნეს ექვსგვერდიანი წერილი, რომელშიც ახალი რეგლამენტის მიმართ პროტესტი გამოხატეს და FIA-ს ბოსს თავისი უფლებების დასაცავად საარბიტრაჟო სასამართლოს წამოწყებით დაემუქრნენ.

თავიდან მაქს მოსლიმ FIA-ს პოზიცია ლაკონიურად ჩამოაყალიბა, მაგრამ სამშაბათს „მაკლარენისა" და „უილიამსის" პატრონთა მისამართით თავისი აღშფოთება უკვე საპასუხო, ასევე ექვსგვერდიან ღია წერილში მკვეთრად გამოხატა. FIA-ს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ დენისისა და უილიამსის კრიტიკამ მას იმედები გაუცრუა.

„ახალი წესების საწინააღმდეგოდ თქვენ არავითარი ალტერნატივა არ წარმოადგინეთ", - უსაყვედურა მოსლიმ „მაკლარენისა" და „უილიამსის" ბოსებს. „თქვენ ყურადღება გაამახვილეთ მხოლოდ ერთი ძრავის წესზე, რომელიც 2004 წლიდან უნდა შევიდეს ძალაში და რომლის წინააღმდეგაც თქვენ, ფრენკ და რონ, გალაშქრებას აპირებთ. წარმოუდგენელია, დიალოგის იმედი გქონდეს იმ პირობებში, როცა ყოველ ახალ წინადადებაზე მხოლოდ ჩამოუყალიბებელ აზრს და კრიტიკას ისმენ", - აღნიშნა მაქს მოსლიმ.

რონ დენისი და ფრენკ უილიამსი ამტკიცებდნენ, რომ FIA გუნდების საერთო შეთანხმებას არღვევდა, მაგრამ ამ ბრალდებაზე მაქს მოსლის თავისი არგუმენტი აღმოაჩნდა. „მე თქვენს ადვოკატებს ვთხოვე, გაერკვიათ ეს ფაქტი, მაგრამ მათ უარი განაცხადეს", - განმარტა მოსლიმ.

FIA-ს პრეზიდენტმა უპასუხოდ არც ის საყვედური დატოვა, რომლის მიხედვითაც გუნდები ფორმულა 1-ის შემოსავლების განაწილებაში ნაკლებად მონაწილეობენ. „უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში გაკოტრების შესახებ განცხადება გააკეთეს „პროსტმა" და „ეროუზმა". დღეს ამ საფრთხის წინაშე, სულ ცოტა, კიდევ ორი გუნდია. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ფორმულა 1 მთელ შემოსავალს გუნდებზე გაანაწილებს, ხარჯები ერთბაშად მაინც არ შემცირდება", - ამბობს მოსლი.

მაქსს დაუსაბუთებლად მიაჩნია ის არგუმენტიც, რომ FIA-მ ელექტრონული სისტემის გამოყენება აკრძალა. „თუ არ მეთანხმებით, სცადეთ და ერთ დარბაზში დასვით, მაგალითად, მიხაელ შუმახერი, კიმი რაიკონენი და ხუან-პაბლო მონტოია, მეორეში კი - თქვენი ექსპერტები, დირექტორები ელექტრონიკისა და ტექნიკურ საკითხებში. მოიწვიეთ ხალხი ორივე დარბაზში და ნახავთ რაც მოხდება: მათ აუცილებლად დააინტერესებთ პილოტები და სპორტი და არა ელექტრონიკა", - თქვა FIA-ს პრეზიდენტმა.

მოსლიმ სისულელე უწოდა ორივე ბრიტანელის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მანქანის აღდგენისთვის 18-საათიანი მუშაობის 2,5 საათამდე შემცირება სახიფათოა. „ჩვენ ყველას გვინახავს, თუ როგორ აღადგენდნენ მანქანას მძიმე ავარიის შემდეგ ორ საათზე ნაკლებ დროში. რბოლისთვის ნამდვილი მზადება ორი კვირით ადრე იწყება", - განაცხადა მოსლიმ და, დესერტად, დენისი და უილიამსი ტყუილშიც ამხილა - მათ შეახსენა გუნდებთან შეთანხმება, რომლის მიხედვითაც ისინი „იაფფასიანი ძრავების" შემოტანას კისრულობდნენ.

მოსლის აზრით, რონ დენისი და ფრენკ უილიამსი უპასუხისმგებლოდ იქცევიან და არ სურთ, აღიარონ, რომ გუნდების უმრავლესობისთვის ახალი წესები სასარგებლო იქნება. „ხუთი წლის წინათ, 15 იანვრის სხდომის შემდეგ, ამ ცვლილებებზე არავითარი რეაგირება არ მოგიხდენიათ", - დაასრულა სიტყვა მაქს მოსლიმ.

*კრივი*

# ტაისონს ხეიბრობა ემუქრება

## "აირონ მაიკს" ზურგის არეში ტკივილი ტანჯავს

*გასულ შაბათს, კლიფორდ ეტიენზე სარეკორდო დროში გამარჯვების შემდეგ, მაიკ ტაისონი შედარებით თავმდაბალი ჩანდა. კრივის სამყარომ, რომელიც ტაისონს სკანდალური განცხადებებით იცნობს, ეტიენთან ბრძოლის დამთავრებისას მოკრძალებული, თავმდაბალი ტაისონი იხილა. რამდენიმე დღის მერე ირკვევა, თუ რამ შეცვალა ტაისონი: მისი კარიერა კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.*


მაიკ ტაისონი

REUTERS

ტაისონმა ეტიენთან ბრძოლის დასრულებისთანავე განაცხადა, რომ ზურგის არეში აუტანელ ტკივილებს გრძნობს. "აირონ მაიკის" თქმით, ქრონიკული ტკივილები დაეწყო 1997 წელს, როდესაც თავისი მოტოციკლით ავარიაში მოჰყვა. ეტიენის წინააღმდეგ ბრძოლას ჩაშლაც კი ემუქრებოდა - ამბობდნენ, რომ ტაისონის გრიპის გამო. შემდეგ გავრცელდა ვერსია, რომ მაიკს, სახეზე გაკეთებული ტატუს გამო, სიცხემ აუწია. არც ერთი და არც მეორე ვერსია მართალი არ ყოფილა. ტაისონი გამოტყდა, რომ ბრძოლის გადადება სწორედ ზურგის ტკივილის გამო სურდა. მისი თქმით, 1997 წელს მიღებული ტრავმა ეტიენის წინააღმდეგ ბრძოლისთვის მზადების პერიოდში კიდევ უფრო გაუმიზეზდა, რამაც რინგზე მისი გასვლა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა.

"ყოველდღიურად, მწოლიარე მდგომარეობაში, 2500-ჯერ ვწევ 320 კილოგრამ სიმძიმეს. რამდენიმე დღის წინათ, ვარჯიშისას, ისეთი ტკივილი ვიგრძენი, მეგონა, მხარი მომტყდა", - განაცხადა ტაისონმა.

ასეა თუ ისე, ბრძოლა შედგა და ტაისონმა დამაჯერებლად გაიმარჯვა. თანაც, ის თავის მხარს "გაუფრთხილდა" და მეტოქე, სულ რაღაც 49 წამში, ნოკაუტში აღმოჩნდა.

და მაინც, ბრწყინვალე გამარჯვების მიუხედავად, ტაისონი ფიქრობს, რომ ჯერ მზად არ არის ლუისთან შესახვედრად. "ისეთი ადამიანების წინააღმდეგ რინგზე გასასვლელად, როგორიც ლუისია, მეტი პრაქტიკაა საჭირო", - ამბობს ტაისონი. მის თავდაჯერებულ ტონს, უკანასკნელ ხანს, პესიმიზმი შეემატა. ნუთუ მართლა ემუქრება ტაისონის კარიერას დასრულება? მისი მწვრთნელი, ფრედი როუჩი, ოპტიმისტურად არის განწყობილი: "თუ მაიკი კარგად მოემზადება, მას ლუისის დამარცხებაც შეუძლია". მაგრამ შეძლებს კი კარგად მომზადებას?

ტაისონის ექიმი, დოქტორ გოდვინ მადუკა აცხადებს, რომ მაიკი კიდევ დიდხანს შეძლებს ჩხუბს, მაგრამ ამისთვის ყოველდღიური მკურნალობის კურსი სჭირდება.

*ჭადრაკი*

# ანანდმა კრამნიკი ვერ დაამარცხა

ვეიკ-ან-ზეეს სუპერტურნირის შემდეგ მსოფლიოს უძლიერესმა მოჭადრაკეებმა ესპანურ ლინარესში გადაინაცვლეს. ოღონდ ამჯერად - ანატოლი კარპოვის გარეშე. სამაგიეროდ, ტურნირში მონაწილეობს გარი კასპაროვი, რომელიც ამას წინათ, ნიუ იორკში, კომპიუტერულ პროგრამა „დიპ ჯუნიორს" დაუზავდა.

ასეა თუ ისე, ლინარესის ტრადიციულ, მე-20 ტურნირზე, თავი მოიყარა მსოფლიო ჩემპიონატის გაერთიანებული ციკლის ოთხივე მონაწილემ. გაიმართა მეოთხე ტურის შეხვედრები. ტურის უმნიშვნელოვანესი პარტია ანანდმა და კრამნიკმა გაითამაშეს. ინდოელი თეთრი ფიგურებით თამაშობდა, მაგრამ როგორღაც უნიათოდ გამოიყურებოდა. ანანდმა მატჩის დებიუტში უპირატესობის მოპოვება კი სცადა, მაგრამ კრამნიკმა, ორგანიზებული დაცვის წყალობით, მისი ყველა მცდელობა გააბათილა და, როგორც სპეციალისტები ვარაუდობდნენ, პარტია (მე-16 სვლაზე) ყაიმით დასრულდა. ორივე მოჭადრაკე ლიდერთა ჯგუფში დარჩა.

მეოთხე ტურში კიდევ ორი ყაიმი დაფიქსირდა. „ახალგაზრდების ბრძოლაში" - ვალიეხოსა და რაჯაბოვის მონაწილეობით - სადებიუტო უპირატესობა ესპანელმა ცაიტნოტში არაზუსტი თამაშით გააბათილა. ამიტომ საბოლოო ყაიმი და გაუგებარი პოზიცია იყო ორივე დიდოსტატის ჯილდო. დაზავდნენ პონომარიოვი და ლეკო. უნგრელმა დიდოსტატმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ შავი ფიგურებით სიცილიურ დაცვას შესანიშნავად თამაშობს. პონომარიოვი კი ყაიმისთვის უკანასკნელ სვლამდე იბრძოდა.

ოთხი ტურის შემდეგ 2,5 ქულით ლიდერობს ვლადიმირ კრამნიკი. 2-2 ქულა აქვთ ანანდს, ლეკოსა და რაჯაბოვს, ესპანელ ვალიეხოს - 1,5. ერთი ქულით მე-6-7 ადგილებს იყოფენ გარი კასპაროვი და რუსლან პონომარიოვი.

*ჩოგბურთი*

# ჩესნოკოვი შეიძლება დააპატიმრონ

ჩოგბურთის მოყვარულებს, ალბათ, ახსოვთ ცნობილი რუსი ჩოგბურთელი ანდრეი ჩესნოკოვი, რომელიც ერთხანს პარიზში ცხოვრობდა. სწორედ აქ დაიწყო მისი პრობლემები, რის გამოც იგი შეიძლება დააპატიმრონ კიდეც. გუშინ უნდა გამართულიყო სასამართლო სხდომა, რომელზეც 37 წლის ჩესნოკოვი თავისი სიმართლის დამტკიცებას შეეცდებოდა. ეს მეორე სხდომაა. საფრანგეთის სასამართლომ ყოფილ ჩოგბურთელს უკვე გამოუტანა სასჯელი - საფრანგეთის საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევისთვის ორი წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 30 ათასი ევროს ოდენობით.

ეს ვერდიქტი ფრანგებმა ჩესნოკოვს 2000 წლის 22 სექტემბერს გამოუტანეს. მაშინ მსჯავრდებული სასამართლო დარბაზში არ იმყოფებოდა. საქმე ის არის, რომ 1994-1995 წლებში რუსი ჩოგბურთელი საფრანგეთის დედაქალაქში ცხოვრობდა და შემოსავლის წყაროც ამ ქვეყანაში ჰქონდა, მაგრამ მათ დეკლარირებას არ ახდენდა. საფრანგეთის სახელმწიფო ფისკალური სამსახურის აზრით, ჩესნოკოვმა ბიუჯეტს 635 ათასი ევრო არ გადაუხადა, რაც იმას ნიშნავს, რომ მოპარა. გუშინ ბრალდების მხარე ცდილობდა, ჩესნოკოვის დაპატიმრებაზე სანქცია მოეპოვებინა, რადგან მიაჩნია, რომ რუსი ჩოგბურთელი საფრანგეთის კანონმდებლობას შეგნებულად არღვევდა. ჩესნოკოვი კი ამტკიცებს, რომ განაჩენის შესახებ გვიან შეიტყო და თავისი სიმართლის დასამტკიცებლად დამატებითი მოსმენის ჩატარებას ითხოვს.

*კალათბურთი*

# კალათბურთი ტრანსფორმაციისთვის ემზადება

კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის (FIBA) ტექნიკურმა კომისიამ, რომლის სხდომაც 21-22 თებერვალს ჟენევაში გაიმართა, FIBA-ს ცენტრალურ საბჭოს შესთავაზა რეკომენდაციები, რომლებიც ახლო მომავალში კალათბურთის ოფიციალური წესების შეცვლას ითვალისწინებს. კერძოდ, კალათბურთის მოხელეებს 2003-2004 წლების სეზონში შეტევისთვის განკუთვნილი „24-წამიანი" ზღვრის შეცვლა სურთ. იდეის ავტორებს მიაჩნიათ, რომ, სიახლის დანერგვის შემთხვევაში, გაუმჯობესდება თამაშის სანახაობრივი მხარე. ამისთვის კი რეკომენდებულია, არ შეწყდეს მატჩი, თუ სირენის დროს ბურთი ჰაერში იქნება და შემდეგ კალათის რგოლს შეეხება.

ტექნიკური კომისიის მიერ შეთავაზებული წინადადება ითვალისწინებს 5 ტაიმ-აუტს მატჩის ძირითადი დროის განმავლობაში ასეთი მიმდევრობით: 2 - მატჩის პირველ ნახევარში, 3 - მეორეში. ამასთან, იგეგმება დიდი შესვენების შემდეგ თამაშის განახლების ძველი წესის გაუქმებაც: მოედნის ცენტრში ბურთის აგდება. ანუ, თამაშს განაახლებს ის გუნდი, რომელიც მატჩის დასაწყისში, ასე ვთქვათ, თავს იცავდა; სამამდე გაიზრდება მატჩის მომსახურე მსაჯთა რაოდენობაც, ოღონდ ამისთვის 2004-2005 წლების სეზონამდე მოცდაა საჭირო. კერძოდ, მსაჯთა რაოდენობის გაზრდა ათენის ოლიმპიური თამაშების დასრულების შემდეგაა გათვალისწინებული.

ჩამოთვლილი წესების რატიფიცირებას FIBA-ს ცენტრალური საბჭოსგან მიმდინარე წლის მაისის სხდომაზე მოელიან.

*ისტორიული ფოტო*

# ეს იყო 31 წლის წინათ...



1972 წლის 18 ივნისი, ბრიუსელი. ევროპის ჩემპიონატის ფინალი გფრ-სსრკ (3:0). სსრკ-ს ნაკრების მეკარე ევგენი რუდაკოვი და მურთაზ ხურცილავა.




## აფიშა

### თეატრები

**რეზო გაბრიაძის თეატრ-სტუდია**
ყოველ პარასკევს, შაბათს და კვირას გაიმართება სპექტაკლი „ჩემი გაზაფხულის შემოდგომა“
დას: 19.00. ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში 11 - 16 სთ-მდე. (შავთელის ქ. №13). ტელ: 98-65-90, 98-65-93.

**ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი**
ჯუზეპე ვერდი, „ბალ-მასკარადი“
დირიჟორი თამაზ ჯაფარიძე
დას: 18:00 სთ

**მარჯანიშვილის თეატრი**
"სასიყვარულო ბარათები", რეჟ: თემურ ჩხეიძე, მთავარ როლებში: გია ბურჯანაძე, ნანი ჩიქვინიძე
დას: 18:00 სთ; ფასი 3-5 ლარი

**სამეფო უბნის თეატრი**
რუსთაველის თეატრის სპექტაკლი
"ჰამლეტი", რეჟ. რობერტ სტურუა
დას: 18:00 სთ; ფასი 5,7 ლარი

**ერთი მსახიობის თეატრი „ვერიკო„**
"გამოიღვიძე ქნარო", რეჟ. კოტე მახარაძე
დას: 18:00 სთ; ფასი 3 ლარი

**თავისუფალი თეატრი**
"მედეა", რეჟ. გოჩა კაპანაძე
დას: 19:00 სთ, ფასი 3,5 ლარი

**თეატრალური სარდაფი**
ნინო ბასილია "თაგვი", რეჟ. ლევან წულაძე
დას: 20:00 სთ; ფასი 5 ლარი

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
"ვენეციელი ვაჭარი", რეჟ. ლევან წულაძე
დას: 20:00 სთ; ფასი 10 ლარი

**პანტომიმის თეატრი**
"სტუმარ-მასპინძელი", რეჟ. ამირან შალიკაშვილი
დას: 18:00 სთ; ფასი 3 ლარი

### საგამოფენო დარბაზები

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
მაკა ასათიანისა და გუგა კოტეტიშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**შარდენი**
ტიხრული მინანქარი, ხათუნა ჩხეიძის ნამუშევრების გამოფენა

**ორიენტი**
"კოლექციიდან კოლექციამდე 3", წარმოდგენილია ლადო გუდიაშვილის, ირაკლი ფარჯიანის, ელენე ახვლედიანის, დავით კაკაბაძის, ვალენტინ შერპილოვის, პეტერ ბლიტკინის და სხვათა ნამუშევრები კერძო კოლექციებიდან

**ქარვასლა**
დავით იაკობაშვილის ფოტონამუშევრების გამოფენა
ვიდეოარტი "არტერია"

### კინოთეატრები

**„ამირანი„**
"აბა დამიჭირე"
დას: 13:00; 16:00; ფასი 5,6 ლარი
"სიმონე"
დას: 19:00; 21:30; ფასი 8,9 ლარი

**„რუსთაველი„**
"შპიონი ბავშვები 2"
დას: 15:00; 17:00; 19:00 სთ; ფასი 5 ლარი
"მოატყუე ყველა"
დას: 21:30 სთ; ფასი 7 ლარი

**„ელისო„**
"შპიონი ბავშვები 2"
დას: 15:00; 17:00 სთ; ფასი 5 ლარი
"მოატყუე ყველა"
დას: 19:00 სთ; ფასი 5 ლარი
"ექსტრემელები"
დას: 21:00 სთ; ფასი 5 ლარი

## ბინები

### იყიდება

იყიდება ერთი ოთახი აღმაშენებლის 82-ში იტალიურ ეზოში I სართულზე, გამოდგება საოფისედ,. ფას: 5600$. ტელ: 34-06-65, 34-85-40, 899 266 221.

იყიდება ბუდაპეშტის ქ. 10-ში 2-ოთახიანი ბინა ლოჯით, რემონტით, მე-5 სართ. ფასი 18 000. ტელ: 899 901729

იყიდება 3-სართულიანი კერძო სახლი მცხეთაში, ფიქრის გორაზე - შიო მღვიმელის ქ. 4 - 600 კვ. მ. მიწის ნაკვეთით. არის ბუნებრივი აირი, ტელეფონი თბილისის ნომერით, საცურაო აუზი და ავტოფარეხი ორი ავტომობილისათვის. სახლი აშენებულია 1992 წელს. დარეკეთ ტელეფონზე: 94-12-12, იკითხეთ ლია.

**იყიდება 2,5-იანი გარემონტებული სუფთა ბინა, რკინის კარით, პარკეტით, ბუნებრივი აირით, ორი აივნით-სათავსოებით, ორი სარდაფით, ავტოფარეხის ადგილით. ორხევი, მუხაძის 6/6, I სადარბაზო, III სართ., N7. ტელ: 76-87-48, 893 32-28-12, 893 20-75-91.**

**იყიდება 2,5-ოთახიანი, არასტანდარტული სუფთა ბინა მე-6 სართულზე. 40 კვ.მ. მიშენებით ქვედა ბახტრიონზე, N22-ში. ფასი 24 000. ტელ: 38-32-50**

სასწრაფოდ იყიდება კერძო სახლი 1200 კვ.მ. ეზოთი საბურთალოზე. 32 07 42, 8(77) 74 90 89

### მიწის ნაკვეთი

იყიდება თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე, ვარკეთილის მხარეს 1500 კვ.მ. მიწის ნაკვეთი. ფასი 1000 $. 8(99) 27 24 26

იყიდება 900 კვ.მ. ნაკვეთი პატარა კოტეჯით ურეკში, ზღვასთან ახლოს. 95 86 76, 38 14 03, 8(77) 45 89 24

იყიდება ბაზალეთის ტბის პირას საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი შეთანხმებით. ტელ: 95-52-92.

### კომერც. ფართი

იყიდება 72 კვ.მ. ფართი I სართულზე 156 კვ.მ. განათებული სარდაფით, ვაკეში, სტუდქალაქის უკან. 8(77) 78 58 42

ვიქირავებ რესტორანს დიღმის გზაზე. 95 21 46 (10-სთ-დან 17 სთ-მდე). იკითხეთ ირაკლი ან ნუგზარი

## ბინები

### ქირა, გირაო

**ქირავდება!**

სახლი აღმაშენებლის გამზ. №151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ.

ტელ: 37-28-77; 93-16-11; 899 539097

ვიგირავებ ბინას 1000 $-ის ფარგლებში. 60 66 28, 8(93) 24 19 24 ვახო, 8(77) 74 58 70 ელისო

### მანქანები

იყიდება ავტომანქანა „შკოდა-ოქტავიას“ ნებისმიერი სათადარიგო ნაწილები. 8(99) 50 33 53

### სწავლება

ვამეცადინებ ქიმიაში აბიტურიენტებსა და მოსწავლეებს. შესაძლებელია მხოლოდ ამოცანების შესწავლაც. 62 03 75, 30 10 43, 8(99) 11 77 40 თინათინი

ვასწავლი ქსოვას ჩხირებით, ყაისნაღით, ასევე შევასწავლი ქარგვას. 76 79 44, 8(77) 76 63 88 ნინო

ინგლისში სტაჟირებული პედაგოგი შეგასწავლით ინგლისურ ენას თქვენი მიზნების გათვალისწინებით. აგრეთვე, მიიღებთ კონსულტაციებს დიდ ბრიტანეთში სწავლა-განათლების შესახებ. ტელ: 95-20-34, 96-64-12

ვამზადებ სტუდენტებსა და ექიმებს სასერტიფიკაციო გამოცდისთვის სპეციალობებში (ექიმი თერაპევტი, ზოგადი პროფილის ექიმი-მკურნალი). tel: 64-63-40, 893 282-559

მოვამზადებ ფიზიკა-მათემატიკაში სკოლის მოსწავლეებს, აბიტურიენტებს, მოსამზადებლის სტუდენტებს. 38 44 43 საღამოს, 61 29 76

### სხვადასხვა

იყიდება ნატურალური ღვინო "ოჯალეში, რომელიც განთქმულია სამკურნალო თვისებებით. ფასი 5 ლარი.
ტელ: 52-30-30, 899 181945

**სავენახე რკინა-ბეტონის ახალი ბოძები და ლუზები. მოთუთიებული და სპეციალურად ქიმიურად მდგრადი პოლიმერით დაფარული მავთულები.**
**ტ/ფაქსი 94 27 15, 94 26 47**

**გევსაჭიროება!**
**მდივანი**: ახალგაზრდა მანდილოსანი ინგლისური და რუსული ენების, აგრეთვე, კომპიუტერის კარგი ცოდნით (სწრაფი ბეჭდვა ინგლისურ, ქართულ და რუსულ ენებზე), სასურველია, ჰქონდეს მუშაობის გამოცდილება.
**ბუღალტერი:** ახალგაზრდა მანდილოსანი უმაღლესი საბუღალტრო განათლებით, ბუღალტერიის საერთაშორისო სტანდარტების მცოდნე (სასურველია იყოს ფაზის მიერ სერთიფიცირებული პროფესიონალი ბუღალტერი), კომპიუტერისა და საგადასახადო კანონმდებლობის საფუძვლიანი ცოდნით, მუშაობის სამწლიანი გამოცდილებით.
ანაზღაურება შეთანხმებით. მიღება მოხდება გასაუბრების და მოთხოვნათა შემოწმების საფუძველზე ადმინისტრაციის შეხედულებისამებრ. მსურველებმა სავალდებულოა წარმოადგინონ:
განათლების დამადასტურებელი საბუთი და სხვა საბუთები, რომლებიც ადასტურებენ მოთხოვნებთან შესაბამისობას: ავტობიოგრაფია; ორი ფოტოსურათი. განცხადების მიღების ბოლო ვადა 3.03.03
საკონტაქტო ტელეფონები: **98-65-45, 98-65-68, 92-09-04**.

**სადილი ყველას!**
3 მარტს, დედის დღეს, 12-დან 17 საათამდე, "კათარზისი" კვლავ უმასპინძლებს ყველას, ვისაც სურვილი აქვს ადგილზე გემრიელად დაპურდეს.
**დარეკეთ 11-დან 17 საათამდე. 95-16-46**
**დავით აღმაშენებლის 121.**

იყიდება ახალი და მეორადი სამედიცინო ტექნიკა: ექოსკოპი, ელექტროდანა, ახალშობილთა რეანიმაციის მოწყობილობა და გერმანული ლაბორატორია. 93 49 62, 8(99) 53 63 95

იყიდება გერმანული წარმოების საყინულე მაცივარი 250-ად. 8(93) 35 43 42

**გეპატიჟებათ კაფე-რესტორანი „იმედი“**
გემრიელი სამზარეულო, მყუდრო გარემო დიდი ქეიფის დროსაც, მაღალი კლასის მომსახურება და ღიმილი ყველაზე ახირებული სტუმრისთვისაც კი. შეგიძლიათ წინასწარ დაიბევოთ ადგილები და მენიუ.
**სანდრო ეულის ქ. 1.**
**8(93) 21 76 12**

## TV პროგრამა 27 თებერვალი

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 მულტსერიალი „პაწაწინა ონავრები“
08.00 დილა მშვიდობისა
09.40 სერიალი „ქალთა ქვეყანა“
10.40 სერიალი „ალფი“
11.10 ხალხის პირისპირ
12.00, 15.00 კურიერი
12.15 სერიალი „დატყვევებული გულები“
13.30 მხ. ფილმი
15.20 ჩემპიონთა ლიგა
17.05 სერიალი „ქალთა ქვეყანა“
18.00, 21.00, 02.00 კურიერი
18.15 მულტსერიალი „პაწაწინა ონავრები“
18.40 სერიალი „მედისონის სკოლა“
19.05 სერიალი „კუსტოს წყალქვეშა ოდისეა“
20.05 სერიალი „დატყვევებული გულები“
22.00 ვის უნდა ოცი ათასი?
22.50 ღამის კურიერი
00.05 მხ. ფილმი „განრისხებული ფანტომასი“ მთ. რ-ში: ლუი დე ფიუნესი, ჟან მარე
02.10 კლასიკა

### პირველი არხი

07.30 ალიონი
09.45 მულტსერიალი „ბელფეგორი“
10.15 მხ. ფილმი „საგანგებო მდგომარეობა 2“
11.40 დოკ. სერიალი „კონტაქტი“
12.00, 15.00, 20.00 მოამბე
12.15 ტელესერიალი „ეშმაკუნა“
13.00 „ნაშუადღევს“
14.00 ინგლისური ენის გაკვეთილი
14.30 დოკ. სერიალი „მსოფლიოს ბაზრები“
15.15 მხ. ფილმი „შემოქმედი“
17.00 დოკ. სერიალი „წყვილები და დუეტები“
17.25 რამაა
17.30 შემეცნებითი ფილმი „მოგზაურობა დედამიწის გარშემო“
18.00 ვესტნიკი
18.20 დოკ. სერიალი „ავიაშოუ“
18.30 ბასტი-ბუბუ
18.50 „ჯანმრთელობა“
19.20 ტელეთამაში „იმღერე რამე“
21.00 ტელესერიალი „ეშმაკუნა“
21.50 „სატელ. ჟურნალის ისტორია“
22.25 „საქართველო არის ესე“
23.00 „დღის ბოლოს“
00.00 მხ. ფილმი „ოიდიპოს მეფე“
01.35 ქართული ენის გაკვეთილი

### პირველი სტერეო

08.00 ტოროლა
11.00 განმ. ქართულ-უცხოური მუსათეული
11.45 მუსიკა
13.00 სმს შოუ
16.00 ფილმი „ადამიანები შავებში-2“ მთ. როლ-ში ტომი ლი ჯონსი
19.00 ინფორმატორი
19.15 ქართული მუსიკა
19.30 ვიდეორადიო
21.00 მუსათეული მიქსი
22.00 ინფორმატორი
22.30 მუსიკა
23.00 სველი ხაზი
00.00 ფილმი ბრავო „ისეთი არაფერი მგზავრობა“ მთ. როლ-ში სტივ ზანი, პოლ უოკერი.
01.45 ფილმი ღამურა „ჩვენ ვიყავით ჯარისკაცები“ მთ. როლში მელ გიბსონი, მედლინ სტოუ.
03.45 პაუზის გარეშე

### მეორე არხი

19.00, 22.00 „მოამბე“ მეორე არხზე
19.10 მულტფილმი
19.40 სერიალი „ოჯახური ურთიერთობები“
20.30 ისტორიანი
21.00 შვიდეული
22.10 ჰიტ. პარადი
22.20 მხ. ფილმი „მარკიზ დე სადი“

### იბერია

08.00 ანონსი, აღსავალი
08.05 დიალოგი
10.35 მხ. ფილმი „ანგელოზთა მრისხანება“ 1-ლი ს.
12.30, 17.20, 17.50, 18.30, 21.55, 23.30 მუსიკა 13.00, 15.00, 17.00, 19.00 ახალი ამბები
13.10 მხ.ფ. „ანგელოზთა მრისხანება“ მე-2 ს.
14.30 დოკ. ფილმი
15.20, 18.00 დოკ. სერიალი „ექსპედიცია“
16.20 მულტფილმი
17.30 დოკ. სერიალი
18.45 ბუნების ფერები
19.30 კონცერტი
21.00 ტელე-სინე-ვიდეო (განმეორებით)
22.00 დიალოგი
23.45 მხ.ფ. „ანგელოზთა მრისხანება“ მე-3 ს.
00.55 მხ.ფ. „ანგელოზთა მრისხანება“ მე-4 ს.
02.10 ღამის ფილმი

### ევრიკა

10.30 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს
11.00 რუსული ენის გაკვეთილი
11.30 ინგლისური ენის გაკვეთილი
12.00 მუსიკალური კოლაჟი
12.30, 22.00 სალონი
14.00 ექიმი გვირჩევს
18.00 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს
18.30 რუსული ენის გაკვეთილი
19.00 ინგლისური ენის გაკვეთილი
19.30 „ერთი ერთზე“
20.30 მულტფილმი
21.00 მსოფლიო სპორტი
23.30 მხ. ფილმი „ფანატი“

### კავკასია

12.00 მხ. ფილმი „კაზინო“
15.30 მხ. ფილმი „პონეტი“
17.00, 19.00, 20.30, 00.00 „დღეს“
17.15 მხ. ფილმი „მარვინის ოთახი“
19.20 სპექტრი
21.00 მხ. ფილმი „სახის გარეშე“

### მეცხრე არხი

09.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები
09.50, 11.50, 17.50, 18.30, 19.50, 21.50, 23.45 მუსიკა
10.00 მულტსერიალი „ალექსი“
10.30 მხ. სერიალი „ჰორასი და თინა“
11.00 მხ. სერიალი „მოჯადოება“
12.00 მხ. სერიალი „ვი. აი. პი.“
12.45 მხ. ფილმი „ინტრეპიდი“
14.15 „ტელემეტრი“
14.45 „ევროპის სტადიონებზე“
15.10 დოკ. სერიალი „სუპერშეგრძნება“
15.45 მხ. ფილმი
18.00 მხ. სერიალი „ჰორასი და თინა“
18.40 მულტსერიალი „ალექსი“
19.00 მხ. სერიალი „მოჯადოება“
20.00 დოკ. ფილმი „კანი, 400 დარტყმა“ 1-ლი ნ.
21.00 მხ. სერიალი „ვი. აი. პი.“
22.00 „ჩემი ქვეყანა“
22.10 მხ. ფილმი „ლაბირინთი“
00.20 მხ. სერიალი „თოჯინების ველი“
00.45 მხ. ფილმი „მაღალი ძაგვა“

### აჭარა

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
08.30 მუსიკა
09.00, 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება
09.20 კომედია „სამი ძმბილი“
10.50 დოკუმენტური ფილმი
12.10 ისტორიული ფილმი „მამაცი გული“
15.00 დოკუმენტური ფილმი
16.10, 22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
16.15 მულტფილმი „ანასტასია“
17.20 მხატვრული ფილმი „დათვი“
19.00, 22.20, 00.00 საინფორმაციო გამოშვება „დღეს“
19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება „ნოვოსტი“
19.30 „პირისპირ“
20.20 კომედია „ვეფხვების მომთვინიერებელი“
23.00, 01.00 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
23.05, 01.05 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
23.10 დოკუმენტური ფილმი
01.10 დრამა „მარვინის ოთახი“
03.30 მელოდრამა „მოხეტიალე ვარსკვლავები“

### VII არხი

09.10 მელოდია
09.25 „აჩიკუდა“
09.45 მობილურები
10.10 სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი“ - ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა - განმეორებით
11.00 მელოდია - მოკლე შეტყობინებები
11.45 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
12.10 „ბიორითმი“ - სპაის გიოლზი.
12.30 აუდიო-ვიდეო-ტელე
13.00 დისნეი და მისი მეგობრები
13.20 კომპიუტერული თამაშები
13.40 კომპიუტერული ტექნიკა
18.20 „სახლიდან გაუსვლელად“ - საყოფაცხოვრებო ტექნიკა
19.00 „აჩიკუდა“
19.40 აუდიო-ვიდეო-ტელე
20.20 კომპიუტერული თამაშები
20.25 ღამის კაპრიზი“ - თემა: „ჩემი მუსიკა“.
21.25 მობილურები
22.10 რაგბი - ზეტ12 - ბრიზბენი - კანბერა
23.40 „კინოკლუბი „ - „სპარტაკი-1“. ა.შ.შ. 1960 წელი. ცხოვრებისეული. რეჟისორი: სტენლი კუბრიკი. როლებში-კირკ დუგლასი ლორენს ოლივიე
01.05 კომპიუტერული ტექნიკა
01.35 „ბიორითმი“ - სპაის გიოლზი

### ОРТ

ОРТ 07.00 „Доброе утро!“
10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости
10.15, 20.00 Сериал „Земля любви, земля надежды“.
11.10 Сериал „Следующий“
12.05 Смехопанорама
12.35 Дисней-клуб: „Черный плащ“
13.15 Худ.фильм „МЕНЯ ЭТО НЕ КАСАЕТСЯ“
15.00 „Большие родители“. Маршал Конев.
15.30 „Новый день“. „Теория невероятности“
16.15 Док.сериал „Дикие штучки“
16.55 Худ. фильм „Хозяин империи“
18.00 „Большая стирка“
19.25 Сами с усами
21.00 „Слабое звено“
22.00, 00.30 Время
22.40 Сериал „Следующий“
23.40 Человек и закон
01.00 „Новый день“. „Крылья“
01.30 „Новый день“. „Наши в Берлине“
02.00 „Апология“
03.00 Боевик „Неудержимый“.

### РТР

06.45 Доброе утро, Россия!
09.45 Сериал „Леди Мэр“
10.40 Сериал „Кобра. Черная кровь“
12.00, 15.00, 18.00, 21.00 Вести
12.20 Сериал „Пуаро Агаты Кристи. Происшествие в море“
13.20 Сериал „ТИТАНЫ“
14.15, 17.45 Экспертиза
14.30 Вся Россия
14.45 Вести-Москва
15.20 „Что хочет женщина“
16.10 Сериал „Трое против всех“
17.15 Сериал „Простые истины“
18.20, 20.50 Вести. Дежурная часть
18.50, 02.50 Дорожный патруль
19.05, 00.20 Вести-Спорт
19.20, 21.30 Местное время. Вести-Москва
19.50 Сериал „Комиссар Рекс“
21.50 Спокойной ночи, малыши!
21.55 Сериал „Леди Мэр“
22.55 Сериал „“Кобра. Черная кровь“
23.50 „Вести+“
00.30 Худ.фильм „ШУМ МОРЯ“
















# რევოლუციონერი თუ ქალთმოძულე?

## ჰელმუტ ნიუტონი: ელეგანტური, ექსტაზური, ექსტრავაგანტული


ჰელმუტ ნიუტონი


"მოდიან"


"მოდიან 2"

ანა კორძაია-სამადაშვილი

*ბერლინელებმა გაიხარეს: მე-20 საუკუნის ერთ-ერთმა უდიდესმა ფოტოგრაფმა, ჰელმუტ ნიუტონმა განაცხადა, რომ ფოტოარქივს თავის მშობლიურ ქალაქს, ბერლინს გადასცემს. ავტობიოგრაფიაში ნიუტონმა თავის ცხოვრებას "ვნებების ნიშანი და სურათების მისტერია" უწოდა და არქივი, რომელიც ტემპელჰოფში დაიდებს ბინას, ამ საოცარი ხელოვანის საოცარი ცხოვრების მატიანეა.*

1920 წლის 31 ოქტომბერს, ბერლინში, მდიდარი ებრაელი ფაბრიკანტის ოჯახში ბიჭი გაჩნდა, ჰელმუტ ნოიშტეტერი. მაშინ, ცხადია, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ოდესმე ის სულ სხვაგვარად დაანახებდა ადამიანებს საკუთარ თავს, რომ ის მე-20 საუკუნის ფოტოხელოვნებაში ეროტიკის, ელეგანტურობის და ბრწყინვალე დეკადანსის ესთეტიკას დაამკვიდრებდა. იმ დღეს გაჩენილ ჰელმუტ ნიუტონს კიდევ ერთი იშვიათი ნიჭი აღმოაჩნდა – მრავალი წლის შემდეგ მისმა "ცივმა ეროტიკამ" კაცობრიობა ორ ბანაკად, მტრებად და თაყვანისმცემლებად დაყო.

ნაციონალ-სოციალისტების ძალაუფლების სათავეში მოსვლამდე ჰელმუტი ბერლინის ვერნერ ფონ თრაიჩკეს გიმნაზიაში სწავლობდა, შემდეგ ამერიკულ სკოლაში გადავიდა. ფოტოგრაფიისადმი ინტერესი სულ ახალგაზრდამ გამოავლინა – თორმეტი წლის იყო, როცა 3,50 მარკად თავისი პირველი ფოტოაპარატი, Zeiss Box Tengor, იყიდა და 16 წლისამ უკვე ზუსტად იცოდა, რომ დიდი ფოტოგრაფი იქნებოდა.

1936 წლიდან ნიუტონი ბერლინის ცნობილ ფოტოგრაფთან, ივასთან სწავლობდა. ივას ნამდვილი სახელი ელზე სიმონი იყო – შემდგომ ეს ქალი, რომელმაც გერმანული ფოტოგრაფიის ისტორიაში დიდი კვალი დატოვა, ნაცისტებმა საკონცენტრაციო ბანაკ აუშვიცში მოკლეს.

1938 წლის დეკემბერში, ისევე, როგორც მრავალმა სხვა ებრაელმა, ბერლინი ჰელმუტ ნიუტონმაც დატოვა. ოჯახმა თავი სამხრეთ ამერიკას შეაფარა, ჰელმუტი კი სინგაპურში გაემგზავრა.

ჰელმუტს თითქოს გაუმართლა: Singapore Straits Times-ში ფოტორეპორტიორად აიყვანეს, მაგრამ ორი კვირის შემდეგ ის კვლავ უმუშევარი დარჩა: გაზეთმა მისი მონაცემები არასაკმარისად მიიჩნია და დაითხოვა.

პურის ფულის საშოვნელად ჰელმუტი განუწყვეტლივ იცვლიდა ადგილსამყოფელს და ყველანაირ საქმეს ჰკიდებდა ხელს: ბავშვთა თეთრეულის რეკლამებს აკეთებდა, ქორწილებში და ნათლობებში მიწვეული ფოტოგრაფი იყო, საპასპორტო სურათებს იღებდა...

1940 წელს ნიუტონი ავსტრალიაში გადავიდა საცხოვრებლად და იქ ყოფნის პირველი ხუთი წელი სამხედრო სამსახურს მიუძღვნა. ჯარში ხან სატვირთო მანქანის მძღოლი იყო, ხან საგზაო-სარემონტო სამუშაოებს ავალებდნენ. ჯარმოვლილი ხელოვანი მელბურნში დაფუძნდა და იქ თავისი პირველი ფოტოსტუდია გახსნა.

1948 წელს მის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა: მან მსახიობი, ჯუნ ბრანელი შეირთო ცოლად. ელის სპრინგის ფსევდონიმით ცნობილი – ეს ქმრის მოთხოვნა იყო – ჯუნი თავადაც კარგი ფოტოგრაფი იყო. მისმა პიროვნებამ და ხელოვნებამ თავის დროზე ნიუტონზეც მოახდინა გავლენა. ისინი წარმატებით თანამშრომლობდნენ, ჯუნი მისთვის პორტრეტებსაც იღებდა.

საერთაშორისო აღიარება ჰელმუტ ნიუტონს მხოლოდ 1960-იან წლებში ეწვია, როცა პარიზში გადავიდა საცხოვრებლად.

"პარიზში როცა ჩავედი, უმალვე მივხვდი: ესაა. ესაა ადგილი, სადაც უნდა მეცხოვრა და გადამეღო. აქ ცხოვრება ქუჩაში ჩქეფდა! ადამიანები ქუჩაში, კაფეებსა და რესტორნებში ცხოვრობდნენ. ყველგან ლამაზი ქალები ირეოდნენ." მხოლოდ აქ შესძლო ნიუტონმა იმის ჩვენება, რისი მაქნისი იყო სინამდვილეში – თუ რეპორტიორად არ ივარგა, მოდის ჟურნალებისთვის ნამდვილი მიგნება აღმოჩნდა.

1961 წლიდან, 25 წლის განმავლობაში, ის ჟურნალ Vogue-თან თანამშრომლობდა, და სწორედ ამ ჟურნალში გამოქვეყნდა მისი ყველაზე მნიშვნელოვანი მოდის ფოტოები. ის მუშაობდა ჟურნალებისთვის Queen, Elle, Marie Claire, Linea Italiana, Jardin, სულ მალე ყველაზე ცნობილი და ძვირადღირებული ფოტოგრაფი გახდა, "უცებ ყველას მოვუნდი, მთელს მსოფლიოს".

1975 წელს პარიზში, Nikon-Galerie-ში, ნიუტონის პირველი გამოფენა გაიხსნა. ერთი წლის შემდეგ "ტოკიოს სამხატვრო რეჟისორების კლუბმა" მას წლის საუკეთესო ფოტოგრაფიისთვის გრან პრი გადასცა. ამას მოჰყვა World Image-ის ჯილდო, გაზეთ "ვილ დე პარის" გრან პრი და მრავალი, მრავალი სხვა.

ფოტოსამყაროში "ნიუტონის ბუმი" დაიწყო. "პორნოგრაფია პენტრაციაა. სიშიშვლე პორნოგრაფია არ არის!" – განაცხადეს მოდელებმა, რომლებიც ნიუტონისთვის თავდაუზოგავად შრომობდნენ. ასე შეიქმნა კოლექციები Big Nudes, Nacked and Dresses, Domestic Nudes, რომლებმაც ფოტოგრაფს მსოფლიო აღიარება მოუტანა. სიცივე მის ფოტოებში მხოლოდ პროვოკაცია იყო, ადამიანის სხეული კი - შემოქმედების ძირითადი თემა. ნიუტონი შიშველი ქალების ლამის სასტიკი და უმოწყალო, შავთეთრი ფოტოებით გახდა ცნობილი. 80-იანი წლების საზოგადოებას მან შიშისმომგვრელი ქალები დაანახა: ძლიერი, გამარჯვებული, ცივი, მიუკარებელი – მათ არაფერი ჰქონდათ საერთო მამაკაცების "ტრადიციულ" ეროტიულ ფანტაზიებთან. თავად ნიუტონი წერდა: "მე სახიფათო ქალები მიყვარს. იქნებ მათთან ცხოვრება არ მიხაროდეს, მაგრამ ჩემს სურათებზე ძალიან მომწონან."

სულ უფრო მეტი სახელგანთქმული მოდელი გამოთქვამდა ნიუტონთან თანამშრომლობის სურვილს. მაღალი საზოგადოება მის მიერ შესრულებულ პორტრეტებზე ოცნებობდა, მისი "მუშტრები" იყვნენ ჯერი ჰოლი და ჰელმუტ კოლიც. ნიუტონთან ისინი ნებისმიერ პოზასა და სიტუაციაზე თანხმდებოდნენ, იმაზეც, რასაც სხვა ვერავინ აკისრებინებდათ.

გასული წლის შემოდგომაზე წიგნის მაღაზიებში ჰელმუტ ნიუტონის ავტობიოგრაფია გამოჩნდა, და იმავე წელს მან კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფოტოგრაფია და ასაკი ვერაფერს აკლებს: "სუმოს", 480 გვერდიან ალბომს, უდიდესი წარმატება ხვდა წილად.

დღეს კი 82 წლის ნიუტონი თავმდაბლად აცხადებს: "მოტივების ინსცენირება გამომდის, თორემ ისე ერთი ძველმოდური ფოტოგრაფი ვარო". საკუთარ თავზე ლაპარაკი მას დიდად არ უყვარს, ურჩევნია, მის შესახებ მისი ნამუშევრებით იმსჯელონ.

# მაისური, როგორც პრეს-კონფერენცია



მაისურები ომის წინააღმდეგ






გულისნადები ჩაცმულობას ათქმევინო – ამ ტენდენციას დღეს მრავალი ვარსკვლავი იზიარებს. შერილ ქროუ რამდენიმე თვეა, დადის მაისურით, რომელიც მომღერლის ანტი-საომარ განწყობას გამოხატავს. წარწერა "ბატონო ბუშ, მე არ მჯერა თქვენი ომის" მის ყოველდღიურ ჩაცმულობასაც ამშვენებს და საღამოს კაბებსაც. ვიგო მორტენსენიც პროტესტს მაისურით გამოხატავს. მსახიობს, რომელიც საზოგადოებამ "ბეჭდების მბრძანებლის" სერიებიდან შეიყვარა, მკერდზე ცნობილი ფრაზა აქვს წაწერილი: "ომი პასუხი არ არის". ჯგუფ Garbage-ის მომღერალი შირლი მენსონიც "გრემის" ერთ-ერთ კონცერტზე გამოცხადდა მსგავსი შინაარსის ფრაზით, რომელიც, ბუნებრივია, მის მაისურს ამშვენებდა.

თუმცა, ისეც ხდება, რომ მაისურებზე გამოსახული წინადადებები გაცილებით აპოლიტიკური და ხშირ შემთხვევაში პირადულიც არის. მაგალითად, ვისაც აინტერესებს, თუ რას ფიქრობს ბრიტნი სპირსი თავისი ყოფილი შეყვარებულის ახალ რჩეულზე, მსახიობ ალისა მილანოზე, შეუძლია ბრიტნის ჩაცმულობა შეათვალიეროს: ახალგაზრდა პოპვარსკვლავი ლონდონის ქუჩებში დადის მაისურით, რომელსაც აწერია: "დაადე მას".

მაისურის პრაქტიკას ერთხელ ჯულია რობერტსმაც მიმართა. როდესაც რობერტსის საქმრომ ვერაფრით მოაბა თავი ყოფილ ცოლთან, ვერა სტაიმბერგთან განქორწინებას, ჯულიამ სპეციალურად პაპარაცებისთვის ჩაიცვა მაისური, რომელსაც ეწერა: A Low Vera. უინონა რაიდერის შემთხვევაში კი მაისურმა სასიცოცხლო მნიშვნელობაც კი შეიძინა: მაღაზიაში ქურდობის გამო დაპატიმრებული მსახიობი ერთხანს დადიოდა მაისურით, რომელსაც ეწერა: "გაათავისუფლეთ უინონა".

ასე რომ, წარსულს ჩაბარდა ის დრო, როდესაც მაისური უბრალოდ ჩასაცმელი იყო. ახლა ის ჰგავს ვარსკვლავების მიერ დამზადებულ სარეკლამო ბილბორდს, რომელიც სპეციალურად საზოგადოებისთვის არის განკუთვნილი და რომლის საშუალებითაც მსახიობები ფიქრებს მთელ მსოფლიოს უზიარებენ. და, რაც ყველაზე მთავარია, მაისურისთვის ამ ახალი ფუნქციის მინიჭება დღეს უკვე ერთგვარ მოდად იქცა, რომელსაც ყველა დონის ვარსკვლავი მისდევს.

"მაისური უკვე პრესკონფერენციის დატვირთვას იძენს", - ასკვნის მოდის მკვლევარი დევიდ ვოლფი, - "ქუჩის დემონსტრანტები, პლაკატებით ხელში სხვას კი არაფერს აკეთებენ – თუ მათ მოთხოვნებს პლაკატის ფორმა აქვს, ვარსკვლავები მოთხოვნებს და ფიქრებს მაისურზე გამოსახული წარწერებით გადმოგვცემენ".

ფსიქოლოგები ამ მზარდი ტენდენციის შექმნაში ბულვარულ პრესას ადანაშაულებენ. პაპარაცები იმდენად შეპყრობილნი არიან ვარსკვლავების ფირზე აღბეჭდვით, რომ ყველას თავს აბეზრებენ, პირველ რიგში, კი თავად ცნობილ ადამიანებს. "მშვენივრად მესმის მათი. ვარსკვლავები მაისურებზე სათქმელს იწერენ და ამით, თითქოს, გვეუბნებიან: გინდათ ჩემი ფოტო? მაშინ ჩემი სათქმელიც მოისმინეთ".

თუმცა, ბუნებრივია, მოლაპარაკე მაისურები მასკულტურაში ახალი ხილი სულაც არ არის. ჯერ კიდევ 60-იან წლებში ამ ხერხს ვარსკვლავები ვიეტნამის ომის წინააღმდეგ თავიანთი განწყობის დასაფიქსირებლად მიმართავდნენ. ახლახან კი, 11 სექტემბრის შემდეგ ნიუ იორკისადმი მხარდაჭერას მაისურებით ბრიუს უილისი, პოლ მაკარტნი და რობინ უილიამსიც გამოხატავდნენ. ასე რომ, მაისურები ყველა დროსა და კულტურაში მშვენივრად ახერხებდნენ ლაპარაკს. ამიტომ გასაკვირი არც არის, რომ დღეს ერაყში ომის საწინააღმდეგო განწყობას მაისურები მაღალი მოდის კვირეულებისთვის მოწყობილი პოდიუმებიდანაც გადმოგვცემენ.

კალეიდოსკოპი

## კომედიის დიდი ერა დასრულდა



თავის თავს მასხარას უწოდებდა. იყო ყველაფერი სიურეალისტურის დიდოსტატი. მისი იუმორი ხშირად მოულოდნელი და სპონტანური იყო, მაგრამ საზოგადოების გახალისებას ყოველთვის ახერხებდა.

სპაიკ მილიგანმა სახელი 50-იან წლებში რადიო-შოუ The Goon-სის შექმნით გაითქვა. შემდეგ მოღვაწეობდა ტელევიზიაში, კინოში, წერდა რომანებს, ლექსებს, საბავშვო წიგნებს, ტომობით ავტობიოგრაფიას და სიმღერებსაც კი. ამიტომ ყოველთვის აღიზიანებდა ის ფაქტი, რომ სახელი სპაიკ მილიგანი ყველას The Goon Show-ს ახსენებდა. თუმცა, ეს გასაკვირი არც უნდა იყოს – მილიგანი ხომ, პირველ რიგში, ისტორიას სწორედ დიდებულ კომიკოსად შემორჩა.

"ეს არის ბრიტანეთის კომედიის დიდი ერის დასასრული", თქვა პრინცმა ჩარლზმა შარშან, როცა 27 თებერვალს მისი ამხანაგი, 83 წლის ირლანდიელი კომედიანტი, თავისი იუმორისთვის შეუფერებლად მელანქოლიური მოხუცი სპაიკ მილიგანი გარდაიცვალა. თავად პრინცს, მილიგანი "პატარა მლიქვნელ ნაბიჭვარს" უწოდებდა.

გთავაზობთ იმ ადამიანის რამდენიმე კლასიკურ გამონათქვამს, რომლის თქმითაც "ჩინელებმა იმიტომ ვერ გამოიგონეს ნამცხვრის კრემი, რომ ჩხირებს ხმარობენ".

- და თქვა უფალმა, "იყოს შუქი" და იქმნა შუქი, მაგრამ ენერგეტიკის სამინისტრომ თქვა, რომ ხუთშაბათამდე ვერ ჩართავდნენ.

- განათლება ყველაფერი არ არის. დავიწყოთ იმით, რომ ის არ არის სპილო.

- ესპერანტოზე ისე ვლაპარაკობ, როგორც ადგილობრივი.

- ფულით მეგობრებს ვერ იყიდი, მაგრამ უფრო მაღალი კლასის მტრებს შეიძენ.

- ეს ყოველმხრივ უნაკლო ქორწინება იყო: ქალს არ უნდოდა და კაცს არ შეეძლო.

- სიკვდილი არ მაფიქრებს. უბრალოდ მინდა იქ ვიყო, როცა ეს მოხდება.

- სამოთხეში სიამოვნებით წავიდოდი, მაგრამ, თუ ლედი დაიანაც იქ არის, მაშინ ტრაფალგარზე წავალ.

**დღეს**
**ხუთშაბათს, 27 თებერვალს**



**1991 წელი:** გაერთიანებულმა ჯარებმა გაათავისუფლეს კუვეიტ სიტი. დასრულდა სპარსეთის ყურის ომი.

**274 წელი:** დაიბადა რომის იმპერატორი კონსტანტინე დიდი.

**1879 წელი:** აღმოაჩინეს საქარინი.

**1939 წელი:** ბრიტანეთმა და საფრანგეთმა ცნეს გენერალ ფრანკოს სამხედრო რეჟიმი ესპანეთში.

**1952 წელი:** ნიუ იორკში, გაეროს ახალ შტაბ-ბინაში პირველი შეხვედრა ჩატარდა.

**1980 წელი:** პოპ-ვარსკვლავმა მაიკლ ჯექსონმა თავისი პირველი "გრემი" მოიპოვა.

**2002 წელი:** 83 წლის ასაკში გარდაიცვალა ბრიტანელი მსახიობი და კომიკოსი სპაიკ მილიგანი, რომელმაც დააფუძნა კომიკოსთა ჯგუფი The Goons-ი.

© GRAPHIC NEWS



# U2 დიდების დარბაზში, ბონო კი ნობელის პრემიაზეა წარდგენილი

ჯგუფი U2, გვენ სტეფანი და სტივენ ტაილერი იმ მუსიკოსთა სიაში მოხვდნენ, რომელთაც მარტში როკ-ენ-როლის დიდების დარბაზის საპატიო წევრებად აღიარებენ. რიგით მე-18 ყოველწლიური ცერემონია 10 მარტს ნიუ იორკის სასტუმრო „ვალდორფ ასტორიაში“ გაიმართება.

ამას გარდა, ირლანდიური ჯგუფის ლიდერი პოლ ჰიუსონი (იგივე ბონო) ახლახანს ნობელის პრემიის ნომინანტთა სიაშიც შეიყვანეს. დიდი გამოცნობა არ სჭირდება, რომ ასეთი პრესტიჟული ჯილდო მას არამუსიკალური საქმიანობისთვის უნდა გადასცენ. კერძოდ, კი ბონო ნობელის ლაურეატი ადამიანების უფლებების დაცვის, შიდსისა თუ სიღარიბის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლისთვის გახდება.

მუსიკოსის ასეთი აღიარება საზოგადოებრივი მოღვაწეობის სფეროში მოულოდნელი ნამდვილად არ ყოფილა. უკანასკნელ წლებში პოპულარული ირლანდიური ჯგუფის ლიდერმა “მესამე სამყაროს” რამდენიმე ქვეყანა მოინახულა. 2001 წელს კი ჯორჯ ბუშთან და ტონი ბლერთან ერთად ბონომ “წლის ევროპელის” წოდება დაიმსახურა. კარგა ხანია, მსმენელი მიხვდა, რომ ბონოს მუსიკალურთან ერთად დიპლომატიური ნიჭიც აქვს, რისი წყალობითაც მუსიკოსი იოლად ურთიერთობს მსოფლიოს წამყვან პოლიტიკოსებთან თუ სასულიერო პირებთან.

თავის დროზე, ბონო საკმაოდ ახლოს იყო ბილ კლინტონთან, თუმცა, როკ-ვარსკვლავი ასევე კარგად ურთიერთობს ჯორჯ ბუშთან. თავის მხრივ, არც კლინტონი იშურებს მუსიკოსის მიმართ კომპლიმენტებს. კერძოდ, “გრემის” უკანასკნელ ცერემონიაზე, მაშინ, როდესაც ბონოს თავისი აქტიური ჰუმანიტარული მოღვაწეობისთვის შესაბამისი ჯილდო გადასცეს, აშშ-ს ყოფილმა პრეზიდენტმა თქვა: “ბონო ის ადამიანია, რომელსაც 21-ე საუკუნეში უკან უნდა მივყვეთ”.

მანამდე კი, ვიდრე მსოფლიო ბონოს ნდობას გამოუცხადებს, პოპულარული მუსიკოსი თავის ჯგუფთან ერთად ყურადღების ცენტრში 10 მარტს მოექცევა. რაც შეეხება დიდების დარბაზის დანარჩენ საპატიო წევრებს, ესენი არიან: დუეტი Righteous Brothers, ელვის კოსტელო და მისი ჯგუფი Attractions, Motown-ის დრამერი ბენი ბენჯამინი, პიანისტი ფლოიდ კრამერი, საქსაფონისტი სტივ დუგლასი და Warner Bros. Records-ის ხელმძღვანელი მო ოსტინი. ღონისძიებას კი დაესწრებიან: ელტონ ჯონი, ბილი ჯოელი, ნილ იანგი და პოლ საიმონი.



*ბონო და ბილ კლინტონი*

# საძაგელი და საოცნებო ჟერარ დეპარდიე

მსახიობი რომც არ ყოფილიყო, ჟერარ დეპარდიე მაინც შეძლებდა თავის გატანას – ქურდობასა და ავანტიურისტობასაც ნიჭი უნდა, რომელიც მას აშკარად არ აკლია. უბრალოდ, გაუმართლა: სკოლის მეგობარმა პარიზის ეროვნულ თეატრთან არსებულ კურსებზე ჩაბარება შესთავაზა, ჟერარს კი ძალიან უნდოდა პარიზში მოხვედრა.

დეპარდიეს ოჯახი ხელმოკლე იყო – ექვსი შვილი ჰყავდათ და ექვსივე ბავშვობიდან საშოვარზე იყო გასული. ცამეტი წლის ჟერარი სახლიდან წავიდა, სანაპიროზე მდიდარ ტურისტებს ემსახურებოდა, ორი წელი ევროპაში “ავტოსტოპით” მოგზაურობდა, სახლში დაბრუნებულმა კი მანქანების გატაცებას და საიუველირო მაღაზიების ძარცვას მიჰყო ხელი. ბევრს სვამდა, საროსკიპოებში დარბოდა, მაგრამ პოლიციაში ყოველთვის ახერხებდა, ერთ საწყალ სოფლელ ბიჭად მოეჩვენებინა თავი.



*ჟერარდ დეპარდიე*

პარიზში გამგზავრებაც რიგითი ავანტიურა იყო, მაგრამ ჟერარს გული უგრძნობდა, რომ ნამდვილი მსახიობი შეიძლება დამდგარიყო – პოლიციაში ტაკიმასხარობა აშკარად გამოადგა.

ისიც ერთი პროვინციელი ბიჭი იყო, დედაქალაქში ფულისა და სახელის საძებნელად ჩასული. ასეთები პარიზში უამრავია, მაგრამ მრავლისგან განსხვავებით დეპარდიე მართლა მდიდარი და სახელგანთქმული გახდა. ამ საქმეში მას ფასდაუდებელი დახმარება პროფესორმა ლიუსიენ არნომ გაუწია. სწორედ მან აღმოაჩინა, რომ ამ ბიჭს, რომელსაც შექსპირისა და ბოდლერის მხოლოდ სახელები გაეგონა, დიდი ნიჭი ჰქონდა. მანვე აუხსნა ჟერარს, რომ გაუნათლებელი ადამიანი, რაც არ უნდა ნიჭიერი იყოს, მესამეხარისხოვანი როლების შემსრულებლად თუ გამოდგება.

ახალგაზრდამ სწავლა დაიწყო – არამარტო ფრანგულ, არამედ მსოფლიო კულტურას ეცნობოდა. კითხულობდა, გალერეებში და კინოში დადიოდა და არცერთი სპექტაკლი არ გამოუტოვებია. მალე ის თვითონაც გამოჩნდა ეკრანზე – ბერტრან ბლიეს ფილმში “ვალსის მოცეკვავეები”.

დეპარდიეს თქმით, მის პიროვნულ განვითარებაში უდიდესი წვლილი პირველ ცოლს, ელიზაბეტ გინიოს მიუძღვის: “მან სამყაროსა და ადამიანების მოსმენა მასწავლა. მან მასწავლა, როგორ უნდა მიყვარდეს ჩემს გვერდით მყოფი ქალი.” ისინი 17 წლის განმავლობაში იყვნენ ერთად.

საფრანგეთმა დეპარდიე სულ მალე აღიარა და შეიყვარა. მიუხედავად იმისა, რომ ჰოლივუდშიც იწვევდნენ, დეპარდიე უარზე იყო – ინგლისურის სწავლა ეზარებოდა, მაგრამ ბოლოს მაინც მოუწია შექსპირის ენის ათვისება. ჰოლივუდში ნათამაშებმა პირველმა როლმა (Green Card) მას “ოქროს გლობუსი” მოუტანა.

და უცებ ამერიკამ საშინელი რამ გაიგო: ოდესღაც მიცემულ ინტერვიუში ჟერარ დეპარდიეს უთქვამს, ცხრა წლისამ პირველად მივიღე გაუპატიურებაში მონაწილეობაო. იმან, რაც 1978 წელს საფრანგეთში არავის გაუგონია, 1990 წელს ამერიკაში საშინელი სკანდალი გამოიწვია. ამერიკელ დიასახლისებს და ფემინისტებს გული გაუსკდათ, და ჟერარს დიდხანს უწევდა იმის მტკიცება, რომ ჟურნალისტს ან მთარგმნელს რაღაცა აერია, სხვა თუ არაფერი, ცხრა წლის ბიჭი ზრდასრულ ქალს ნამდვილად ვერ მოერეოდა... ამ ალიაქოთის შედეგად დეპარდიემ სირანო დე ბერჟერაკის როლისთვის “ოსკარი” ვერ მიიღო.

ამ ბოლო დროს ჟერარ დეპარდიე ეკრანზე სულ უფრო იშვიათად ჩნდება. მსახიობი მთელ ენერგიას ღვინის წარმოებას ახმარს – მისი ღვინო უკვე მთელს ევროპაშია ცნობილი. მიუხედავად ამისა, ის მრავალთათვის კვლავ საყვარელ მსახიობი და სასურველი მამაკაცია. შერონ სტოუნს უბრძანებია: “ალბათ მასთან ერთად ფილმში თამაში არ მიწერია, მაგრამ სადმე ბნელ კუთხეში კი სიამოვნებით გავყვებოდიო”. ჰოლივუდის ლამაზმანის ამ აზრს, ალბათ, მრავალი ქალი იზიარებს.

## სკანდინავიური კროსვორდი



თქვენი რეკლამა
ჩვენს გაზეთში

20-24-24
20-00-24

## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.